ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინგლისური ფილოლოგია

რუსუდან თუთბერიძე

ემოციათა აღმნიშვნელი ლექსიკა - სემანტიკა და პრაგმატიკა (ინგლისური, ქართული და რუსული ენების მაგალითზე)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ასოცირებული პროფესორი: ნათია ნემსაძე

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2013

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

თავი I 10

1.1. ემოციების ზოგადი დახასიათება 10

1.2. ემოციებთან დაკავშირებული თეორიები 13

1.3. ემოციათა კლასიფიკაცია 15

1.4. ბაზისური ემოციები 23

1.5. ემოცია და ენა 30

1.6. ენა და კულტურა 40

თავი II FEAR /შიში /СТРАХ 48

თავი III ANGER / ბრაზი / ГНЕВ 73

თავი IV JOY/სიხარული/РАДОСТЬ 93

თავი V HAPPINESS/ბედნიერება/СЧАСТЬЕ 106

თავი VI 117

6.1. კვლევა 117

6.2. რესპოდენტთა დახასიათება 119

6.3. კვლევის შედეგები 120

დასკვნები 123

გამოყენებული ლიტერატურა 132

ელექტრონული ჟურნალები 137

გამოყენებული ლექსიკონებისა და ენციკლოპედიების ნუსხა 139

დანართი 1 კვლევის კითხვარი 141

შესავალი

ემოციათა კვლევის ერთ-ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ასპექტს სხვადასხვა ენასა და კულტურაში (ჩვენს შემთხვევაში ინგლისურ, რუსულსა და ქართულ ენებში) ძირეული ემოციების აღმნიშვნელი ლექსიკის კვლევა წარმოადგენს.

არსებობს თუ არა ისეთი ემოციები, რომლებიც საერთოა ყველა ენობრივი კულტურისთვის, წარმოადგენენ თუ არა ისინი თანდაყოლილ ფენომენს თუ შესაძლებელია მათი შეძენა? ეს ის საკითხებია, რომლებიც ლინგვისტთა, ფსიქოლოგთა, ეთნოლოგთა კვლევის ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

ა. ვეჟბიცკა მიიჩნევს, რომ ცალკეული ენის ლექსიკონში არსებული ემოციათა აღმნიშვნელი სიტყვები მნიშვნელოვნად ასახავენ ენის მატარებლის კულტურულ თავისებურებებს (ვეჟბიცკა, 1983).

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ემოციათა პრობლემა იმდენად აქტუალურია, რომ იგი კვლევის ინტერდისციპლინალურ სფეროდ გადაიქცა. ემოციების შესწავლისადმი დიდ ინტერესს იჩენენ ევოლუციური და მოლეკულური ბიოლოგია, ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ენათმეცნიერება, კოგნიტოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, ეთნომეცნიერება.

თითოეული აღნიშნული დარგი თავისებურად ცდილობს ემოციათა ძირეული თეორიის შექმნას. სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, ემოციურობა, როგორც ფსიქიკური პროცესი მოითხოვს მისი შესწავლისადმი კომპლექსურ მიდგომას, სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ერთობლივ ძალისხმევას. ემოციურობის ცალკეულ ასპექტებზე სხვადასხვა დარგში კვლევის შედეგად მოპოვებულ მონაცემთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ამ საკითხზე ადეკვატური სურათის მიღება. უ. ჩეიფი თვლის, რომ ლინგვისტიკამ ხშირ შემთხვევაში ახსნა უნდა ეძებოს ფსიქოლოგიაში. იგივე შეიძლება ითქვას ენათმეცნიერების სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან მიმართებაშიც, რამდენადაც თანამედროვე ეტაპზე არ არსებობს „წმინდა ენათმეცნიერება": ენა სოციალურად განპირობებულია და მისი არსი საზოგადოებრივ ფუნქციონირებაშია (შახოვსკი, 1987).

სადისერტაციო ნაშრომის *<u>აქტუალობა</u>* განპირობებულია ერთი მხრივ ემოციათა ლინგვისტიკის შემდგომი განვითარების საჭიროებით, და მეორე მხრივ

მოცემული მეცნიერული მიმდინარეობის არასაკმარისი განვითარებით ლინგვიკოგნიტური და ლინგვოკულტურული მიმართულებებით.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში არსებული ბაზისური ემოციების („ბრაზი", „სიხარული", „ბედნიერება", „შიში") აღმნიშვნელი ლექსიკის შეპირისპირებითი ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი.

კვლევის მასალად გამოყენებულ იქნა ინგლისური, რუსული და ქართული ენების ავტორიტეტული ლექსიკონები, მხატვრული ტექსტები და ანდაზების კრებულები ზემოხსენებულ ენებში; გამოყენებულია ასევე ნაშრომები ფსიქოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, კულტუროლოგიაში.

ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ მას შეაქვს გარკვეული წვლილი ბაზისური ემოციების კონცეპტუალიზაციის თეორიაში.

კვლევის მეთოდოლოგია და თეორიული საფუძველი: ნაშრომში გამოყენებულია შეპირისპირებითი ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი, სალექსიკონო დეფინიციების ანალიზი.

ნაშრომის თეორიული საფუძველია ი. ჰერდერისა და ვ. ჰუმბოლდტის კულტუროლოგიური კონცეფციები, სეპირ-უორფის ჰიპოთეზა, ა.ვეჟბიცკას მოძღვრება სემანტიკურ საწყისებზე, ნაშრომები ლინგვიკონცეპტოლოგიის, კოგნიტური სემანტიკის სფეროში, ფრეიმების თეორია, ფსიქოლოგების, სახელდობრ, კ. იზარდის, რ. პლუტჩიკის, პ. ეკმანის. ი. რეიკოვსკის, ბ. დოდონოვის ემოციების კვლევებისადმი მიძღვნილი შრომები,

ნაშრომის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება 152 გვერდისაგან, რომელშიც შედის შესავალი, 6 ნაწილი (რომელიც თავის მხრივ მოიცავს 20 თავს), დასკვნებს, გამოყენებული ლიტერატურის სიას და დანართებს.

პირველი თავი, რომელიც შედგება რამდენიმე ქვეთავისგან, ეძღვნება ემოციათა ზოგად დახასიათებას. ფილოსოფიური ლექსიკონის მიხედვით ემოცია ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობაა, რომელიც გამოხატავს მის დამოკიდებულებას საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროს მოვლენებთან (ფილოსოფიური ლექსიკონი, 1987). ემოციის პრობლემისადმი დაინტერესება ჯერ კიდევ ანტიკური სამყაროდან იწყება. ფსიქოლოგიაში გრძნობას განასხვავებენ ემოციისაგან. ემოცია არის რომელიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობასთან დაკავშირებული მომენტის მარტივი - უშუალო განცდა. ემოციასთან შედარებით, გრძნობა უფრო რთული ბუნების განცდაა. იგი

ასახვის უფრო რთული ფორმაა და დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის. გრძნობები კლასიფიცირდებიან: აქტიურ (სთენიკურ) - დადებითი ემოციური ტონის შემცველ და პასიურ - (ასთენიკურ) უარყოფითი ემოციური შეფერილობის მქონე გრძნობებად. ამავე თავში განხილულია ემოციებთან დაკავშირებული თეორიები, როგორიცაა: ჯეიმზ-ლანგეს, კანონ-ბარდის, მაგდა არნოლდის, რ. ლაზარუსის, ბიჰევიორისტების, ემოციის რაციონალური თეორიები. ფსიქოლოგების უილიამ ჯეიმისა და კარლ ლანგეს მიერ დამოუკიდებლად შემოთავაზებული თეორიის მიხედვით, ემოციებს იწვევს გარკვეულ მოვლენებზე ფსიქოლოგიური რეაქციები. კანონ-ბარდის თეორიის მიხედვით ფიზიოლოგიური ცვლილებები არ წარმოადგენს ემოციის პირველად მიზეზს -ადამიანი პირველად ემოციას გრძნობს, ხოლო შემდეგ განიცდის ფიზიოლოგიურ რეაქციებს. მაგდა არნოლდის თეორიის მიხედვით ემოცია არის ადამიანის მიერ სტიმულისა თუ სიტუაციის კოგნიტიური შეფასების ფუნქცია. ემოცია შესაძლებელია შეფასდეს როგორც ცუდი ან კარგი, სანამ სტიმულის მეშვეობით მოხდება ემოციის გამოვლენა. რ. ლაზარუსის თეორია ემფაზას აკეთებს კოგნტურ ასპექტზე. ამ თეორიის მიხედვით ემოციის-პროვოცირებადი სტიმული იწვევს კოგნიტურ შეფასებას, რომელსაც მოჰყვება ემოცია და ფსიქოლოგიური სტიმული ამერიკელი ფსიქოლოგი, ჯონ უოტსონი, რომელიც ემოციათა ბიჰევიორისტული თეორიის ფუძემდებელია, თვლიდა, რომ ემოციები ფსიქოლოგიური (მენტალური და სხეულებრივი) რეაქციებია სპეციფიკურ მოვლენებზე. მისი აზრით, ეს რეაქციები მჟღავნდება სამი ძირითდი ფორმით: შიში, ბრაზი და სიყვარული. მისივე აზრით, სწორედ ეს სამი ფორმა წარმოადგენს ბაზისურ ემოციას. ამერიკელმა ფსიქოლოგმა სტენლი შახტერმა შემოგვთავაზა ემოციათა ორ-ფაქტორიანი თეორია, რომელიც ჯერომ ზინგერთნ ჩატარებულ ექსპერიმენტს ეყრდნობოდა. ის ორი ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს განსხვავებულ ემოციებს, არის ფიზიკური ცვლილებები ადამიანის სხეულში და ამ ცვლილებების მიზეზი. თეორიის თანახმად, ემოციები წამოიშვება ადამიანების მიერ მათი სიტუაციის ინტერპრეტაციის შედეგად, მათი ფსიქოლოგიური სტიმულირების შემდეგ.

პირველ თავში ასევე მოცემულია ემოციათა კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მათი შემადგენელ კომპონენტების დახასიათებით. ამავე თავში დახასიათებულია ემოციებთან დაკავშირებული რიგი პრინციპები და დეტალურად განხილულია ბაზისური ემოციების ცნება, რომელიც ილუს-

ტრირებულია სხვადასხვა ფსიქოლოგთა კლასიფიკაციებით. მოცემულ თავში ასევე განხილულია შემდეგი საკითხები: ემოცია და ენა, ენა და კულტურა.

მეორე თავი ეძღვნება ემოციური ცნება შიშის განხილვას ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებში. აღნიშნული ემოცია დახასიათებულია ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და ენობრივი კუთხით. ფსიქოლოგები შიშს განმარტავენ, როგორც უარყოფით ემოციას, რომელიც ჩნდება რეალური ან მოსალოდნელი საფრთხის შედეგად და ემუქრება ორგანიზმს, პიროვნებას, მის ღირებულებებს (იდეალებს, მიზნებს, პრინციპებს, სხვ.). შიში ძლიერი ემოციაა და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერცეპტუალურ-კოგნიტურ პროცესებსა და ინდივიდის ქცევაზე. როდესაც ადამიანი განიცდის ამ ემოციას ის დუნდება, მისი ყურადღება მიმართულია მხოლოდ იმ ობიექტსა ან სიტუაციაზე, რომელიც ამცნობს საშიშროების მოახლოებას. შიში ზღუდავს ადამიანის ქცევის თავისუფლებას. შეიძლება ითქვას, რომ შიშის დროს ადამიანი არ ეკუთვნის თავის თავს, მას ამოძრავებს მხოლოდ ერთადერთი სურვილი თავიდან აიცილოს მუქარა, გაექცეს საფრთხეს.

სუსტი შიში განიცდება როგორც საგანგაშო წინათგრძნობა, შფოთვა. ინტენსიური შიში კი როგორც სრული დაუცველობისა და რწმენის უქონლობის გრძნობა. ადამიანს უჩნდება შეგრძნება, რომ სიტუაცია გამოდის კონტროლიდან. ის გრძნობს საფრთხეს საკუთარი ფიზიკური ან ფსიქიკური „მე”-სადმი, ექსტრემალურ სიტუციაში-მუქარას მისი ცხოვრებისადმი.

ცნება შიშის დეფინიციას ფილოსოფოსებთანაც ვხვდებით. არისტოტელეს აზრით, შიში არის ტკივილისაგან გამოწვეული მენტალური სურათი, რომელიც გამომდინარეობს რომელიმე გამანადგურებელი ან მტკივნეული ბოროტებისაგან.

მეტად საინტერესოა შიშის ფენომენი ეგზისტენციალურ ფილოსოფიაში. შიში ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. იგი შემოიტანა ს. კიერკეგორმა. ამ უკანასკნელის აზრით არსებობს „ემპირიული” შიში, რომელ-საც იწვევს კონკრეტული საგანი ან გარემოება და შეუცნობადი შიში. ს. კიერკეგორი შიშს მეტაფიზიკურ მოვლენად მიიჩნევს, რომლის საგანსაც წარმოადგენს „არაფერი” და სწორედ ეს არის ადამიანის მიერ „არაფრის” განცდის ფორმა. მათი აზრით ეს არის ყველაზე ტოქსიკური, ყველაზე დამღუპველი ემოცია (ტომკინსი, 1963).

საკუთრივ ენობრივი განხილვა გულისხმობს ცნება შიშის დეფიციების ანალიზს ავტორიტეტულ ლექსიკონებზე დაყრდნობით, და აღნიშნულ ენებში ცნებების შიში, fear და страх ანალიზს ფრაზეოლოგიის დონეზე.

მესამე თავი ეძღვნება ცნება „ბრაზის" განხილვას ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებში. აღნიშნული ემოცია დახასიათებულია ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და ენობრივი კუთხით. სპეციალურ ფსიქოლოგიური ლიტერატურის თანახმად, ბრაზი არის მავნე, დამღუპველი ემოცია, რომელსაც ბადებს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური შებოჭილობის გრძნობა. მიზეზად ასახელებენ დასახული მიზნის გზაზე არსებულ ნებისმიერ დაბრკოლებას. ამერიკელი ფსიქოლოგი პ. ეკმანი ბრაზს განმარტავს, როგორც გაღიზიანებისა და უსიამოვნების ძლიერ გრძნობას, რომელსაც თან ახლავს მტრული დამოკიდებულება. ლ. ოუთლის აზრით, ბრაზს იწვევს აქტიური გეგმის ფრუსტრაცია (იზარდი, 2000). ბრაზი ხანმოკლე ემოციაა, რაზეც კარგად მეტყველებს ჰორაციუსის გამონათქვამი Anger is short-lived madness. შ. მერფის აზრით ბრაზი არის უარყოფითი ემოციით გამოწვეული ძლიერი პასუხი, რომლის შედეგად ჩნდება განსხვავებული ინტენსივობის შეტაკება. არსებობს ემოციის გამომწვევი, რომელიც ხშირად აღქმაა. შ. მერფი აღნიშნავს, რომ ბრაზი არ არის წმინდა ემოცია, არამედ უფრო ფართო ემოცია, რომელსაც იწვევს რიგი სხვა ემოციებისა, როგორიცაა ფრუსტრაცია, შიში, დეპრესია, სხვ.

საკუთრივ ენობრივი განხილვა გულისხმობს ცნება ბრაზის დეფიციების ანალიზს ავტორიტეტულ ლექსიკონებზე დაყრდნობით, და აღნიშნულ ენებში ცნებების ბრაზი, anger და страх ანალიზს ფრაზეოლოგიის დონეზე. ბრაზის განმარტებას ფილოსოფოსებთანაც ვხვდებით. არისტოტელეს მიხედვით ბრაზი არის „ტკივილის თანმხლები იმპულსი".

შუა საუკუნეების ქრისტიანული ეკლესია ბრაზს სიამაყეს (pride), ფიზიკურ ლტოლვას (lechery), შურს (envy), მომხვეჭელობას (covetousness), სიხარბეს (gluttony) და სიზარმაცესთან (sloth) ერთად ერთ-ერთ მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევდა (Longman Dictionary of English Language and Culture, 1992).

ისლამში, ბრაზი სისუსტის ნიშნად არის მიჩნეული. მუჰამედ წინასწარ-მეტყველის თქმით „ძლიერი ის კი არ არის, ვინც ძალით იმორჩილებს ადამიანებს, არამედ ის, ვისაც შეუძლია თავის გაკონტროლება ბრაზის დროს" ("The strong is not the one who over comes the people by his strength, But the strong is the one who controls him while in anger."

ბუდიზმში ბრაზი მიჩნეულია როგორც ზიზღი, და შედის ხუთი დაბრკოლების ჩამონათვალში ბრაზი (Anger), lust (ძლიერი სურვილი), laziness (სიზარმაცე), restlessness (მოუსვენრობა), doubt (ეჭვი). ბრაზი განმარტებულია შემდეგნაირად: „ვერ აიტანო ობიექტი, ან გაგიჩნდეს სურვილი ზიანი მიაყენო მას".

ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებში არსებული ფრაზეოლოგიური ერთეულები:

- ასახავენ აღნიშნულ ემოციას;
- გამოხატავენ ემოციის თანმხლებ ფიზიოლოგიურ გამოვლინებებს;
- ინგლისურ ენაში ვხვდებით ანდაზებს, რომლებიც რჩევას აძლევენ ინდივიდს, თუ როგორ დააღწიონ თავი სიბრაზის გრძნობას.
- ქართულ ენაში ბრაზი გემოს შეგრძნებებთან არის დაკავშირებული, რომელიც გამოიხატება გაპილპილებითა და გაწიწმატებით.

მეოთხე თავი ეძღვნება ცნება „სიხარულის" განხილვას ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებში. აღნიშნული ემოცია დახასიათებულია ფსიქოლოგიური და ენობრივი კუთხით. საკუთრივ ენობრივი განხილვა გულისხმობს ცნება „სიხარულის" დეფიციების ანალიზს ავტორიტეტულ ლექსიკონებზე დაყრდნობით, და აღნიშნულ ენებში ცნებების სიხარული, joy და радость ანალიზს ფრაზეოლოგიის დონეზე.

მეხუთე თავი ეძღვნება ცნება ბედნიერების განხილვას ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებში. აღნიშნული ემოცია დახასიათებულია ფსიქოლოგიური და ენობრივი კუთხით. საკუთრივ ენობრივი განხილვა გულისხმობს ცნება ბედნიერების დეფიციების ანალიზს ავტორიტეტულ ლექსიკონებზე დაყრდნობით, და აღნიშნულ ენებში ცნებების „ბედნიერება", "happiness" და „счастье" ანალიზს ფრაზეოლოგიის დონეზე.

<u>ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა</u> განპირობებულია იმით, რომ მოპოვებული მასალა და გაკეთებული დასკვნები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ზოგად ენათმეცნიერებაში, ინგლისური ენის ლექსიკოლოგიასა და ფრაზეოლოგიაში, ლინგვოკულტუროლოგიაში სალექციო კურსებისა და სპეცკურსების შემუშავებისას.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დისერტაციაში დასმულია შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. ცნებების „სამყაროს ენობრივი სურათისა” და „სამყაროს ემოციური ენობრივი სურათის” გაანალიზება;
2. ემოციათა წარმოშობისა და კლასიფიკაციის მიმოხილვა;
3. „ემოციური ცნების” განსაზღვრა;
4. ცნებების „შიში”, „ბრაზი”, „სიხარული”, „ბედნიერება” ეროვნული თავისებურებების განსაზღვრა და აღწერა;
5. ბაზისური ემოციების კონცეპტუალიზაციის მეტაფორული საშუალებების გამოვლენა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებში;
6. ემოციური ცნებების ლინგვოკულტურული ანალიზის ჩატარება ზემოხსენებულ ენებში.

I თავი

1.1. ემოციების ზოგადი დახასიათება

ფილოსოფიური ლექსიკონის მიხედვით ემოცია ეწოდება ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობას, რომელიც გამოხატავს მის დამოკიდებულებას საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროს მოვლენებთან (ფილოსოფიური ლექსიკონი, 1987).

ემოციის პრობლემისადმი დაინტერესება ჯერ კიდევ ანტიკური სამყაროდან იწყება. საინტერესოა ძველი ჩინეთის მეცნიერთა დამოკიდებულება ემოციის საკითხისადმი. მათი აზრით, ყველა არსებულის საფუძველს, მათ შორის ადამიანისას წარმოადგენს ხუთი პირველადი ელემენტის: ცეცხლის, მიწის, ლითონის, წყლისა და ხის ერთიანობა; ადამიანის სხეული და სული ასევე უკავშირდება ამ ხუთ ელემენტს, მაგალითად გული-ცეცხლს, ელენთა და სხვა სისხლმბადი ორგანოები-მიწას, ფილტვები და სუნთქვის ორგანოები-ლითონს, თირკმელი და რეპროდუქტიული ორგანოები-წყალს, ღვიძლი-ხეს. პირველად ელემენტებს გააჩნიათ თავიანთი ხასიათი, „სული". პირველად ელემენტთა სულს ადამიანის აღიქვამს იმ ემოციების წყალობით, რომლებსაც ისინი ბადებენ. ცეცხლი ბადებს ბედნიერებას, მიწა განგაშს, ლითონი-სევდას, წყალი-შიშს, ხე-ბრაზს. ემოციათა და სხეულის მჭიდრო ურთიერთკავშირს მივყავართ იქამდე, რომ თუ ადამიანი ბევრს ბრაზობს, მას შეიძლება ატკივდეს ღვიძლი, ან პირიქით თუ ადამიანს ატკივდება ღვიძლი, მას შეიძლება შეეცვალოს ხასიათი: ის გახდება ბრაზიანი, თუმცა ადრე ასეთი არ იყო. ძველი ჩინური მოძღვრების თანახმად, ხუთივე წამყვანი ემოციური მდგომარეობა შეიძლება თანმიმდევრულად შეიცვალოს – ცეცხლი იქცევა ფერფლად-მიწად, მიწა ბადებს – ლითონს, ლითონის დაშლის შედეგად ჩნდება წყალი, წყალი აძლევს სიცოცხლეს ხეს, დამწვარი ხე ბადებს ცეცხლს და სხვ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძლიერი ბედნიერების შემდეგ შეიძლება დადგეს განგაში იმასთან დაკავშირებით, რომ ყველაფერი კარგი ადრე თუ გვიან მთავრდება, განგაშის შემდეგ ჩნდება სევდა, რომ უკვე არაფერი გახარებს, სევდის შემდეგ ჩნდება შიში, ამას მოჰყვება ბრაზი, შემდეგ ისევ ბედნიერება.

სპეციალურ ლიტერატურაში ემოციის როლზე, ბუნებასა და მნიშვნელობაზე აზრთა მრავალფეროვნებას ვაწყდებით. ერთნი თვლიან, რომ ემოციები

წარმოადგენენ ადამიანის საქმიანობის მოტივაციურ საფუძველს. ზოგი მეცნიერი ემოციებს მიიჩნევს ხანმოკლე ფენომენად, მაგრამ სხვები დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ადამიანები მუდმივად იმყოფებიან ამა თუ იმ ემოციის გავლენის ქვეშ (იზარდი, 1992). მეცნიერთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ რომ ემოციები დადებით როლს თამაშობენ ქცევის ორგანიზებასა და მოტივაციაში (იზარდი, 1992). კ. ოუთლი ემოციებს მიიჩნევს კომუნკაციად საკუთარ თავთან და სხვებთან (1993). ემოციები წარმოადგენენ დადებით ძალას ოგანიზმის მიზანმიმართული ქცევის შენარჩუნებასა და გაძლიერებაში (იზარდი, 1992). ტომკინსი თვლის, რომ ემოციები ადამიანის მოტივაციური სისტემაა, და რომ თვითოეული ემოცია მოტივირებადი ინფორმაციის შემცველია (იზარდი, 1991.) ი. რეიკოვსკის აზრით, ემოციები ადამიანის ყოველდღიური თანამგზავრია. ისინი ახდენენ გავლენას მის საქმიანობასა და აზროვნებაზე და წარმოადგენენ ადამიანის ქმედების ძირითად რეგულატორს (რეიკოვსკი, 1979). ვ. შახოვსკი აღნიშნავს, რომ ადამიანი და მისი ემოციები, ერთი მხრივ წარმოადგენენ თვით ობიექტური სინამდვილის ნაწილს, მეორე მხრივ მონაწილეობენ სამყაროს ენობრივი სურათის შექმნაში: ადამიანი, როგორც აქტიური ამსახველი სუბიექტი, ენა, როგორც ასახვის საშუალება, ადამიანის ემოციები-ობიექტური სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ფორმა. (შახოვსკი, 1987).

ადამიანი არა მხოლოდ აქტიურად იმეცნებს გარესამყაროს საგნებსა და მოვლენებს, არამედ ავლენს კიდეც გარკვეულ დამოუკიდებლობას მათ მიმართ, რომლის გამოვლენაც ძირითადად ემოციურია. ზოგიერთი მოვლენა მას აღელვებს, სხვების მიმართ კი გულგრილია. გარე სამყაროს საგნები და მოვლენები ადამიანში აღძრავენ სიამოვნების თუ უსიამოვნების, სიხარულის თუ მწუხარების განცდებს.

იმის მტკიცებით, რომ ემოციები ეს არის სინამდვილის საგნებთან და მოვლენებთან დამოკიდებულების განსაკუთრებული ფორმა, ფსიქოლოგები ხაზს უსვამენ ამ პროცესთა ორ ასპექტს:

1) ასახვის ასპექტი: გრძნობები (ემოციები) წარმოადგენენ სუბიექტისათვის ობიექტური ცოდნის ასახვის სპეციფიკურ ფორმას.
2) დამოკიდებულების ასპექტი: გრძნობები (ემოციები) წარმოადგეს ადამიანის სამყაროსთან აქტიური ურთიერთობის ფორმას. ადამიანი პასიურად, ავტომატურად არ ასახავს მის გარშემო არსებულ სინამდვილეს. გარესამყაროს შეცნობის შედეგად, ადამიანი ამავდროულად სუბიექტუ-

რად განიცდის თავის ურთიერთობას რეალური სამყაროს საგნებთან და მოვლენებთან (იაკობსონი, 1958).

ენციკლოპედია „ბრიტანიკა” ემოციას განიხილავს ადამიანის მოკლე ან შედარებით ხანმოკლე რეაქციად, რომელიც ასახვას ჰპოვებს მის ქცევაში. (ენციკლოპედია „ბრიტანიკა”, 1998).

ემოციის ცნებას ორი ასპექტი აქვს. ერთი უკავშირდება სუბიექტურ გამოცდილებას, „გრძნობას", მეორე კი გრძნობის გამოხატვას. ემოციის ეს დუალური ასპექტი – სუბიექტური და ექსპრესიული პირველად გაჩნდა უ. ჯეიმსისა და ჩ. დარვინის შრომებში.

ფსიქოლოგიაში გრძნობას განასხვავებენ ემოციისაგან. ემოცია არის რომელიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობასთან დაკავშირებული მომენტის მარტივი, უშუალო განცდა. ემოციასთან შედარებით, გრძნობა უფრო რთული ბუნების განცდაა. იგი ასახვის უფრო რთული ფორმაა და დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის. გრძნობები კლასიფიცირდებიან აქტიურ (სთენიკურ) - დადებითი ემოციური ტონის შემცველ და პასიურ - (ასთენიკურ) უარყოფითი ემოციური შეფერილობის მქონე გრძნობებად. გამოიყოფა გრძნობის სპეციფიკური სახეები – განწყობილება, აფექტი, ვნება. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

ა) ***განწყობილება*** არის შედარებით სუსტად გამოხატული ზოგადი ემოციური მდგომარეობა, რომელიც რამდენიმე ხნით მოიცავს პიროვნებას და გავლენას ახდენს მის ქცევაზე;

ბ) ***აფექტი*** არის მოკლეხნიანი ძლიერი გრძნობა. ესაა ფეთქებადი ბუნების, უკიდურესად ინტენსიური ემოცია, რომელიც არ ემორჩილება და არ ექვემდებარება ცნობიერების კონტროლს;

გ) ***ვნება*** არის ინტენსიური და მეტად ხანგრძლივი მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს სუბიექტის ძლიერი სწრაფვა განცდის ობიექტის მიმართ.

1.2. ემოციებთან დაკავშირებული თეორიები

ფსიქოლოგიაში ემოციებთან დაკავშირებით განსხვავებული თეორიები არსებობს. ჩარლზ დარვინი, წიგნში „ემოციების გამოხატვა ადამიანებსა და ცხოველებში", აღნიშნავდა, რომ ემოციური ქცევა თავდაპირველად გამოიყენებოდა, როგორც გადარჩენის საშუალება.

ჯეიმს-ლანგეს თეორია. ფსიქოლოგების უილიამ ჯეიმისა და კარლ ლანგეს მიერ დამოუკიდებლად შემოთავაზებული თეორიის მიხედვით, ემოციებს იწვევს ფსიქოლოგიური რეაქციები გარკვეულ მოვლენებზე. აღნიშნული თეორია შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი თანმიმდევრობით: მოვლენა > სტიმული > ინტერპრეტაცია > ემოცია. ჯეიმს-ლანგეს თეორია მტკიცედ აკავშირებს გონებრივ მდგომარეობას ფიზიოლოგიურ პროცესებთან. ის ამტკიცებს, რომ ემოცია არის მოვლენათა აღქმა სხეულში. ადამიანი ბედნიერია იმიტომ, რომ იცინის, მოწყენილია, იმიტომ რომ ტირის, ეშინია იმიტომ რომ გარბის.

კანონ-ბარდის თეორია. მოცემული თეორიის მიხედვით ფიზიოლოგიური ცვლილებები არ წარმოადგენს ემოციის პირველად მიზეზს, ანუ ადამიანი პირველად ემოციას გრძნობს, ხოლო შემდეგ განიცდის ფიზიოლოგიურ რეაქციებს.

მაგდა არნოლდის თეორია. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ყველა ემოცია არის ადამიანის მიერ სტიმულისა თუ სიტუაციის კოგნიტიური შეფასების ფუნქცია. ემოცია შესაძლებელია შეფასდეს როგორც ცუდი ან კარგი, სანამ სტიმულის მეშვეობით მოხდება ემოციის გამოვლენა.

ლაზარუსის თეორია ემფაზას აკეთებს კოგნტურ ასპექტზე. ამ თეორიის მიხედვით ემოციის-პროვოცირებადი სტიმული იწვევს კოგნიტურ შეფასებას, რომელსაც მოჰყვება ემოცია და ფსიქოლოგიური სტიმული.

ამერიკელი ფსიქოლოგი, ჯონ უოტსონი, რომელიც ემოციათა **ბიჰევიორისტული თეორიის ფუძემდებელია**, თვლიდა, რომ ემოციები ფსიქოლოგიური (მენტალური და სხეულებრივი) რეაქციებია სპეციფიკურ მოვლენებზე. მისი აზრით, ეს რეაქციები მჟღავნდება სამი ძირითადი ფორმით: შიში, ბრაზი და სიყვარული. მისივე აზრით, სწორედ ეს სამი ფორმა წარმოადგენს ბაზისურ ემოციას.

ამერიკელმა ფსიქოლოგმა ს. შახტერმა შემოგვთავაზა ემოციათა ორ-ფაქტორიანი თეორია, რომელიც ჯერომ ზინგერთნ ჩატარებულ ექსპერიმენტს ეყრდნობოდა. ის ორი ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს განსხვავებ-

ულ ემოციებს, არის ფიზიკური ცვლილებები ადამიანის სხეულში და ამ ცვლილებების მიზეზი. თეორიის თანახმად, ემოციები წამოიშვება ადამიანების მიერ მათი სიტუაციის ინტერპრეტაციის შედეგად, მათი ფსიქოლოგიური სტიმულირების შემდეგ.

ემოციის რაციონალური თეორიისათვის ცენტრალურია: ცნობიერება, მოტივაცია და შეფასება. ამ თეორიებში გამოკვეთილი არ არის, შემეცნება იწვევს ემოციებს, თუ ისინი უბრალოდ მოტივაციური პროცესის შემადგენელ ნაწილია. ცოდნასა და ემოციას შორის აუცილებელი კავშირის არსებობის შემთხვევაში, ემოცია შეიძლება მივიჩნიოთ სამყაროს აღქმის რაციონალურ საშუალებად და არა ფიზიკურ შეგრძნებად. ამ თეორიას ბევრი საერთო აქვს ადამიანის იმ შეხედულებებთან ბუნებაზე, რომელიც შეიმჩნევა არისტოტელესტან, თომა აქვინელთან, დიდროსთან, კანტთან და სხვ. ესაა იდეები იმის შესახებ, რომ 1)ადამიანი უპირველეს ყოვლისა რაციონალური არსებაა; 2) რაციონალური თავისი არსებით კარგია, ემოციური ცუდი; 3)კოგნიტური პროცესები უნდა გამოვიყენოთ ემოციათა მაკონტროლირებელ ფაქტორად. ამ კონტექსტში ინტერესს იწვევს რ. მაურერის აზრი, რომლის თანახმადაც ემოციები ინტელექტის ყველაზე მაღალი საფეხურია. ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის სფეროში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ინტელექტი და ემოცია მჭიდროდ ურთიერთქმედებენ შინაგანი სამყაროს სტრუქტურაში. ემოციის კოგნიტური თეორია ემოციებს გონების ფუნქციად მიიჩნევს (იზარდი, 1992).

ემოციის კოგნიტურ ასპექტს ხაზს უსვამს ასევე ლ. ოუთლი, რომელიც თვლის, რომ ემოციის აღმნიშვნელი ცნებები გარკვეული მიზნის შესრულებას უკავშირდება:

ბედნიერება: მიზანი მიღწეულია;

სევდა: გეგმის ჩაშლა ან მიზნის დაკარგვა;

შიში: თვით-შენარჩუნების მიზანი მუქარის ქვეშაა;

ბრაზი: აქტიური გეგმის ფრუსტრაცია;

ზიზღი: დარღვეულია გემოსთან დაკავშირებული მიზანი.

თეზისი ემოციის ინტელექტუალობაზე არგუმენტირდება შემდეგი ფაქტებით:

1) ემოციები წარმოადგენენ გონების ფუნქციას;
2) ინტელექტი და ემოციები მჭიდროდ ურთიერთქმედებენ ადამიანის აზროვნების სტრუქტურაში; არსებობს აზროვნების ემოციური ტიპი;
3) ემოციები, აზრების მსგავსად აისახებიან ცნობიერებაში, ენა კი აზროვნებსათან მჭიდრო კავშირშია.

1.3. ემოციათა კლასიფიკაცია

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ემოციათა სხვადასხვა კლასიფიკაცია. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ადამიანის სინამდვილის მიმართ უშუალო დამოკიდებულების განცდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. თუ რომელიმე საგანი, მოვლენა ან ფაქტი შეესატყვისება ადამიანის მოთხოვნილებებს, იგი იწვევს დადებით ემოციებს, რაც გამოიხატება კმაყოფილებაში, სიხარულში, ბედნიერებაში, სიყვარულში, მხიარულებაში. უარყოფით ემოციებს აქვს უკმაყოფილების, ნაღვლის, ზიზღის, სიძულვილის გამოხატულება. ამდენად, ემოციები იყოფა დადებით და უარყოფით ემოციებად. ამასთან დაკავშირებით კ. იზარდი აღნიშნავს: „ნაცვლად იმისა, რომ ვილაპარაკოთ უარყოფით და დადებით ემოციებზე, უფრო მართებული იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ არსებობს ისეთი ემოციები, რომლებიც იწვევენ ფსიქოლოგიური ენტროპიის მომატებას და ისეთები, რომლებიც ამსუბუქებენ კონსტრუქციულ ქცევას. მსგავსი მიდგომით ამა თუ იმ ემოციას ვაკუთვნებთ დადებითს თუ უარყოფითს იმის მიხედვით, თუ როგორ გავლენას ახდენს იგი პიროვნების და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების პროცესებზე" (იზარდი, 1992).

ზოგი ფსიქოლოგი ემოციებს მიიჩნევს სოციალური გავლენის პროდუქტად. სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორეტიკოსები (ავერილი, 1980, გორდონი 1989) ემოციებს განიხილავენ როგორც დამოკიდებულს დროსა და სივრცეში განსხვავებული სიტუაციის, ემოციური ლექსიკის, ემოციური რწმენების დეფინიციებზე.

ამერიკელი ფსიქოლოგი, ა. ვენგერი თვლიდა, რომ ემოციათა ყველაზე სუბიექტური აღწერა ხდება გარკვეულ განზომილებებზე ან ღერძებზე დაყრდნობით: შიშის ღერძი (terror, anxiety, apprehension), ტკივილის, სიბრაზის, სასოწარკვეთის ღერძები. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზემოთ აღნიშნული განზომილებები ქმნიან სემანტიკური ველის ასოციაციას. რაც შეეხება განზომილებებს მათგან ყველაზე ფართოდ გამოყენებულია ვალენტობა (დადებითი/ უარყოფითი) და აქტივაცია (დამშვიდებული/ აღელვებული).

ბ. დოდონოვი ემოციათა შემდეგ ტიპებს გამოყოფს:

1) ალტრუისტული ემოციები;

ინვარიანტი: სურვილი სხვებს მოუტანო ბედნიერება, სიყვარულის გრძნობა;

2) კომუნიკაციური ემოციები;

ინვარიანტი - ურთიერთობის სურვილი;

3) გლორიული ემოციები (ლათ. გლორია-დიდება);

ინვარიანტი: სიამაყის გრძნობა;

4) პრაქსიული ემოციები:

ინვარიანტი: წარმატების მიღწევის სურვილი;

5) პუგნატური ემოციები (ლათ. პუგნა ბრძოლა);

ინვარიანტი: მწვავე განცდების სურვილი;

6) რომანტიკული ემოციები;

ინვარიანტი: უჩვეულოსადმი ლტოლვა;

7) გნოსტიკური ემოციები (ლათ. გნოსის ცოდნა);

8) ესთეტიკური ემოციები;

ინვარიანტი: სილამაზის წყურვილი;

9) ჰედონისტური ემოციები:

ინვარიანტი: მხიარულების გრძნობა;

10) აკვიზიტური ემოციები:

ინვარიანტი: რამის შეძენის სურვილი.

დ. აპრესიანი გამოჰყოფს სისტემის შვიდ ჯგუფს, რომელიც იერარქიულად დალაგებულია სირთულის ზრდის მიხედვით:

1. ფიზიკური აღქმა (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, ა.შ.)
2. ფიზიოლოგიური მდგომარეობა (შიმშილი, ტკივილი, წყურვილი, ა.შ)
3. ფიზიოლოგიური რეაქციები ზემოქმედების სხვადასხვა ტიპის გარე და შიდა ზემოქმედებაზე (სიმკრთალე, ოფლიანობა, სიცხე და ა.შ)
4. ფიზიკური ქმედებები (მუშაობა, წოლა, სიარული, ჩხვლეტა, ა.შ)
5. სურვილი (ნდომა, მისწრაფება, ცდუნება)
6. ინტელექტუალური საქმიანობა (ფიქრი, გაგება, ცოდნა)
7. ემოციები (შიში, გაკვირვება, იმედი, სიხარული, განსაცდელი)
8. მეტყველება (დაპირება, თხოვნა, ლანძღვა)

ამგვარად, ემოციებს უჭირავთ მეშვიდე ადგილი - ერთ-ერთი მაღალი პოზიცია სირთულის მიხედვით. სირთულის კრიტერიუმად აღებულია სისტემის არაავტონომიურობა, რომელიც ლინგვისტურად იმაში გამოიხატება, რომ

სხვადასხვა სისტემის ლექსიკური ერთეულები აღწერილი არიან სხვა სისტემის ლექსიკურ ერთეულებზე მითითებით, და ნაწილობრივ „ბევრი ემოციური მდგომარეობის ასახსნელად დგება იმის აუცილებლობა, რომ მითითება გავაკეთოთ აღქმაზე, სურვილზე, ინტელექტუალურ საქმიანობასა და ფიზიკურ მოქმედებაზე (აპრესიანი, 1995).

აღნიშნავენ, რომ ემოციები გარკვეული კომპონენტებისაგან შედგება:

ა) სიტუაციური სტიმული ან კონტექსტის შეფასება;

ბ) ფიზიოლოგიური ან სხეულის ცვლილებები;

გ) ექსპრესიული ჟესტების გამოხატვა;

დ) კულტურული იარლიყი (თოიტი, 1989).

ქ. ლისეტი ემოციის შემდეგ კომპონენტებს გამოჰყოფს:

ჟესტ-მიმიკა, ზოგი ემოცია უკავშირდება სპეციფიკურ ჟესტიკულაციებს (ნეიტრალური), ან შესაძლებელია განსხვავებული იყოს როგორც ინდივიდებში, ასევე კულტურებში.

ვალენტობა, რომელიც შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი და რომელიც აღწერს ემოციის სასიამოვნო თუ უსიამოვნო განზომილებას.

ინტენსივობა, რომელიც არის ძალიან მაღალი/მაღალი/საშუალო/ დაბალი/ ძალიან დაბალი.

ხანგრძლივობა, სიცოცხლის მანძილზე/დღეები/წუთები, ემოციების ხანგ-რძლივობა მხოლოდ წუთებით გამოიხატება.

ფოკალურობა, გლობალური/შემთხვევა/საგანი/.

მოქმედება აღნიშნავს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ემოციაზე. სიახლე, რაც იმას გულისხმობს გაჩნდა თუ არა ახალი და მოულოდნელი სტიმული, რომელმაც გამოიწვია შეუსაბამობა სუბიექტის მოლოდინსა და გამოწვეულ სტიმულს შორის.

განზრახულობა, ვინ იწვევს ემოციას.

კონტროლირება, მაღალი/საშუალო/დაბალი/არცერთი რამდენად თვლის ობიექტი, რომ ის აკონტროლებს არსებულ სიტუაციას.

ცვალებადობა,მაღალი/საშუალო/დაბალი/არცერთი მიუთითებს ხანგრ-ძლივობასა და დროზე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია მოხდეს ცვლილება.

დარწმუნებულობა, დარწმუნებული/არა დარწმუნებული, რამდენად დარწმუნებულია სუბიექტი შედეგებში სიტუაციიდან გამომდინარე.

სამართლიანობა, სოციალური ნორმა – შესაბამისი/შეუსაბამო გულისმობს, თუ რამდენად შეესაბამება მოვლენა სოციალურ, კულტურულ ნორმებს, ან მოლოდინს.

შიდა სტანდარტი, შესაბამისი/ შეუსაბამო გულისხმობს, თუ რამდენად შეთავსებადია მოვლენა პიროვნულ სტანდარტებთან.

ქცევითი ტენდენცია, გულისხმობს ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე სათანადო ქცევას.

კაუზალური ჯაჭვი, მოვლენათა კაუზალური ჯაჭვი აღწერს სუბიექტურ კოგნიტურ გამოცდილების კომპონენტებს, რომელიც უკავშირდება ემოციას, რწმენას, მიზნებს (ლესეტი 2002).

ზემოხსენებულ კომპონენტებზე დაყრდნობით ქ. ლისეტი ასევე გვთავაზობს ემოციათა სქემას:

ბედნიერება
ემოციის კომპონენტები:
აგენტი: ჟესტ-მიმიკა: ბედნიერი ვალენტობა: დადებითი ინტენსივობა: მაღალი ხანგრძლივობა: წუთები ფოკალურობა: მოვლენა აგენტობა: დაუზუსტებელი სიახლე: შესაბამისობა კონტროლირება: დაუზუსტებელი ცვალებადობა: მაღალი დარწმუნებულობა: დაურწმუნებელი სოციალური ნორმა: დაუზუსტებელი შიდა სტანდარტი: დაუზუსტებელი ქცევითი ტენდენცია: თავისუფალი სხეულის პოზა: მოდუნებული ვოკალური ტონი: ნეიტრალური

კაუზალური ჯაჭვი:
რაღაც კარგი ხდება მე მინდა ეს ამის გამო თავს ძალიან კარგად ვგრძნობ

ფ. გონზალესი გამოჰყოფს ორ დიფერენცირებულ კომპონენტს – თვისობრივი კომპონენტი, რომელიც გამოიხატება ემოციის ასაღწერად გამოყენებული სიტყვების საშუალებით: (სიყვარული, შიში, ა.შ). მათი მეშვეობით განისაზღვრება ემოციური სიგნალის პოზიტიურობა თუ ნეგატიურობა. მეორე მხრივ, ყველა ემოციას გააჩნია რაოდენობრივი კომპონენტი, რომელიც გამოიხატება სიდიდის გამომხატველი სიტყვების მეშვეობით (პატარა, საკმარისი, ბევრი, რამდენიმე, ა.შ.) (ფ. გონზალესი, 1998).

ემოცია = რაოდენობრივი კომპონენტი + თვისობრივი კომპონენტი		
მაგ. მე ვგრძნობ **დადებითი ემოციები**	ძალიან + განსაკუთრებელი ↕ საკმარისი ძალიან ცოტა	გაგება **სიყვარული** **სურვილი** **პატიცისცემა** **მეგობრობა** **გაგება** **ბედნიერება** **სხვ.**
უარყოფითი ემოციები	ცოტა ძალიან საკმარისი - განსაკუთრებელი საკმარისი	**მოწყენილობა** **შიში** **მღელვარება** **შიში** **უარყოფა** **სხვ.** სევდა

რ. ლაზარუსი თვლის, რომ ემოცია მოიცავს სამ ზოგად კომპონენტს – კოგნიტურს, ფიზიოლოგიურსა და ქცევითს (ლაზარუსი 1994). მსგავსი შეხედულება აქვს ს. კიტაიამას, რომელიც მიიჩნევს, რომ ემოცია შედგება რიგი პროცესებისაგან, როგორიცაა გამოხატულება, კოგნიტური შეფასება და ქცევითი ტენდენციები (კიტაიამა, მარკუსი 1994).

ემოციის კოგნიტური კომპონენტი ჩვეულებრივ აღიქმება, როგორც შეფასებითი პროცესი. ა. ორტონი თვლის რომ გარკვეული მოვლენა, ან ცლილება გარემოში, ფასდება და სწორედ ამ შეფასებას მივყავართ ემოციურ რეაქციამდე. სხვადასხვა ემოციები უკავშირდება შეფასების განსხვავებულ ფორმებს, ზოგი ემოცია კი შეიცავს უფრო რთულ კოგნიტურ შეფასებას, როგორიცაა მაგ. სირცხვილი (ორტონი 1990).

ემოცია ასევე მოიცავს ფიზიოლოგიურ კომპონენტს. ნ. დენზინი ემოციებს განსხეულებრივ გამოცდილებას უწოდებს (დენზინი, 1984).

ემოციის ექსპრესიული კომპონენტი ეს არის ქცევითი პასუხი ანუ კოგ-ნიტიურად შეფასებული და ფიზიოლოგიურად განცდილი გამოცდილების გამოხატულება (ჯოუნსი 1985).

ემოციის ტიპი ემოციის კლასიფიკაციაა - შეფასებით კომპონენტზე დაყრდნობით. ამ მიმართულებით გამოჰყოფენ ემოციათა შემდეგ ტიპებს:

- მომავალზე ორიენტირებული ემოციები (იმედი და შიში);
- კეთილდღეობის ემოციები (სიხარული და დარდი);
- მიკუთვნების ემოციები (სიამაყე, სირცხვილი, აღფრთოვანება, გაკიცხვა);
- მიზიდულობის ემოციები (სიყვარული და სიძულვილი);
- ბედისწერის ემოციები (ბედნიერება, აღშფოთება, სიბრალული).

აღნიშნულ კლასიფიკაციაში სამი შეფასებითი ემფაზა არის

- მოვლენათა შედეგი (კმაყოფილია თუ არა პიროვნება იმით თუ რა მოხდება და ეს შედეგებ თავისთვის არის თუ სხვისთვის);
- ქმედებები (მოსწონს თუ არა არა ინდივიდს)
- ობიექტი (მოსწონს თუ არა ინდივიდს).

განიხილავენ ასევე ემოციის ისეთ მოდელს, სადაც ემოციები დახასიათებულები არიან ორ განზომილებაზე დაყრდნობით – *აქტივაცია* და სიამოვნება (ჯოუნსი 1985). გარდა ამისა, არსებობს ემოციათა ჰიბრიდული

ტიპები, როგორიც არის აქტივირებული- სასიამოვნო (აღტაცებული), არააქტივირებული-უსიამოვნო (დაღლილი), სხვ. (ლარსენი, 1992).

ემოციებთად დაკავშირებით ჯოუნსი ასევე ასახლებს რიგ პრინციპებს. პირველი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ემოციები სოციალურად აგებულია. ჯერ კიდევ განხილვის საგანად რჩება, თუ როგორ გავლენას ახდებს ემოციებზე სოციალური და კულტურული ფაქტორი. ძლიერი კონსტრუქტივისტები მიიჩნევენ, რომ ემოციები სრულიად კულტურულად და სოციალურად კონსტრუირებულია. ბიოლოგიური დეტერმინისტები კი თვლიან, რომ სოციალურ კონსტრუქტივიზმს არავითარი კავშირი არა აქვს ემოციებსა და ემოციურ პროცესებთან. სუსტი კონსტრუქტივისტები აღიარებენ ემოციის ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ განზომილებებს, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ემოციები სოციალურად კონსტრუირებულია (ოუთლი 1993).

ემოციები შესაძლებელია განვიხილოთ როგორც სოციალური სცენარები, რომლებიც კულტურულად არის განპირობებული. ს. კიტაიამა და ჰ. მარკუსი განიხილავენ პროცესს, რომელსაც ისინი „ემოციონალიზაციას" უწოდებენ. ეს პროცესი გულისხმობს, რომ სცენარებში ხდება შინაგანი განცდებისა და გარე რეალობის ინტეგრაცია.

ემოციის მეორე პრინციპი მდგომარებს იმაში, რომ მოვლენათა ინტერპრეტაცია იწვევს ემოციებს. ამ პრინციპის მიხედვით, ემოციები ჩნდება, როდესაც ადამიანი განიცდის ორგანიზებული გეგმის შეწყვეტას მისი აღსრულების დროს ან როდესაც არსებობს აღქმული შეუსაბამობა პიროვნების მოლოდინსა და შესაძლებელ შედეგებს შორის (ისენი, 1984).

მესამე პრინციპის მიხედვით ემოციები იმართება წესების მიხედვით. ა. ჰოშილდი თვლის, რომ ემოციები იქმნება და სოციალურად რეგულირდება გრძნობათა წესების მიხედვით, რომელიც ინდივიდს კარნახობს თუ როგორ „უნდა" განიცადოს ესა თუ ის ემოცია (ჰოშილდი, 1983).

მეოთხე პრინიციპის მიხედვით ემოციური გამოცდილება კომუნიკაციურია, რომელიც იქმნება დისკურსის საშუალებით. ჯ. დანკომი აღნიშნავს, რომ ინდივიდებს შეუძლიათ ჩაებან ემოციურ ცხოვრებაში, რადგანაც მათ აქვთ უნარი შექმნან ნარატივები დისკურსის საშუალებით (დანკომი 1996). დისკურსი, ზემოხსენებულ შემთხვევაში, გულისხმობს კომუნიკაციის ყველა ფორმას. ჯ. ლევიტი აღნიშნავს, რომ რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ემოციათა ცნებების აგება, ამგვარ ცნებათა კონტრუქციის დაყვანა მხოლოდ ლინგვისტურ

საშუალებამდე მეტად პრობლემატური იქნებოდა, ვინაიდან ემოცია გამოხატვა ხდება მრავალი საშუალებით.

მეხუთე პრინციპის მიხედვით ემოციური გამოცდილება ძირეულად მორალურია. შეფასებითი კომპონენტის არსებობა, ასევე ასახავს ემოციათა მორალურ ღირებულებას (ჯოუნსი 1985). ემოციური დისკურსი მხოლოდ ნეიტრალური აღწერა კი არ არის, არამედ კარგის და ცუდის, სწორის და არასწორის აღქმის აღმნიშვნელი. მორალური ემოციების ნიმუშად მოჰყავთ ზიზღი და ბრაზი. ცხადია ბრაზის მორალური ბუნება. ის აღნიშნავს ქცევითი ნორმის დარღვევას საკუთარი თავისა ან სხვის მიმართ. ზიზღი მაშინ ხდება, როდესაც იმდენად დიდია მორალური დარღვევა, რომ შედეგად ხდება სხვა ადამიანის სრული უარყოფა (როზინი, 1993).

მეექვსე პრინციპის შესაბამისად ემოციური კომპეტენცია განვითარებადია. როგორც ინდივიდები, ემოციურად კომპეტენტურები ვხდებით კულტურიზაციის პროცესის შედეგად, რომლის მეშვეობითაც ვსწავლობთ, თუ რომელი ემოციური გამოცდილება და გამონათქვამები არის მისაღები (ჯოუნსი 1985).

1.4. ბაზისური ემოციები

ინტერესს იწვევს ბაზისური ემოციის ცნება. ამერიკელმა ფსიქოლოგმა რ. პლუტჩიკმა აღნიშნა, რომ არსებობს რიგი თანდაყოლილი – ბაზისური ემოციებისა, რომელთაც იგი უკავშირებს ადაპტორულ ქცევებს. აღნიშნულ ემოციებს ასევე უწოდებენ პირველად, ძირეულ ემოციებს. იმის მიუხედავად, რომ ფსიქოლოგები აღიარებენ ასეთ ემოციათა არსებობას, ისინი ვერ თანმხმდებიან თუ რამდენი ემოციაა ბაზისური, რომელი ემოციებია ბაზისური და თუ რატომ არიან ისინი ბაზისურები. ჯ. უოტსონი (1930) ძირეულ ემოციებად მიიჩნევს მხოლოდ fear - love, rage. ჯ. პანკსეპი კი (1982) ოთხ ბაზისურ ემოციას ასახელებს – expectancy, fear, rage, panic.

ზოგი ფსიქოლოგი ემოციების დაყოფას ახდენს პირველად, მეორად და მესამედ ემოციებად. პ. ჯონსონ-ლეარდი და კ. ოუთლი (1987) თვლიან, რომ პირველადი ემოციებია – happiness, sadness, anxiety, anger, disgust.

ცხრილში №1 მოცემულია სამი პირველადი ემოცია და მათგან წარმოქმნილი მეორადი და მესამედი ემოციები.

ბაზისური ემოციები უნივერსალურია, და მათი გამოხატვა შეიძლება არ იყოს დამოკიდებული კულტურასა და პიროვნულ გამოცდილებაზე. შესაძლებელია მათი გამოხატვა ჟესტ-მიმიკის საშუალებით. დადგინდა შემდეგი ბაზისური ემოციები, რომლებსაც გააჩნიათ სახის შესატყვისი გამოხატულება: anger, surprise, disgust, sadness, happiness and fear (ცხრილი № 2).

ცხრილი №3 ნაჩვენებია ემოციებისა და მათი დამოკიდებულება ადაპტორულ ქცევებთან.

ცხრილი 1

პირველადი ემოცია	მეორადი ემოცია	მესამედი ემოცია
JOY	Cheerfulness	Amusement, bliss, cheerfulness, gaiety, glee, jolliness, joviality, joy, delight, enjoyment, gladness, happiness, jubilation, elation, satisfaction, ecstasy, euphoria
	Zest	Enthusiasm, zeal, zest, excitement, thrill, exhilaration
	Contentment	Contentment, pleasure
	Pride	Pride, triumph
	Optimism	Eagerness, hope, optimism
	Enthrallment	Enthrallment, rapture
	Relief	Relief
ANGER	Irritation	Aggravation, irritation, agitation, annoyance, grouchiness, grumpiness
	Exasperation	Exasperation, frustration
	Rage	Anger, rage, outrage, fury, wrath, hostility, ferocity, bitterness, hate, loathing, scorn, spite, vengefulness, dislike, resentment
	Disgust	Disgust, revulsion, contempt
	Envy	Envy, jealousy
	Torment	Torment
FEAR	Horror	Alarm, shock, fear, fright, horror, terror, panic, hysteria, mortification
	Nervousness	Anxiety, nervousness, tenseness, uneasiness, apprehension, worry, distress, dread

ცხრილი 2

ემოცია	მიმიკური გამოხატულებები
FEAR	Eyes wide, closed or pointing down; raised eyebrows; mouth open or corners turned down; chin pulled in; head down, white face.
ANGER	Eyes wide and staring; eyebrows pulled down (especially in middle); wrinkled forehead; flared nostrils; mouth flattened or clenched teeth bared; jutting chin, red face.
HAPPINESS	Mouth smiling (open or closed); possible laughter; crows-feet wrinkles at sides of sparkling *eyes*; slightly raised eyebrows; head level.
SADNESS	Eyes cast down and possibly damp or tearful; head down; lips pinched; head down or to the side.
DISGUST	Eyes and head turned away; nostrils flared; nose twisted in sneer; mouth closed, possibly with tongue protruding; chin jutting.

ცხრილი 3

ემოცია გრძნობა	შესაძლებელი სტიმული	ადაპტორული ქცევა
ბრაზი	ხელი გეშლება იმის კეთებაში, რაც გინდა	ყველაფერის განადგურება
შიში	ნებისმიერი საფრთხე ან მუქარა	თავის დაცვა ადგილზე გაქვავებით
სევდა	მნიშვნელოვანის დაკარგვა	დახმარებისა და სიმშვიდის ძიება
ზიზღი	რაღაც საშინელი	ზიზღის გამომწვევი საგნების უარყოფა
გაკვირვება	მოულოდნელი შემთხვევა	ახალ საგანზე ფოკუსირება

ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ძირითად ფერთა მსგავსად არსებობს ძირითადი ემოციები. ისინი გამოყოფენ anger, sadness, joy, pain, fear.

კ. იზარდი გვთავაზობს ბაზისური ემოციების განსაზღვრის რამდენიმე კრიტერიუმს:

1) ბაზისურ ემოციებს აქვთ გამოკვეთილი და სპეციფიკური ნერვული სუბსტრატები;

2) ბაზისური ემოციები ვლინდებიან სახის მოძრაობის (მიმიკების) გამომხატველობითი და სპეციფიკური კონფიგურაციის საშუალებით;
3) ბაზისურ ემოციებს თან ახლავს ადამიანის მიერ გააზრებული გამოკვეთილი და სპეციფიკური განცდა;
4) ბაზისური ემოციები გაჩნდნენ ევოლუციურ-ბიოლოგიურ პროცესთა შედეგად;
5) ბაზისური ემოციები ახდენენ მაორგანიზებელ და მოტივირებად გავლენას ადამიანზე.

რ. პლუტჩიკის (1980) ბაზისური ემოციების ფსიქოევოლუციური თეორია ათ ძირითად პოსტულატს ეყრდნობა:

1. ემოციის ცნება გამოიყენება ყველა ევოლუციურ დონეზე, როგორც ცხოველებში ასევე ადამიანებში;
2. ემოციებს ევოლუციური ისტორია და გამოხატვის სხვადასხა ფორმა აქვს.
3. ემოციები თამაშობდნენ ადაპტაციურ როლს და ეხმარებოდნენ ორგანიზმს გამკლავებოდნენ გარემოს მიერ წამოყენებულ გადარჩენის ძირითად პრობლემებს;
4. ემოციათა გამოხატვის სხვადახვა ფორმის მიუხედავად, შეინიშნება საერთო ელემენტი, ანუ პროტოტიპული ნიმუში;
5. არსებობს ბაზისურ, პირველად ანუ პროტოტიპულ ემოციათა მცირე ნაწილი;
6. ყველა სხვა ემოცია შერეული ანუ დერივაციული ბუნებისაა; ისინი წარმოადგენენ პირველად ემოციათა კომბინაციას, ანუ რთულ ფორმებს;
7. პირველადი ემოციები ჰიპოთეტური კონსტრუქტებია
8. პირველადი ემოციების კონცეპტუალიზაცია შესაძლებელია პოლარუ-ლი ოპოზიციური წყვილების თვალსაზრისით;
9. ყველა ემოცია განსხვავდება სხვებთან მსგავსების ხარისხით
10. თითოეული ემოცია განსხვავდება ინტენსიურობის ხარისხით.

რ. პლუტჩიკი გამოყოფს რვა ბაზისურ ემოციას, შემდგარს ოთხი ოპოზიტური წყვილისაგან: joy and sadness, acceptance and disgust, fear and anger, surprize and anticipation. რ. პლუტჩიკი თვლის, რომ შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე ემოციის განცდა, მაგ. Joy and acceptance ქმნიან love-ს.

ფ. შეივერი, რომელიც ბაზისური ემოციების ხის მსგავს ტაქსონომიას გვთავაზობს, შემდეგ ბაზისურ ემოციებს გამოჰყოფს: love, joy, anger, sadness, fear, surprise.



ა.ორტონმა და ტ. ტერნერმა ნაშრომში "What' basic about basic emotions" შექმნეს სქემა, სადაც გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე მოცემულია სხვადასხვა ფსიქოლოგთა მიერ დადგენილი ბაზისური ემოციები.

ცხრილში №4 წარმოდგენილი ბაზისური ემოციების კლასიფიკაციათა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ფსიქოლოგთა უმრავლესობა – (ცხრა), ემოცია fear-ს (შიში) მიიჩნევს ბაზისურად, შვიდი მკვლევარი – anger-ს (ბრაზი), ხუთი –ემოციებს joy (სიხარული), saddness (სევდა), disgust (ზიზღი), სამი კი – happiness (ბედნიერება).

სადისერტაციო ნაშრომში ემოციებს – anger, fear, joy და happiness სახელდებას განვიხილავ თანამედროვე ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენათა მაგალითზე.

კვლევის მიზანია დავადგინო:

1) თუ რამდენად შეესაბამება ბაზისური ემოციების ენობრივი ნომინაცია მათ ფსიქოლოგიურ ბუნებას;
2) ფარავენ თუ არა სემანტიკურად ერთმანეთს ბაზისური ემოციების აღმნიშვნელი ერთეულები ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებში.

ცხრილი №4

ბ ა ზ ი ს უ რ ი ე მ ო ც ი ე ბ ი	
არნოლდი	Anger, aversion, courage, dejection, desire, despair, fear, hate, hope, love, sadness
ეკმანი, ფრიზენი, და ელსუორთი	Anger, disgust, fear, joy, sadness, surprise
ფრიჯდა	Desire, happiness, interest, surprise, wonder, sorrow
გრეი	Rage and terror, anxiety, joy
იზარდი	Anger, contempt, disgust, distress, fear, guilt, interest, joy, shame, surprise
ჯეიმზი	Fear, grief, love, rage
მაკდოუგალი	Anger, disgust, elation, fear, subjection, tender-emotion, wonder
მოურერი	Pain, pleasure
ოუთლი და ჯონსონ-ლაირდი	Anger, disgust, anxiety, happiness, sadness
პანკსეპი	Expectancy, fear, rage, panic
პლუტჩიკი	Acceptance, anger, anticipation, disgust, joy, fear, sadness, surprise
ტომსონი	Anger, interest, contempt, disgust, distress, fear, joy, shame, surprise
უოტსონი	Fear, love, rage
ვაინერი და გრეიემი	Happiness, sadness

1.5. ემოცია და ენა

ემოცია ფსიქოლოგიური კატეგორიაა, მაგრამ რადგანაც მათი გამოხატვა ხდება ენის საშუალებით, ისინი ტრანსფორმირდებიან ენაში. ამასთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავს მ. მაკოვსკი: „ადამიანი სიტყვების საშუალებით ახდენს ემოციებზე წარმოდგენის რეპროდუცირებას".

თანამედროვე ენათმეცნიერებაში გამოყოფენ ემოტოილოგიას ანუ ემოციის ლინგვისტიკას (ვ. შახოვსკი 1983), რაც ერთი მხრივ მეტყველებს ემოციის ენის შესწავლის აქტუალობაზე, ხოლო მეორე მხრივ, დაგროვილ ემპირიულ მასალაზე.

ემოტიოლოგიას საფუძვლად უდევს ემოციათა რიგი კონცეფციები და თეორიები: ფილოსოფიური, ბიოლოგიური, კოგნიტიური, ფსიქოლოგიური, სოციალური, მოტივაციური და ა.შ

ენა, ერთი მხრივ, გამოხატავს ადამიანის ემოციურ მდგომარეობას, ხოლო მეორე მხრივ, იგი ახდენს მათ ნომინაციას. ემოტიურობა ენის ისეთი თვისებაა, რომლის საშუალებითაც გამოიხატება ემოციური განცდები ენაში. ემოტივი არის ენობრივი ერთეული, რომლის სემანტიკურ სტრუქტურაში სემანტიკური ნიშნების, სემების სახით გადმოცემულია ემოციური წილი. ემოციები ფსიქოლოგიური კატეგორიაა, ემოტიურობა კი ენობრივი.

ენა წარმოადგენს ადამიანის ემოციების შესწავლის გასაღებს, ვინაიდან ის ახდენს მათ ნომინირებას, გამოხატვას, აღწერას, იმიტირებას, სიმულირებას, კატეგორიზებას, კლასიფიცირებას, სტრუქტურირებასა და, კომენტირებას. სწორედ ენა ახდენს ამა თუ იმ ლინგვოკულტურული სამყაროს ემოციური სურათის ფორმირებას (შახოვსკი, 1983).

ემოციებზე ახალი მეცნიერების ძირითად საკითხებსა და ამოცანებს შორის, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- ემოტიურობის პრობლემა ენაში: მისი ნიშნები და მარკერები
- ენაში ემოციათა გადმოსაცემად ნიშანთა ტიპოლოგია;
- ენაში ემოტიურობის საშუალებების დინამიკის ცვლილება;
- ერთი და იმავე ემოციის წარმოდგენა სხვადასხვა ენაში და მისი ნომინაციის საშუალებები;

- ემოტიური მრავალმნიშვნელობის პრობლემა, რომელიც უკავშირდება უცხო ენაზე ემოციათა თარგმანს;
- ემოციის გამოხატვა სხვადასხვა სახის სამეტყველო აქტებში;
- ტექსტის ემოტიურობის საკითხი;
- ემოციათა გამოხატვის ლინგვისტური და პარალინგვისტური საშუალებები[1].
- ემოციის კომუნიკაცია;
- მსოფლიოს განსხვავებული ენების ემოციათა ლექსიკონების კორელაცია;
- ემოციათა გამოხატვის ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა;
- ემოტიურობის ლექსიკოგრაფია, სხვ.

ემოტიოლოგიაში გამოჰყოფენ რიგ ახალ მიმართულებებს: „ემოციათა ლინგვოკულტუროლოგია", „ემოციათა კონცეპტოლოგია", „გენდერული ემოტიოლოგია", „ემოციები პოლიტიკურ ლინგვისტიკაში", „კოგნიტიურ-დისკურსიული ემოტიოლოგია", „ტექსტის ემოტიურობა", „ემოტიური მრავალმნიშვნელობა კულტურათაშორის კომუნიკაციაში" და სხვ.

სემიოტიკური თვალსაზრისით ადამიანის განსხვავებული ემოციური გამოვლინებები, როგორიცაა ემოციური რეაქცია, გრძნობა, ემოციური მდგომარეობა, აფექტები და განწყობა შესაძლებელია გამოიხატოს ენობრივი და პარალიგვისტური საშუალებებით (იხ. სურათი №1 და 2), რომელთა ერთობლიობაც ამა თუ იმ ენის ნიშნობრივ ემოტიურ კოდს ქმნის (ვოლეკი, 1995).

[1] А.С. Илинская, Знаковая типология языковых единиц, репрезентирующих эмоции в Английском языке, 2006

სურ №1

ემოციათა და გრძნობათა გამოხატვის ლიგვისტური (ლექსიკური და სინტაქსური) საშუალებები



ემოტიურობას ფუნქციონალურ-სემანტიკურ კატეგორიად მიიჩნევენ, რომელ-საც ენის მატარებლები თავიანთ ემოციურ მდგომარეობისა და სამყაროსადმი დამოკიდებულების გარე ტრანსლაციისათვის იყენებენ (შახოვსკი, სოროკინი, ტომაშევა, 1998).

ემოტივებში, თავის მხრივ, გულისხმობენ ლექსემებს, რომელიც განკუთ-ვნილია მოლაპარაკეთა ემოციათა გამოსახატავად და/ან მსმენელებზე ემოციური ზემოქმედებისათვის. ემოტივთა რიცხვს მიეკუთვნება ნებისმიერი ლექსემა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამა თუ იმ ემოციის გამოსახა-ტავად (შახოვსკი, 1998). რაც შეეხება ემოსემას (ემოტიურობის სემა), იმავე მეცნიერის აზრით, ეს არის სემათა სპეციფიკური სახე, რომელიც შეეფარდება მოლაპარაკის ემოციებსა და რომელიც სიტყვის სემანტიკაში წარმოდგენილია, როგორც სემანტიკური ნიშნისა და სემური კონკრეტიზატორების ერთობლიობა.

სურ 2

ემოციათა და გრძნობათა გამოხატვის ექსტრალინგვისტური (სახის გამოხატულებები, სხეულის პოზები, ა.შ) საშუალებები



ემოციის ლინგვისტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ემოტიურ ნიშანთა ტიპოლოგიაა. ყველაზე ფართოდ გამოიყენება ვ. შახოვსკის კლასიფიკაცია, რომელიც გამოყოფს ლექსიკას, რომელიც ასახელებს (აღნიშნავს) ემოციებს, ლექსიკას, რომელიც აღწერს ემოციებს, და ლექსიკას, რომელიც გამოხატავს ემოციებს (შახოვსკი, 1998)..

წამყვანი მეცნიერები, რომლებიც ემოტიოლოგიის საკითხზე მუშაობენ, ემოციურად შეფერილი ლექსიკის გამიჯვნის აუცილებლობაზე საუბრობენ. ემოციათა ლექსიკა ენაში ორიენტირებულია ემოციათა ობიექტივაციაზე, მათ ინვენტარიზაციაზე (ნომინაციური ფუნქცია). ემოციათა ლექსიკა ისეთ სიტყვებს შეიცავს, რომელთა საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობა ქმნის გაგებას ემოციებზე, მაგ. როგორიცაა joy, disgust, wonder, shock, anger, horror, sorrow, happiness, excitement. ემოციური ლექსიკა გამოხატავას მოლაპარაკის ემოციებსა და მეტყველების ობიექტის ემოციურ შეფერილობას. მათ რიცხვს მიეკუთვნება ემოციურად შეფერილი სიტყვები და გამონაქვამები, როგორიცაა wow, furisouly, with hate, glad, “What a pig he is!”.

ემოტივებში ერთიანდებიან აფექტივები–შორისდებულები, მოფერებითი სიტყვები, უცენზურო ლექსიკა მაგ. Damn, bloody, bunk, სხვ. კონოტატივები–ემოციურად შეფერილი სემის შემცველი სიტყვები, მაგ. Foxy, birdie, სხვ. ექსპრესივები – ექსპრესიული ფუნქციის მატარებელი ენობრივი ერთეული, მაგ. Bake (შეწვა→ „მზეზე გარუჯვა”), gash (ღრმა ჭრილობა→„პირი”), jaw (ყბა→„დიდხანს და მომაბეზრებლად ლაპარაკი”).

ვ. აპრესიანი აღნიშნავს, რომ ემოციათა ასაღწერად არსებობს ორი მიდგომა - აზრობრივი და მეტაფორული, უპირატესობას ანიჭებს ე.წ. სიმპტომატურ ლექსიკას, რომელის უფრო ადექვატურად აღწერს ფიზიოლოგიურ, ადამიანის მიერ განცდილ რეაქციას ამა თუ იმ ემოციაზე (აპრესიანი, 1993).

ზ. კოვეშეჩი ემოციათა აღმნიშვნელს ლექსიკას ექსპრესიულად და დესკრიპციულად ჰყოფს. ემოცითა აღმნიშნველი ზოგიერთი სიტყვა გამოხატავს ემოციებს, ზოგიც კიდევ აღწერს მას (კოვეშეჩი 2003).

ემოციათა ტერმინების დესკრიფციული და ექსპრესიული კატეგორიები, როგორც აღნიშნავს ზ. კოვეშეჩი, ანალოგიურია სერლის ასერტიული და

ექსპრესიული სამეტყველო აქტების კატეგორიებისა[2], იმ მოსაზრებით, რომ დესკრიპციულ ტერმინებს ასერტიული ფუნქცია აქვს, ხოლო ექსპრესიული ტერმინები ხშირად ექსპრესიულ სამეტყველო აქტებს წარმოადგენს.

არის შემთხვევები, როდესაც ემოციების დესკრიპცია და ექსპრესია ერთმანეთის მსგავსია. მაგ. love გამოიყენება სიყვარულის ემოციის როგორც ასაღწერად, ასევე გამოსახატავად.

თავის მხრივ, დესკრიფციული იყოფა პირდაპირ (ბაზისური – არაბაზისური) და ფიგურალურ ენად (მეტაფორა – მეტონომია) (კოვეშეჩი, 2003)[3]

სამყაროში უნივერსალური და ბაზისური ცნებების ახსნა მეტაფორული ენის საშუალებით ხდება (კოვეშეჩი 2003). ენაში მეტაფორები გამოიყენება აბსტრაქტული ცნებების უფრო მეტად დაკონკრეტებისათვის. ამ კოგნიტურ პროცესს, რომელსაც „კონცეპტუალიზაციას" უწოდებენ, იმისათვის გამოიყენებენ, რომ ისეთ აბსტრაქტულ ცნებას, როგორიცაა ემოციური მდგომარეობა მისცეს უფრო ფიზიკური და ხელშესახები არსი თუ გრძნობა. ემოციური მდგომარეობის კონცეპტუალიზაცია შესაძლებელია აიხნას ორი სფეროს ურთიერთობით, რომელთაგან პირველი უფრო ფიზიკური თუ კონკრეტულია, ვიდრე მეორე. ამდენად, აბსტრაქტული ცნებების გაგება უფრო კონკრეტული ცნებების მეშვეობით ხდება. მაგალითად, აბსტრაქტული „ბრაზი" აიხსნება უფრო კონკრეტული „სიცხის" საშუალებით. შესაბამისად, „ბრაზი" „დუღილთან" ერთად კონცეპტუალური მეტაფორის „ბრაზი არის ცხელი სითხე კონტეინერში" ლინგვისტური ნიმუშია (ჯ. ლეიკოფი, ზ. კოვეჩეში 1983).

---

[2]Zoltan Kovecses, Metaphor and Emotion: Language, Culture, and Body in Human Feeling.Cambridge University Press2003

[3] იხ. სურ.3, რომელიც მოყვანილია ზემოთ დასახელებული ლიტერატურიდან

ჯ. ლეიკოფი აღნიშნავს, რომ სხეულებრივი გამოხატულება უნივერსალურია, და შესაძლებელია, რომ სწორედ ამიტომ გამოიხატება ბაზისური დონის მეტაფორებით, რომელიც საერთოა სხვადასვა დროსა და ადგილას მყოფი ადამიანებისათვის (ლეიკოფი, 1987). ჯ. ლეიკოფის აზრით, ყოველდღიური მეტაფორები მხოლოდ ლინგვისტური კი არ არის, არამედ თავისი ბუნებით კონცეპტუალუარია, რომელთაც შეუძლიათ სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური რეალობის შექმნა (ლეიკოფი, ჯონსონი 1980). „შეუძლებელია ვისაუბროთ, ან შევისწავლოთ კოგნიცია კულტურულ სამყაროსთან სპეციფიკური განსხეულებრივი ინტერაქციისაგან განყენებულად. რასაც ჩვენ მივიჩნევთ მნიშვნელობის მქონედ ფიზიკურ სამყაროში დიდად შეზღუდულია ჩვენი კულტურული შეხედულებებისა და ღირებებულებებით (გიბსი, 1999).



სურ.3

ენობრივი მეტაფორა ენის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. სწორედ ის არის მრავალი ენობრივ პროცესის საფუძველი – სინონიმური საშუალებების განვითარება, ახალი მნიშვნელობებისა და მათი ნიუანსების გაჩენა, პოლისემიის შექმნა, და ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკის განვითარება. ამასთანავე, მეტაფორის საშუალებით ხდება იმ წარმოდგენების ვერბალიზება, რომელიც ადამიანის შინაგან სამყარო ეხებას. როგორც

აღნიშნავს ნ. არუტუნოვა, „მეტაფორების გარეშე არ იარსებებდა „უხილავი სამყაროს" ლექსიკა"[4].

კონცეპტს გასანსაზღვრავენ, როგორც ადამიანის მენტალურ და ფსიქიკური პროცესების, ადამიანის ცოდნის შენახვის, გადაცემის ძირითად ერთეულს, რომელიც განპირობებულია კულტურით, ისტორიით, სოციალური და ადამიანის ცხოვრების სხვა სფეროებით. ემოციური კონცეპტის ქვეშ გულისხმობენ მენ-ტალურ აბსტრაქტურ ერთეულს, რომელიც ასახავს ხალხის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას.

კოგნიტური ლიგვისტიკის თანამედროვე თეორიებში კონცეპტის ცნება განიხილება, როგორც ადამიანის ცნობიერების ფსიქიკური მეხსიერების ერთეული. ე. კუბრიაკოვას განმარტებით, კონცეპტი ეს არის „მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემის, აზროვნების ენის (lingua mentalis), და ადამიანის ფსიქიკაში ასახული სამყაროს მთელი სურათის მეხსიერების შინაარსობრივი ერთეული". [5]

ზ. პოპოვი და ი. სტერნინი კონცეპტის სტრუქტურის მრავალგანზომილებაზე საუბრობენ და თვლიან, რომ სხვადასხვა ენაში ერთსა და იმავე კონცეპტის რეპრეზენტაციის ანალიზი მოცემული ერთეულის ეროვნული სპეციფიკის გამოვლენის საშუალებას იძლევა (პოპოვა, სტერნინი 2000).

ს. ვორკაჩოვი კონცეპტის მრავალგანზომილებაში გულისხმობს და გამოჰ-ყოფს სამ შემადგენელ ნაწილს: ცნებითს, მნიშვნელობითს და სახეობრივს, აღნიშნავს რა, რომ სწორედ თანამედროვე ლინგვოკულტურულ მიდგომაში კონცეპტისათვის სახეობრივი არის წამყვანი, როგორც სულიერი ღირებულების ცნება გამოკვეთილი ეთნოკულტურული სფეციფიკაციით (ვორკაჩოვი, 2004).

ემოციების მეტაფორული აღწერის მცდელობები არაერთხელ იქნა გამოყენებული მკვლევარების მიერ. მაგ. ჯ. ლეიკოფი და მ. ჯონსონი აღნიშნავენ, რომ ემოციათა გამომხატველი ენობრივი საშუალებები უმეტეს შემთხვევაში მეტაფორულია. ემოციები ხშირ შემთხვევაში პირდაპირ კი არ გამოიხატებიან, არამედ გაიაზრებიან სხვა რომელიმე სისტემის სახით. მაგ. ემოციები ბედნიერება (happy) და მწუხარება (sad) მეტაფორულად

---

[4] Арутюнова Н. Д. Метафора и дискурс // Теория метафоры. М., 1990. С.

[5] Кубрякова Е. С., Демьянков В. З., Панкрац Ю. Г., Лузина Л. Г. Краткий словарь когнитвных терминов. – М.: МГУ, 1996.

უპირისპირდებიან როგორც ზედა – ქვედა: ბედნიერება – ზევით (happy is up), მწუხარება – ქვევით (sad is down) (ლეიკოფი, ჯონსონი, 1990). ამასთან ჯ. ლეიკოფის აზრით, მოცემულ მეტაფორას გააჩნია, როგორც ფიზიკური (ადამიანი თავს ძირს ხრის, როდესაც ის მოწყენილია, და თავს მაღლა სწევს, როდესაც ბედნიერია), ასევე კულტურული საწყისი „კარგი ზემოთაა", „ცუდი – ქვემოთ".

I. სემანტიკური თვალისაზრისით იდიომები იყოფა შემდეგ კატეგორიებად/ ჯგუფებად:

1) ფრაზეოლოგიური ზმნები
2) მეტაფორა –
3) მეტონომია –
4) სიმილი
5) გამონათქვამები
6) გრამატიკული იდიომები
7) სხვა იდიომები (კოვეჩეში)

ფორმის მიხედვით იდიომების დაყოფა ორ ჯგუფად ხდება: ლექსემურ და ფრაზეოლოგიურ იდიომებად.

ლექსემური იდიომებია: ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც აქვთ მეტაფორული მნიშვნელობა. აღნიშნული იდიომები გვხვდება მეტყველების შემდეგ ნაწილებში:

- ❖ ზმნა
- ❖ არსებითი სახელი
- ❖ ზედსართავი
- ❖ ზმნიზედა

ფრაზეოლოგიური იდიომები რამდენიმე მეტყველების ნაწილისაგან შედგებიან (მაგ. გამონათქვამები - sayings).

II. The Oxford Dictionary of English Idioms (1993) მიხედვით გამოიყოფა იდიომათა რამდენიმე ჯგუფი:

1. წმინდა იდიომები – გაქვავებული ფრაზები, რომლებიც წარმოიშვნენ მყარ სიტყვათა ჯგუფის იდიომატიზაციის პროცესის შედეგად;
2. ფიგურატიული იდიომები, რომლებიც არ უშვებენ რაიმე ცვლილებას

3. შეზღუდული შესიტყვებები, სადაც ერთი კომპონენტი არის გადატანილი მნიშვნელობით, ხოლო მეორე - პირდაპირი მნიშვნელობით
4. ღია შესიტყვებები – სინტაქსური სტრუქტურა, რომლის შემადგენლები იხმარებიან პირდაპირი მნიშვნელობით.

III. შედარების კრიტერიუმად შესაძლებელია დავაჯგუფოთ იდიომები შემდეგ ჯგუფებში:

1. იდიომები, რომლებსაც ხასიათდებიან სრული მსგავსებით
2. იდიომები, რომლებიც ხასიათდებიან ნაწილობრივი მსგავსებით
3. იდიომები, განაწილების სხვაობის/მსგავსების მიხედვით.
4. იდიომები, რომლებიც გამოხატავენ მოქმედებასა თუ მდგომარეობას.

1.6. ენა და კულტურა

ტერმინით „კულტურა” აღინიშნება ადამიანის მიერ ნასწავლი ქცევის მოდელი, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას. გამოყოფენ კულტურის შემდგომ ტიპებს: არავერბალური კულტურა, რომელიც თავის მხრივ იყოფა მენტალურ (მაგ. მსოფლხედვა ან ღირებულებითი ორიენტაციები) და ქცევით კულტურებად (სახლში შესვლამდე ფეხის გაწმენდა), და როგორც აღნიშნავს ზოგი ანტროპოლოგი არსებობს ასევე მატერიალური კულტურა, რაც გულისმობს ქცევის მატერიალურ პროდუქტებს (სალზმანი, 1993).

როგორც ცნობილია, ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემა მრავალი საუკუნის მანძილზე იწვევდა მეცნიერთა ინტერესს. როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს: „ენა არის არა მხოლოდ ეროვნული კულტურის შედეგი, არამედ მისი განვითარების, წინსვლის უპირველესი საშუალება. ენა განხილულ უნდა იქნას, როგორც კულტურის წარმომქნელი ძალა, რამეთუ სწორედ ენაა აუცილებელი პირობა ადამიანის კულტურის შემოქმედებაში” (ჯორბენაძე, 1997).

XVII ს. გერმანელი მოაზროვნე იოჰან გოტფრიდ ჰერდერი აღიარებდა სხვადასხვა ხალხის კულტურის თავისებურებებს, რომელიც ბუნებრივი პირობებისა და კულტურული ტრადიციების ერთობლიობის განმსაზღვრელად მიაჩნდა. იგი აზროვნებასა და ენას იდენტურ ფენომენად განიხილავდა. მისი აზრით, ენობრივი ფორმების მკვეთრი განსხვავებულობის გამო, განსხვავებულია სხვადასხვა ხალხის აზროვნების ნორმებიც (ჰერდერი, 1913).

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის აზრით, ყოველი კონკრეტული ენა ერთი და იმავე საგნის სხვადასხვანაირი აღნიშვნა კი არ არის, არამედ სხვადასხვაგვარი ხედვაა. ყოველ ენაში თავისებურადაა გააზრებული ჩვენი გარემომცველი მატერიალური თუ არამატერიალური სამყარო. ენა ბგერათა მეშვეობით საგნის მექანიკური აღნიშვნა კი არ არის, არამედ მათ შესახებ გარკვეული მსოფლხედველობის შემცვლია. ერთი და იგივე რეალობა სხვადასხვაგვარად გარდატყდება, ნაწევრდება სხვადასხვა ენის პრიზმაში. ა. ჰუმბოლდტის კონცეფციამ იმის შესახებ, რომ: 1) ენა არის მსოფლხედველობა; 2) ენა არის ერის უშუალო გამოხატულება; 3) ახალი ენის დაუფლება ახალი მსოფლხედველობის შეძენაა, ბიძგი მისცა ენის კვლევას მისი აზროვნებასთან, ცნობიერებასთან, კულტურასთან მიმართებაში (ჰუმბოლდტი, 1903).

ლინგვოკულტუროლოგია, ეთნოლინგვისტიკის ყველაზე ახალგაზრდა განშტოებად არის მიჩნეული, რომელიც სწავლობს და აღწერს ენისა და კულტურის, ენისა და ეთნოსის, ენისა და ხალხის მენტალიტეტს (თელია 1996). ლინგვოკულტუროლოგია შეიქმნა „ტრიადის – ენის, კულტურისა და პიროვნების საფუძველზე" (ბენვენისტი, 1974) და ლინგვოკულტუროლოგიას წარმოგვიდგენს, როგორც ლინზას, რომლის საშუალებითაც მკვლევარს შეუძლია დაინახოს ეთნოსის მატერიალური და სულიერი თვითმყოფადობა - ვ. ჰუმბოლდტისა და გ. შტაინთალის Folksgeist.

როგორც ცნობილია, ენის სემანტიკური სისტემა ერთი მხრივ, ეფუძნება ანთროპოცენტრიზმის პრინციპს, კერძოდ: გარე სამყაროში არსებულ საგანთა ასაღწერად ენა ათვლის წერტილად იყენებს ადამიანს, ანუ გარე სამყაროს მოვლენათა და ობიექტთა ყველა ენობრივი კატეგორიზაცია ორიენტირებულია ადამიანზე. მეორე მხრივ, ის ეთნოცენტრულია. ენაში აისახება, სამყაროს ადამიანისეული ინტერპრეტაცია, კონცეპტუალიზაცია.

ლინგვისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ემოციათა უნივერსალურობისა და ეროვნული სპეციფიკის საკითხის კვლევას. ამასთან დაკავშირებით, მეცნიერები გამოთქვამენ ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებებს. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ემოციები უნივერსალური კი არა, ეთნოსპეციფიკურია (კ. ლუტცი). კ. ლუტცის აზრით, ემოციათა განცდის შესაძლებლობა დამოკიდებულია კულტურის ტიპსა და ადამიანის ამა თუ იმ ეთნოსზე მიკუთვნებაზე; მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანი ნებისმიერ ემოციას განიცდის მისი ეროვნული მიკუთვნებისაგან დამოუკიდებლად (ს. ტომკინსი, რ. მაკკარტური). მესამე მოსაზრების თანახმად, ემოციები უნივერსალურია, მაგრამ სოციალიზებული კონკრეტულ კულტურაში, კონკრეტულ ეთნოსში ცნებების სახით, ეთნოსპეციფიკური, ვინაიდან ფუნქციონიებენ კონკრეტულ კულტურულ-ენობრივ გარემოში[6].

ანა ვეჟბიცკა მიიჩნევს, რომ შეუძლებელია რომელიმე ერთ ცალკეულ ენაზე სამყარო აღწერო ისე, როგორიც ის სინამდვილეშია, ვინაიდან ყოველი ენა გვთავაზობს სამყაროს განსაზღვრულ სურათს (ვეჟბიცკა, 1992).

თითოეული ენა ეროვნულად სპეციფიკურია. მასში აისახება არა მხოლოდ კულტურისა და ბუნებრივი პირობების თავისებურებანი, არამედ მისი მატარებლის ეროვნული ხასიათიც.

---

[6] Красавский, Н.А. Динамика эмоционалтных концептов в немецкой и русской лингвокультурах, 2001

ენა არა მხოლოდ ასახავს გარესამყაროს, არამედ ხსნის და ახდენს მის ინტერპრეტირებას, რითაც ქმნის განსაკუთრებულ რეალობას, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი (მასლოვა, 2001).[7]

გერმანელი მოაზროვნე, ნეოჰუმბოლდტიზმის წარმომადგენელი ლ.ვაისგერ-ბერიის აზრით, ენა განპირობებს გარესამყაროს გავლენას „ადამიანის შინაგან სულიერ სამყაროზე". ენა არის ეროვნული სულის გამოვლენა. მისი ღრმა რწმენით სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი განსხვავებულად აღიქვამს გარესამყაროს (რუსული ენციკლოპედია, 1971).

ლ. ელმსლევი ენის შესწავლის აუცილებლობას ადამიანის კულტურის ინტერპრეტაციის პროდუქტიულ საშუალებად სახავდა: „ნიშანთა სისტემად მიჩნეული ენა გამოიყენება ადამიანის აზროვნების, მისი ფსიქიკის ბუნების ასახსნელად. ენა, როგორც სოციალური ფენომენი ერის თავისებურებათა გამოვლენას ემსახურება (ელმსლევი, 1999).

ვ. ლეიჩიკი აღნიშნავს, რომ ერთსა და იმავე საგანს ადამიანები სხვანაირად აფასებენ, საგნებთან განსხვავებული დამოკიდებულებისა და განსხვავებული გარემოებების გამო[8].

როგორც ცნობილია, კულტურის საკითხისადმი ინტერესს იჩენენ არა მარტო ლინგვისტები, არამედ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ეთნოგრაფები.

ეთნომეცნიერება სწავლობს ხალხთა კონცეპტუალურ სისტემებს, იმისთვის, რომ გამოავლინოს ხალხის კონცეპტუალური სამყარო მათი ლინგვისტური კატეგორიების საშუალებით. როგორც ასეთი, ეთნომეცნიერება არის ენის, აზროვნებისა და რეალობის შესწავლა. ეთნომეცნიერება მოიცავს კოგნიტურ ანტროპოლოგიას, კომპონენტურ ანალიზს, ეთნოსემანტიკას, ხალხურ ტაქსონომიას და ე.წ. ახალ ეთნოგრაფიას (სალზმანი, 1993).

ვ. გუდინაფი აღნიშნავს, ჩვენ მნიშვნელოვნად ვსწავლობთ კულტურას, როდესაც შევისწავლით მნიშვნელობათა სისტემას, რომლებიც გამოხატულები არიან ლინგვისტური ფორმებით (გუდინაფი, 1964).

ეთნოლინგვისტიკის კვლევის სფეროში ექცევა შემდეგი საკითხები: რამდენად უნივერსალური და თანდაყოლილია ადამიანის ენობრივი შესაძლებლობანი და რამდენად ასახავენ ისინი კონკრეტულ კულტურულ რეალობას. ამ პრობლემათა

---

[7] ვ.ა მასლოვა, ლინგვოკულტუროლოგია, 2001

[8] ვ.ი. ლეიჩიკი языки для специалных целей

გადაჭრა უკავშირდება ეთნოლინგვისტიკის ფუძემდებლის – ფრანს ბოასის მიერ შემოღებულ ცნებას „ლინგვისტური ფარდობითობა", რომელიც „ლინგვისტურ დეტერმინიზმთან" ერთად სეპირ-უორფის ჰიპოთეზას დაედო საფუძვლად. როგორც ცნობილია, ლინგვისტური ფარდობითობა ამტკიცებს, რომ ერთ ენაში კოდირებული თავისებურებანი მხოლოდ ამ ენისთვის არის დამახასიათებელი. ლინგვისტური დეტერმინიზმი აღიარებს იმ იდეას, რომ ცალკეული ენა განსაზღვრავს იმას, თუ როგორ ვხედავთ და აღვიქვამთ ჩვენს გარშემო არსებულ სამყაროს.

ე. სეპირის მიხედვით, „ადამიანები მხოლოდ ობიექტურ ან სოციალურ სამყაროში კი არ არსებობენ, როგორც ხშირად ჰგონიათ ხოლმე, არამედ ისინი განიცდიან იმ კონკრეტული ენის ზეგავლენას, რომელიც მოცემული საზოგადოებისთვის გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს (სეპირი, 1951).

იქედან გამომდინარე, რომ სამყაროს სურათის შექმნაში მონაწილეობას იღებს ადამიანის ფსიქიკური მოქმედების ყველა მხარე, დაწყებული შეგრძნებიდან, აღქმიდან, წარმოდგენებიდან და დამთავრებული ადამიანის აზროვნებით, ამიტომ რთულია საუბარი რომელიმე ერთ პროცესზე, რომელიც დაკავშირებულია ადამიანში სამყაროს სურათის შექმნასთან. ადამიანი განჭვრეტს სამყაროს, გაიაზრებს მას, შეიგრძნობს, შეიცნობს და შემდგომ ასახავს. ამ პროცესების შედეგად, ადამიანს უყალიბდება სამყაროს სახე, ანუ მსოფლხედვა.

სამყაროს სურათის „ანაბეჭდები" შესაძლებელია აღმოვაჩინოთ ენაში, ჟესტებში, სახვით ხელოვნებაში, მუსიკაში, რიტუალებში, ეტიკეტში, მიმიკაში, ადამიანის ქცევაში. სამყაროს სურათი ქმნის ადამიანის დამოკიდებულების ტიპს სამყაროსთან – ბუნებასთან, სხვა ადამიანებთან, აწესებს ადამიანის ქცევის ნორმების სამყაროში, განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას ცხოვრებასთან (ი. აპრესიანი, 1969).

მეტად მნიშვნელოვანია სამყაროს კონცეპტუალიზაციის საკითხი ენის საშუალებით. რ. ლადო, კონტრასტული ლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი აღნიშნავდა: „არსებობს ილუზია იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს მნიშვნელობები მსგავსია ყველა ენაში და ენები განსხვავდებიან ამ მნიშვნელობების გამოხატვის ფორმებით. არსებითად, მნიშვნელობა, რომლებშიც კლასიფიცირდება ჩვენი გამოცდილება კულტურულად არის განპირობებული, და ამდენად ისინი მნიშვნელოვნად ვარირებს ერთი კულტურიდან მეორეში (რ. ლადო 1957).

ენები, იმის გამო, რომ აქვთ სამყაროს თავისებური ხედვა, შეიძლება განსხვავდებოდნენ ისეთი აბსტრაქტული ცნებების დამუშავების ხარისხითაც, როგორიცაა კაუზაცია, აგენტობა, ემოციური სფერო. ემოციები შეიძლება წარმოადგენდნენ კულტურისათვის სპეციფიკურ ფენომენს. ამასთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავს დ. გერცი „არამარტო იდეები, არამედ ემოციებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ კულტურის არტეფაქტებს". ემოციათა გამომხატველი სიტყვები ისეთივე სპეციფიკურია ენისთვის როგორც რიტუალების, ჩვევების აღმნიშვნელი ლექსიკა. (ვეჟბიცკა, 1992).

ა. ვეჟბიცკა ემოციათა შესწავლას ეთნოცენტრული და უნივერსალური კუთხით წარმართავს. ერთი მხრივ, იგი თვლის, რომ ვინაიდან ყოველი ენა თავის „სემანტიკურ სამყაროს" ქმნის, ამიტომ ემოციათა გამომხატველ ცნებათა მნიშვნელობა ორ განსხვავებულ კულტურაში არაიდენტური იქნება. მეორე მხრივ, იგი აღიარებს კულტურისათვის სპეციფიკურ ცნებათა ახსნის შესაძლებლობას უნივერსალური სემანტიკური საწყისების ენაზე.

ეთნოლინგვისტიკაში უნივერსალური კვლევის ნიმუშს წარმოადგენს ა. ვეჟბიცკას კლასიკური შრომები, რომლებიც ეძღვნება ენობრივი მნიშვნელობების აღწერის პრინციპებს. მან შეიმუშავა სემანტიკური საწყისების კვლევის მეთოდი და კვლევის მიზნად დაისახა ე.წ. სემანტიკური საწყისების, უნივერსალური ელემენტარული ცნებების დადგენა, რომლის კომბინაციითაც ყოველ ენას შეუძლია შექმნას მოცემულ ენისა და კულტურისათვის სპეციფიკურ კონფიგურაციათა უსაზღვრო რაოდენობა.

ა. ვეჟბიცკას მიაჩნია, რომ შესაძლებელია ეთნოგრაფიულად სპეციფიკური ცნებების შედარება. მისი თვალსაზრისით მათი შედარება უნდა მოხდეს უნივერსალური სემანტიკური მეტაენის საშუალებით. მეცნიერს კორექტივები შეაქვს სეპირ-უორფის ჰიპოთეზაში: არ შეიძლება იმის თქმა, რომ სხვადასხვა ენების მიერ შემოთავაზებული სამყაროს ცნებები არაშეპირისპირებადია; ისინი შეპირისპირებადია იმდენად, რამდენადაც ითარგმნებიან სემანტიკური საწყისების ენაზე. (ვეჟბიცკა, 1992).

სემანტიკური საწყისები ლექსიკური უნივერსალიებია, ანუ ისეთი ელემენტარული ცნებები, რომლებსაც ნებისმიერ ენაში მოეძებნება მათი აღმნიშვნელი სიტყვა. არსებობს ლექსიკური უნივერსალიების გამოვლენის ორი კრიტერიუმი: 1) როლი, რომელსაც თამაშობს მოცემული ცნება სხვა ცნების ასახსნელად; 2) მოცემული ცნების ლექსიკალიზაცია ენათა უმრავლესობაში.

ლინგვისტური სემანტიკის სფეროში ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, ა. ვეჟბიცკამ მოგვცა ცნებათა პირველი ჩამონათვალი წიგნში „სემანტიკური საწყისები". მასში შედიოდა 14 ელემენტი: მე (I), შენ (you), ვიღაც (someone), ეს (this), ნდომა (want), არნდომა (don't want), ფიქრი (think), თქმა (say), წარმოდგენა (imagine), გრძნობა (feel), ნაწილი (part), გახდომა (become), სამყარო (world).

მოგვიანებით ამ სიაში შევიდა შემდეგი საწყისები:

„სუბსტანტივები": მე (I), შენ (you), ვიღაც (someone), რაღაც (something), ხალხი (people).

„დეტერმინატორები და კვანტიფიკატორები: ეს (this), იგივე (same), სხვა (other), ერთი (one), ორი (two), ბევრი (many, much) ყველა (all).

„მენტალური პრედიკატები" ფიქრი (think), თქმა (say), ცოდნა (know), გრძნობა (feel), ნდომა (want).

„ქმედებები და მოვლენები": კეთება (do), მოხდენა (happen);

„შეფასებები": კარგი (good), ცუდი (bad);

„დესკრიპტორები": დიდი (big), პატარა (small);

„ადგილი და დრო": როცა (when), სად (where), შემდეგ/მდე (after,before); ქვეშ/ზე (under, above);

„მეტაპრედიკატები": არ/უარყოფა (no), იმიტომ, რომ/გამო (because), თუ (if would), შეიძლება (can);

„ინტესიფიკატორი": ძალიან (very);

„ტაქსონომია და პარტონომია": სახეობა (kind of), ნაწილი (part of);

„პროტოტიპი": მსგავსი/როგორც (like).

უნივერსალური ცნებების იდეა მე-17 საუკუნის რაციონალისტ მოაზროვნეებს უკავშირდება: ი. ლაიბნიცი, რ. დეკარტე, ბ. პასკალი. ფილოსოფოსებს აინტერესებდათ, რამდენად იყო შესაძლებელი ისეთი პრიმიტიული ლექსიკის შექმნა, რომლის საშუალებითაც დაძლევდნენ idem per idem (იგივე, იმავე) მეთოდს. ი. ლაიბნიცმა მიზნად დაისახა ასეთი „აზროვნების ენის" (lingua mentalis) შექმნა. ყოველი ადამიანის ცნობიერებაში არის სემანტიკური სისტემა, ე. ი. ელემენტარულ ცნებათა ანუ „ლოგიკურ ატომთა" და წესთა განსაზღვრული რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ უფრო რთულ კომპლექსთა – მენტალურ წინადადებათა ან აზრთა აგებაში. თავისი არსით სემანტიკური სისტემა, ანუ ლინგუა მენტალის უნივერსალურია. ი. ლაიბნიცის აზრით, ყოველი ადამიანი

იბადება ინდივიდუალური იდეებით, რომლებიც გამოცდილების გზით განიცდიან აქტივიზაციასა და განვითარებას: მან ამ იდეებს „კაცობრიობის აზროვნების ანბანი უწოდა". როდესაც მე-17 საუკუნის მოაზროვნეებმა პირველად ჩამოაყალიბეს კონცეფცია თანდაყოლილი იდეების არსებობის შესახებ, დეკარტემ შემოგვთავაზა მათი იდენტიფიკაციისათვის საჭირო ორი კრიტერიუმი: 1) ამ ცნებათა იდენტურობა, 2) მათი განსაზღვრების შეუძლებლობა.

ი. ლაიბნიცმა დეკარტეს მიერ შემოთავაზებულ ორ კრიტერიუმს ერთიც დაუმატა: მოთხოვნა, რომ ადამიანური აზროვნების ანბანის ყველაზე მარტივი ელემენტები ყოფილიყვნენ არა მარტო ნათლად გამოხატული, არამედ აგრეთვე გამხდარიყვნენ „საშენი მასალა" სხვა ცნებათა აგებისას.

თანამედროვე ლინგვისტურ შრომებში სამ კრიტერიუმს კიდევ ორი დაუმატეს:

1) თანდაყოლილი და უნივერსალური ცნებების გამოვლენა გენეტიკურად და კულტურულად განსხვავებულ მსოფლიოს ენათა აღწერაში;

2) ასახსნელი ცნებებისა და ლექსიკური უნივერსალიების იდენტურობა.

ა. ვეჟბიცკა თავის შრომებში გვთავაზობს სემანტიკური საწყისების დახმარებით ისეთ ცნებათა ახსნას, როგორიცაა ემოციები. მაგ. unhappy-ს მნიშვნელობა მის მიერ შემუშავებული ფრეიმული მეთოდით შემდეგი იქნება:

feels unhappy

გრძნობს რაღაცას

ზოგჯერ ადამიანი ფიქრობს ასე:

რაღაც ცუდი შემემთხვა

მე არ მინდა ეს

ამიტომ მინდა რაღაცის გაკეთება

ეს ადამიანი გრძნობს რაღაც ცუდს

გრძნობს რაღაც ამის მსგავსს

ა. ვეჟბიცკას აზრით, თუ გვინდა ემოციური ცნებების ახსნა, მაშინ ისინი უნდა განვსაზღვროთ იმ სიტყვათა დახმარებით, რომლებსაც ინტუიტურად გავიგებთ. ისინი არ უნდა იყოს ემოციებისა ან ემოციური მდგომარეობის სახელები. უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ერთი საერთო ემოციური ცნება „გრძნობა" და რიგი არაემოციური ცნებებისა, როგორიცაა: „ნდომა" „თქმა", „ცოდნა", „კარგი", „ცუდი", და სხვა. (ვეჟბიცკა, 1992).

ამრიგად, ეროვნულად სპეციფიკური ტერმინების ახსნის შესაძლებლობად ა. ვეჟბიცკა სახავს უნივერსალურ სემანტიკურ მეტაენას, ანუ ისეთ ენობრივი ერთეულების არსებობას, რომელიც ლექსიკალიზებულია სამყაროს ყველა ენაში. ა. ვეჟბიცკას აზრით, იმის გამო, რომ ყოველი ენა და კულტურა სამყაროზე განსხვავებული ხედვას გვთავაზობს, ამიტომ კულტურისათვის სპეციფიკური შეიძლება ასევე აღმოჩნდეს ემოციათა გამომხატველი ლექსიკაც.

ორ განსხვავებულ ენასა და კულტურაში ემოციათა აღმნიშვნელი ერთი შეხედვით იდენტური, მაგრამ სიღრმისეულად განსხვავებული ცნებების შედარებას ემსახურება სწორედ ა. ვეჟბიცკას მიერ შემუშავებული ფრეიმული მეთოდი, ანუ ემოციათა აღმნიშვნელი ლექსიკის ასხნა სემანტიკური საწყისების ენაზე.

II თავი

FEAR/შიში/СТРАХ

კ. იზარდმა ჩატარებული კვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ ემოცია, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინიათ არის შიში. ეს ფაქტი კარგად ეხმაურება დ. რუზველტის კონცეფციას, რომლის თანახმადაც „ერთადერთი რისიც უნდა გვეშინიდეს არის თვით შიში" (The only thing we have to fear is fear itself").

ფსიქოლოგები შიშს განმარტავენ, როგორც უარყოფით ემოციას, რომელიც ჩნდება რეალური ან მოსალოდნელი საფრთხის შედეგად და ემუქრება ორგანიზმს, პიროვნებას, მის ღირებულებებს (იდეალებს, მიზნებს, პრინციპებს, სხვ.). მათი აზრით ეს არის ყველაზე ტოქსიკური, ყველაზე დამღუპველი ემოცია (ტომკინსი, 1963).

შიში არის ჩვენი ცხოვრების რეალური ნაწილი. ადამიანმა შიში შეიძლება განიცადოს განსხვავებულ სიტუაციებში. ამ სიტუაციებს გააჩნიათ ერთი საერთო თვისება, კერძოდ მათ ადამიანი აღიქვამს ისეთ გარემოებებად, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს მის სიწყნარესა და უსაფრთხოებას.

შიშს აქვს ინტენსიურობის სხვადასხვა საფეხური და გამოხატვის მრავალი ფორმა. ეს ემოცია ვითარდება განსაზღვრული და სრულიად სპეციფიკური ფიზიოლოგიური ცვლილებებისაგან, ექსპრესიული ქცევისა და განცდებისაგან, რომლებიც გამომდინარეობენ მუქარის ან საფრთხის მოლოდინიდან. მუქარის განცდა გამოიხატება ფიზიკური დისკომფორტით. შიშის სუბიექტურმა განცდამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ადგილზე "გაქვავება", მიიყვანოს იგი აბსოლუტურად უმწეო მდგომარეობამდე, ან პირიქით აიძულოს იგი გაექცეს საფრთხეს.

ჯ. ბოულბი ასახელებს რიგ ექსპრესორულ და მოტორულ აქტებს, რომლებსაც იგი შიშის ინდიკატორებად მიჩნევს. მათ რიცხვს აკუთვნებს ობიექტზე მიმართულ დაძაბულ მზერას, შიშისათვის სპეციფიკურ მიმიკურ გამოვლინებებს, რომლებსაც შეიძლება თან ახლდეს კანკალი ან ტირილი, პანტომიმური კომპლექსები, გაქცევს მცდელობა (იზარდი, 1992).

უ. ჩარლზუორთის მიერ შემოთავაზებული შიშის ინდიკატორთა ჩამონათვალი მოიცავს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა მიმდინარე ქმედებების წუთიერი შეწყვეტა, ხანგრძლივი გაშეშება, დაძაბულობა, გაქცევის რეაქცია ან სახის

სერიოზული და შეშინებული გამომეტყველება. უ. ჩარლზუორთის აზრით, შიშს ზოგჯერ თან ახლავს ღიმილი და სიცილი (იზარდი, 1992)

ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ შიშის გაცილებით სანდო და ზუსტი ინდიკატორებია მიმიკური გამოვლინებები. შიშის სრული გამოხატვისას წარბები აწეულია და ოდნავ დადის ცხვირის ფუძესთან, თვალები ფართოდაა გახელილი, ზედა ქუთუთო ზოგჯერ ოდნავაა ზემოთ ასული, რის შედეგადაც ქუთუთოსა და გუგას შორის არსებული თვალის თეთრი გარსი შიშვლდება. პირის კუთხეები მკვეთრადაა გაწეული, პირი კი ჩვეულებრივ ოდნავ გაღებული.

ს. ტომკინსი შიშის მიზეზად ასახელებს დრაივებს (მოტივაციური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ორგანიზმის ქსოვილებში რაღაც ნივთიერების უკმარისობითა თუ ცვლილებით), ემოციებსა და კოგნიტურ პროცესებს. სხვა მეცნიერები შიშის მიზეზების განხილვისას გამოყოფენ სპეციფიკურ მოვლენებსა და სიტუაციებს. (ტომკინსი, 1963)

ემოციებსა და კოგნიტურ პროცესებთან შედარებით, დრაივები შეადგენენ შიშის აქტივატორთა მნიშვნელოვან კლასს. დრაივი ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც მისი ინტენსივობა კრიტიკულ დონეს აღწევს და მიანიშნებს ადამიანის მწვავე ფიზიოლოგიურ დეფიციტზე. ამ შემთხვევაში დრაივი ახდენს ემოციის აქტივირებას და ასეთი ემოცია შეიძლება იყოს შიში.

ს. ტომკინსის აზრით, ინტერესის, გაკვირვებისა და შიშის ემოციათა შორის ურიერთკავშირი განპირობებულია მათი ნეიროფიზიოლოგიურ მექანიზმთა მსგავსებით. ს. ტომკინსი თვლის, რომ „უეცარი და სრული გათავისუფლება ხანგრძლივი და ინტენსიური შიშისაგან ახდენს სიხარულის აქტივირებას, შიშისაგან ნაწილობრივი გათავისუფლება იწვევს აღელვებას.” (იზარდი, 2000).

შიში შეიძლება წარმოადგენდეს პოტენციურად საშიში სიტუაციის კოგნიტური შეფასების შედგეს. კოგნიტური პროცესები წარმოადგენენ შიშის აქტივატორთა ყველაზე ფართო, გავრცელებულ კლასს, მაგ. შიში შეიძლება გამოიწვიოს მოგონებამ განსაზღვრულ ობიექტზე, ობიექტის აზრობრივმა წარმოსახვამ ან განსაზღვრული სიტუაციის ანტიციპაციამ. სამწუხაროდ, ეს კოგნიტური პროცესები საკმაოდ ხშირად ასახავენ არა რეალურ საფრთხეს, არამედ გამოგონილს, წარმოსახვითს, რომლის შედეგადაც ადამიანს ეშინია იმ სიტუციების, რომლებიც არ წამოადგენს რეალურ საფრთხეს. მოგონება განცდილ ან მოსალოდნელ შიშზე შეიძლება თავად იყოს შიშის აქტივატორი. ადამიანი, საგანი ან სიტუაცია შეიძლება გახდეს შიშის წყარო

ა) ჰიპოთეზათა ფორმირების;

ბ) ზიანის მოლოდინის;

გ) შიშის წარმოსახვით ობიექტთან უშუალო შეჯახების შედეგად (იზარდი, 1992).

თითოეული ბაზისური ემოციისათვის, ისევე როგორც შიშისათვის არსებობს ბუნებრივი აქტივატორები, რომელთაც ჯ. ბოულბი საფრთხის „ბუნებრივ სიგნალებს" უწოდებს და მათ რიცხვს მიაკუთვნებს მხოლოდ ოთხ ფაქტორს, სახელდობრ: ტკივილი, მარტოობა, სტიმულაციის უეცარი ცვლილება და ობიექტის სწრაფი მოახლოება. უცილებელი არ არის, რომ ეს ფაქტორები წარმოადგენდნენ შიშის თანდაყოლილ, შინაგან აქტივატორებს, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენ ბიოლოგიურად განწყობილნი ვართ მოვახდინოთ მათზე რეაგირება შიშით.

შიში ტკივილის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი აქტივატორია. ტკივილის მოახლოება ინდივიდში შიშს იწვევს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის არ არის დარწმუნებული, შეძლებს თუ არა გაექცეს საფრთხეს. შიშის მეორე ბუნებრივი აქტივატორია მარტოობა. მარტოდ დარჩენილი ადამიანი გრძნობს მისი უსაფ-რთხოებისადმი მიმართულ მუქარას. სტიმულაციის უეცარი ცვლილება, რომელ-საც ინდივიდი ვერ ეწყობა, შეიძლება გახდეს მისთვის საშიშროების სიგნალი და გამოიწვიოს შიშის ემოცია.

შიში ძლიერი ემოციაა და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერცეპტუალურ-კოგნიტურ პროცესებსა და ინდივიდის ქცევაზე. როდესაც ადამიანი განიცდის ამ ემოციას ის დუნდება, მისი ყურადღება მიმართულია მხოლოდ იმ ობიექტსა ან სიტუაციაზე, რომელიც ამცნობს საშიშროების მოახლოებას. შიში ზღუდავს ადამიანის ქცევის თავისუფლებას. შეიძლება ითქვას, რომ შიშის დროს ადამიანი არ ეკუთვნის თავის თავს, მას ამოძრავებს მხოლოდ ერთადერთი სურვილი თავიდან აიცილოს მუქარა, გაექცეს საფრთხეს.

სუსტი შიში განიცდება როგორც საგანგაშო წინათგრძნობა, შფოთვა. ინტენსიური შიში კი როგორც სრული დაუცველობისა და რწმენის უქონლობის გრძნობა. ადამიანს უჩნდება შეგრძნება, რომ სიტუაცია გამოდის კონტროლიდან. ის გრძნობს საფრთხეს საკუთარი ფიზიკური ან ფსიქიკური „მე"-სადმი, ექსტრემალურ სიტუციაში-მუქარას მისი ცხოვრებისადმი.

ცნება შიშის დეფინიციას ფილოსოფოსებთანაც ვხვდებით. არისტოტელეს აზრით, შიში არის ტკივილისაგან გამოწვეული მენტალური სურათი, რომელიც გამომდინარეობს რომელიმე გამანადგურებელი ან მტკივნეული ბოროტებისაგან.

მეტად საინტერესოა შიშის ფენომენი ეგზისტენციალურ ფილოსოფიაში. შიში ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. იგი შემოიტანა ს. კიერკეგორმა. ამ უკანასკნელის აზრით არსებობს „ემპირიული" შიში, რომელსაც იწვევს კონკრეტული საგანი ან გარემოება და შეუცნობადი შიში. ს. კიერკეგორი შიშს მეტაფიზიკურ მოვლენად მიიჩნევს, რომლის საგანსაც წარმოადგენს „არაფერი" და სწორედ ეს არის ადამიანის მიერ „არაფრის" განცდის ფორმა. „როგორ გავლენას ახდენს არაფერი?"-იგი ბადებს შიშს (კიერკეგორი, 1964). მ. ჰაიდეგერთან შიში ერთ-ერთი ეგზისტენციაა, ვინაიდან მისი საშუალებით ხდება ეგზისტენციის ყოფითი სტრუქტურის, მისი დასასრულის ექსპლიცირება. შიში უკანასკნელ შესაძლებლობად სახავს სიკ-ვდილს. სარტრთან ეგზისტენციალური შიში, ჩვეულებრივი შიშისაგან განსხვა-ვებით ესაა შიში საკუთარი თავის, შესაძლებლობებისა და თავისუფლების წინაშე. „შიში ჩნდება არა იმიტომ, რომ შეიძლება უფსკრულში ჩავარდე, არამედ იმიტომ, რომ მე შემიძლია მასში გადავეშვა" (სარტრი, 1943).

ადრეული ფსიქოანალიზი ანსხვავებს რაციონალურ და ირაციონალურ შიშს. თანამედროვე ნეოფროიდიზმში ცნება შიში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელო-ბას: ის წარმოადგენს გლობალურ, ირაციონალურ მდგომარეობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ რელიგიური წარმოშობის თეორიები (დემოკრიტე, ლუკრეციუსი, იუმი, ჰოლბახი და სხვ) შიშის გრძნობას მიიჩნევდნენ რელიგიური წარმოდგენებისა და რწმენის გაჩენის მიზეზად. ზოგი მეცნიერი შიშს რელიგიურ ემოციად განიხილავს, მაგრამ ე. სეპირი თვლის, რომ შიში რელიგიური ხასი-ათისაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ ღირებულებად ინტეგრირდება შიშის ემოცია და ღმერთის რწმენა.

ყოველივე ზემოთქმული წარმოადგენდა ემოცია შიშის დახასიათებას ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და რელიგიური თვალსაზრისით. ახლა განვიხილოთ, როგორ ასახვას ჰპოვებს იგი ინგლისურ და ქართულ ენებში. ინგლისური ენის ავტორიტეტული ლექსიკონები ემოცია fear-ს შემდეგ განსაზღვრებას იძლევიან: Random House Dictionary-ში მოცემული განმარტებით შიში არის "a distressing emotion aroused by impeding danger, evil, pain, etc whether the threat is real or imagined (დამთრგუნველი ემოცია, რომელსაც იწვევს რეალური ან წარმოსახვითი საფრთხე, უბედურება, ბოროტება, ტკივილი, სხვ). Longman Dictionary of English Language and Culture –ში შიში დახასიათებულია, როგორც "unpleasant and usually strong feeling caused by the presence or expectation of danger"

(უსიამოვნო და ჩვეულებრივ ძლიერი გრძნობა, რომელსაც იწვევს არსებული ან მოსალოდნელი საფრთხე). Random House Dicitionary-ს მსგავსად, ეს ლექსიკონიც შიშს მიიჩნევს უსიამოვნო და ძლიერ გრძნობად და მის გამომწვევ მიზეზად ასახელებს არსებულ საფრთხეს. Collins Cobuild English Language Dictionary-ს მიხედვით, შიში შეიძლება იყოს არა მხოლოდ "unpleasant feeling you have when you think that you are in danger" (უსიამოვნო გრძნობა რომელიც გვეუფლება მაშინ, როდესაც ფიქრობ, რომ საფრთხეში ხარ), არამედ "a thought that something unpleasant might happen or might have happened" (აზრი, რომ რაღაც უსიამოვნო შეიძლება მოხდეს ან შეიძლება მომხდარიყო). ზემოთ მოხსენებული ლექსიკონების მსგავსად, Collins Cobuild English Language Dictionary-ც თვლის, რომ შიში არის უსიამოვნო გრძნობა, რომელიც ადამიანს უჩნდება საფრთხეში ყოფნისას, ამავდროულად მათგან განსხვავებით მიჩნევს, რომ ეს არის აგრეთვე აზრი იმის შესახებ, რომ რაღაც უსიამოვნო შეიძლება მოხდეს ან შეიძლება მომხდარიყო. ამგვარად, შიშის ემოციაზე მოცემული დეფინიციების თანახმად, შეგვიძლია იმის თქმა, რომ შიში არის უსიამოვნო გრძნობა, რომლის გამომწვევია არსებული ან მოსალოდნელი საფრთხე, ან რეალური ან წარმოსახვითი მუქარა. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შიშის ამგვარი ლექსიკური დეფინიცია სრულიად შეესაბამება ამ ემოციის ფსიქოლოგიურ დახასიათებას.

ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებში შიშის მეორე მნიშვნელობად ვხვდებით "reverential awe, esp toward God" (Random House Dictionary) — მოწიწება კრძალვა უზენაესი ძალისადმი. ბიბლიაში ვკითხულობთ: " Let us cleanse ourselves from all filthiness of the flesh and spirit, perfecting holiness in the **fear** of God." **(**2 Corinthians 7. The Holy Bible: King james Version). შიშის ემოციაზე იდენტურ დეფინიციას გვაწვდის ასევე American Heritage Dictionary-იც —"reverential awe, as toward a supreme power".

საინტერესეოა, როგორ გამოიხატება შიში ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. ინგლისურ ენაში შიშზე არსებული ლექსიკის განხილვის შედეგად ნათელი გახდა, რომ ამ ემოციის ყოველი გამოვლინება უშუალო ასახვას ჰპოვებს მის ლექსიკაშიც. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოტანილი ფრაზებიდან დასტურდება, რომ შიში არის ძლიერი ემოცია (Fear is stronger than love), რომელიც მიჩნეულია სიყვარულზე ძლიერ გრძნობადაც კი. შიში იწვევს ტანჯვასა და ტკივილს, (fear has torment, fear brings more pain than does the pain, fear kills more than

illness). შიშით შეპყრობილ ადამიანს არ ძალუძს გონებით მოქმედება, ვინაიდან ამ ემოციური მდგომარეობის განცდისას ადამიანს ეკარგება აზროვნების უნარი. (the fear's greater than the reason for it). შიშის ნეგატიური ბუნება ვლინდება იმაშიც, რომ მას აღიარებენ ბოროტების საწყისად Fear is the father of cruelty, დამონებულთა ღირსებად (Fear is the virtue of slaves, men who fear to live are in love with fear), თუმცა აღნიშნულ ემოციას შეიძლება გააჩნდეს დადებითი მხარეც, რისი ნათელი დადასტურებაცაა შემდეგი ფრაზა: Fear mothers safety, but it often smothers it", რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ შიში ყოველთვის არ წარმოჩნდება უსაფრთხოებისადმი მიმართულ მუქარად, შიშს შეუძლია უზრუნ-ველყოს უსაფრთხოება, თუმცა ხშირად იგი თავგზას უბნევს ადამიანს და საბედისწერო ნაბიჯსაც ადგმევინებს. შიში სიკვდილზე უფრო ძლიერ ფენო-მენადაა მიჩნეული: Fear of death is more to be dreaded than death itself, if you fear death you are already dead, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აღნიშნული ემოციის ძლიერ ხასიათს. შიშის ბუნება გამოხატოს გამოგონილი, წარმოსახვითი და ირეალური საფრთხე ვლინდება გამოთქმაში: Fear is a great inventor". ფსიქოლოგთა მიერ გამოთქმული მოსაზრება შიშისა და სირცხვილის ურთიერზეგავლენის თაობაზე აისახება შემდეგ ფრაზაში: where there is fear there is shame. როგორც ჩანს, ინგლისელთა ხედვით შიში სასირცხვილო გრძნობაა. შიში ადამიანში ბადებს ღმერთისადმი კრძალვას, მოწიწებას, რიდს, რაზეც ნათლად მეტყველებს: Fear of the Lord is the beginning of wisdom (knowledge), the fear of God makes the heart shine, put the fear of God into somebody.

ინგლისურ ენაში უხვად მოიპოვება ისეთი ერთეულები, რომლებიც მიუთითებენ ამ ემოციის ამსახველ ფიზიოლოგიურ გამოვლენებსა და მიმიკურ გამოხატულებებზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსიქოლოგი ჯ. ბოულბი რიგ ექსპრესორულ და მოტორულ აქტებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ შიშის ინდიკატორებს ასახელებს ისეთ მიმიკურ გამოვლინებებს, რომელთაც შეიძლება თან ახლდეს კანკალი და ტირილი. ეს ნათლად ჩანს shake-ის მაგალითზე. შიშის მდგომარეობას გამოსახატავს სიტყვა shake შემდეგ ფრაზაში: to shake like a leaf ან ზოგადად shake with fear. იმავე მდგომარეობას ასახავენ ასევე ზმნები to tremble, მაგ. to tremble with fear, და to quiver-ძლიერი ემოციისაგან გამოწვეული ცახცახი.

ცხრილი № 5

F E A R	თრთოლა, ჟრჟოლა	to shake in one's boots to shake from fear; to quake in one's boots nearly jump out of your skin;
	გულის სხვადასხვაგვარი რეაგირება	his heart sank; his heart leaped into his mouth; his heart missed a beat; to have one's heart in one's mouth
	საფრთხე, სიკვდილი	to frighten someone to death; to scare someone to death; to scare someone stiff scare the hell out of smb
	გაქვავება	fear turned him to stone; to become petrified; to grow (become) dumb; fear rooted him to the ground; to be paralyzed (frozen) with fear; his tongue was swollen with fear; the legs got numb
	ჟრუანტელი	fear makes his flesh creep fear makes his blood creep give somebody goosebumps to give someone the willies
	გონების დაკარგვა	to frighten (scare) the wits out of someone; to frighten (scare) living daylights out of someone; frighten the life out of somebody
	შიში ცოცხალი არსება	Fear has a quick ear fear has a hundred eyes; fear sees danger everywhere; fear eats one's heart out; fear took his breath away

	შიში საგანია	to put fear in somebody's heart; to fall into fear; to put in fear; to throw a scare into someone;
	გარეგნული ცვლილებები	fear twists one's mouth; his face grew white; his face was destroyed; to go grey; to turn grey; to make one's hair stand on end;
	სიცივე	to grow cold with fear; fear makes his blood freeze to make one's blood run cold a cold shiver ran down his spine

ფსიქოლოგების აზრით, შიშის დროს ადამიანს უჩნდება საფრთხისაგან გაქცევის სურვილი, თუმცა შესაძლებელია, რომ ამ ძლიერი ემოციის განცდისას იგი ადგილზე გაქვავდეს. ამ მდგომარეობათა გამოსახატავად ენა მიმართავს შემდეგ ფრაზებს, პირველის შემთხვევაში fear gives wings, მეორის შემთხვევაში კი-to become petrified (ადგილზე გაქვავება).

ფრაზები fear has a quick ear, fear has many eyes გამოხატავენ ამ ემოციის თანმხლებ დაძაბულ მდგომარეობას, რომლის დროს შიშით შეპყრობილი ადამიანი ყურადღებას ამახვილებს და მზერას მიმართავს მხოლოდ იმ ობიექ-ტსა ან სიტაუციაზე, რომელიც უშუალოდ ამცნობს საშიშროების მოახლოებას.

შიშით გამოწვეულ რეაქციას ასახავენ შემდეგი ფრაზები: to make one's hair stand on end, (შიშისაგან თმა ყალყზე დაუდგა), to lose one's head, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანის აღნიშნული ემოციის განცდისას ეკარგება გონებით მოქმედების უნარი, ასევე his heart was in his boots (ძლიერ შეშინდა, დაფრთხა).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი შიშის შემდეგ დეფინიციას გვაძლევს: მოსალოდნელი (ან თავსდატეხილი) საფრთხის განცდით გამოწვე-ული ცუდი, შემაწუხებელი გრძნობა. უნდა აღინიშნოს, რომ შიშის ამგვარი დეფინიცია ემთხვევა ამ ემოციის ფსიქოლოგთა მიერ შემოთავაზებულ დახასიათებას. ძველი ქართული ენის ლექსიკონი კი შიშში შემდეგ

მნიშვნელობებს აერთიანებს – *ზარი, ტუქსვა, ძრწოლა, თრთოლა.* განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

ა) ***ზარი*** – უზომო შიშით ან რაიმე საშინელი სანახაობით, ამბით, გამოწვეული შეშფოთება (შიშის ზარს დასცემს, შიშის ზარი აიტანს);

ბ) ***ტუქსვას*** თანამედროვე ქართულ ლექსიკონში მხოლოდ რისხვის მნიშვნელობა აქვს. სულხან-საბასაც ტუქსვის ასეთივე განმარტებას გვაძლევს“ – ტუქსვა არს რისხვა”;

გ) ***ძრწოლა*** – მეტისმეტი შიშის აღმნიშვნელია;

დ) ***თრთოლა*** არის შიშისაგან გამოწვეული კანკალი, ცახცახი.

ზემოთმოცემული მნიშვნელობებიდან, მხოლოდ ძრწოლა გვევლინება შიშის ემოციის აღმნიშვნელად, რაც შეეხება ზარს, ტუქსვას და თრთოლას, ისინი ასახავენ მოცემული ემოციით გამოწვეულ მდგომარეობას.

ინტერესს არ არის მოკლებული შიშის იმ მნიშვნელობათა მოხმობა, რომლებსაც ვხვდებით სულხან-საბას ლექსიკონში. სულხან-საბა შიშში ექვს ტიპს გამოყოფს. „ხოლო შიშიცა განიყოფების ექვსად: *მცონარებად, კდემულებად, სირცხვილად, განკვირვებად, განცვიფრებად და უღონოებად.*

„***მცონარება*** - „ვიდრემდე არს შიში ყოფადისა მოქმედებისა”.

კდემულება - „შიში მოლოდებითა ძაგებისათა და კეთილ არს ესე ვნებაჲ”. ძველი ქართული ლექსიკონის მიხედვით, კდემულება არის სირცხვილი, რიდი, აქედან გამომდინარე კდემა „რცხუენა”, მორცხვობა, რიდება. როგორც ჩანს, შიშის ამ მნიშვნელობაში იგულისხმება შიში ღმერთისადმი, ანუ მოწიწება, რიდი უზენაესი ძალისადმი.

სირცხვილი - „შიში ბილწებისა რასამე საქმესა ზედა და არცა ესე უსასო არს ცხოვრებისაგან”. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ სულხან-საბასთან შიშის ერთ-ერთ ტიპად მოიაზრება სირცხვილი. ამ ფაქტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადასტურებენ ფსიქოლოგებიც, რომლებიც მიუთითებენ შიშისა და სირცხვილის ურთიერთკავშირზე.

განკვირვება - „შიში დიდისა ოცნებისაგან”;

განცვიფრება - „შიში უჩვეულისა საოცისაგან”;

უღონოება - „შიში განვრდომილების, რამეთუ შეგეშინის რაჲ, ჯაებულ ყოფასა უღონოებითა”. შიშის ამ უკანასკნელ მნიშვნელობაში იგულისხმება შიშით გამოწვეული უძლურება, უღონოება, ფიზიკური უუნარობა.

თანამედროვე ქართული ენის ლექსიკონი სულხან-საბასთან მოცემული შიშის მნიშვნელობებიდან მცონარებასა და კდემულებას ფარავს. დანარჩენი მნიშვნელობები შიშის თანამედროვე დეფინიცაში არ მოიაზრება.

საინტერესოა, როგორ არის წარმოჩენილი ცნება შიში ფრაზეოლოგიურ დონეზე. ამ ემოციაზე არსებული ლექსიკური ერთეულები, ერთი მხრივ ასახავენ ფიზიოლოგიურ ცვლილებებსა თუ მიმიკურ გამოხატულებებს, მეორე მხრივ, გვიჩვენებენ ქართული კულტურის დამოკიდებულებას მის მიმართ.

შიშის ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა: ხანგრძლივი გაშეშება, სახის შეშინებული გამომეტყველება, მიმიკური გამოვლინებები, სახელდობრ ცივი ოფლის დასხმა, ფართოდ გახელილი თვალები გამოხატულებას ჰპოვებენ შემდეგ ფრაზებში: შიშისაგან გაშეშდა, ცივმა ოფლმა დაასხა, შიშს დიდი თვალები აქვს, შიშისაგან ტირილი მორთეს. გაქცევის რეაქცია აისახება ანდაზებში: შიში მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, შიში მაჩვენე და მუხლს გაჩვენებო.

შიშის დროს სხეულის სხვადასხვაგვარი რეაგირება ნაჩვენებია: შიშისაგან მუხლები მოეკეცა, შიშისაგან გული წაუვიდა, გული გაუსკდა, გული გადაუქანდა, ენა ჩაუვარდა, თვალთ დაუბნელდა, შიშისაგან თმა ყალზე დაუდგა, კანკალმა აიტანა, სული ფეხის ფრჩხილებში გაეპარა, ტანზე ეკალი აესხა, ფერმა გადაუარა, ფერი შეეცვალა.

თ. სახოკიას აზრით „შიში განყენებული ცნებაა, რომელიც წარმოდგენილია, როგორც კონკრეტული რამ, ვთქვათ საჭმელი, რომელსაც შეუძლია სხეულში შესვლა მხოლოდ პირის საშუალებით". ამის მაგალითად მოჰყავს შიშის ჭამა, რაც ნიშნავს რაიმე სახიფათო გარემოების გამო წუხილის განცდას.

ცხრილი № 6

ზ ო ზ ო	სიცივე	ცივმა ოფლმა დაასხა სისხლი გაეყინა
	გაქვავება	შიშისაგან გაშეშდა შიშისგანა მუხლები მოეკეცა
	დამუნჯება	ენა ჩაუვარდა ენის დაბმა შიშისაგან დამუნჯდა
	გულის სხვადასხვაგვარი რეაგირება	გული გაუსკდა გული წაუვიდა გულის გადატრიალება გულის გადაქანება
	შიში-ცოცხალი არსება	შიშს დიდი თვალები აქვს
	გაქცევის რეაქცია	შიში მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო შიში მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო შიშით სოროში შეძრომა
	გონების დაკარგვა	თვალთ დაუბნელდა
	შიშის გავლენა სულზე	სული ფეხის ფრჩხილებში გაეპარა შიშით სული სცვივა სული გაეყინა
	ფიზიოლოგიური რეაქციები	კანკალმა აიტანა ტანში ჟრუანტელმა დაუარა შიშისაგან ტირილი მორთეს
	შიშის შთანერგვა	შიშის ქარის ჩაყენება/ატანა შიშის ჭამა შიშმა შეიპყრო
	ფერის შეცვლა	ფერი შეეცვალა მკვდრის ფერი დაედო ფერმა გადაუარა
	თმის საფარი	შიშისაგან თმა ყალზე დაუდგა

რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის **Словарь современного русского литературного языка, 1954** მიხედვით, შიში არის ძლიერი აღელვების, შეშფოთების, სულიერი მღელვარების მდგომარეობა, რომელიც გამომდინარეობს მოსალოდნელი საფრთხისაგან (состояние сильной тревоги, беспокойства, душевное волнение от грозящей или ожидаемой опасности, боязнь). **Словарь русского языка** მიხედვით, შიში რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება 1) ძალიან ძლიერი შეშინება (очень сильный испуг, сильная боязнь). 2) ის შემთხვევები, რომლებიც იწვევენ შიში (события, предмеды, вызивающие чувство боязни, ужаса). შიში, როგორც ძლიერი აღელვების მდგომარეობა მოცემულია **Словарь русского языка** –შიც (состояние сильной тревоги, беспокойства, душевного смятения перед какой-л опасностью, бедой). მოცემულ ემოციაზე იდენტურ განმარტებას ვხვდებით **Толковый словарь русского языка**-შიც, სადაც შიში არის состояние крайней тревоги и беспокойства от испуга, от грозящей или ожидаемой опасности.

ცნება страх -ზე არსებული ლექსიკური ერთეულები, ერთი მხრივ ასახავენ ფიზიოლოგიურ ცვლილებებსა თუ მიმიკურ გამოხატულებებს, მეორე მხრივ, გვიჩვენებენ რუსული კულტურის დამოკიდებულებას მის მიმართ.

ხანგრძლივი გაშეშება, სახის შეშინებული გამომეტყველება, მიმიკური გამოვლინებები, სახელდობრ ცივი ოფლის დასხმა, ფართოდ გახელილი თვალები გამოხატულებას ჰპოვებენ შემდეგ ფრაზებში: застыть от страха; окаменеть от страха; прирасти к земле от страха; страх приковал его к месту; язык отнялся от страха; оцепенеть от страха; онеметь от страха; ноги отнялись от страха; ноги стали ватными; ноги подгибаются; дыхание перехватило от страха; в зобу дыханье сперло; у него ком в горле.

შიშის დროს სხეულის სხვადასხვაგვარი რეაგირება ნაჩვენებია: сердце оборвалось; сердце опустилось; леденеть от страха; кровь в жилах стынет; душа леденеет от страха.

ცხრილი № 7

С Т Р А Х	გაქვავება	застыть от страха окаменеть от страха прирасти к земле от страха страх приковал его к месту оцепенеть от страха ноги отнялись от страха ноги подгибаются
	სუნთქვის შეკვრა	у него ком в горле дыхание перехватило от страха в зобу дыханье сперло
	მეტყველების უნარის დაკარგვა	язык отнялся от страха онеметь от страха лишиться дара речи
	გაქცევის რეაქცია	ноги стали ватными
	გარეგნული ცვლილებები	съежиться от страха; волосы дыбом встали поседеть от страха его перекосило от страха; лицо побелело от страха страх исказил его лицо
	შინაგანი თრთოლვა	трепетать от страха дрожать вздрогнуть страх заставил его содрогнуться его мурашки по спине ползают мурашки бегают по спине
	შიშის გავლენა გულზე	сердце оборвалось сердце опустилось сердце в пятки ушло сердце падает
	შიში ცოცხალი არსებაა	у страха глаза велики

	შიში საგანი	держать в страх нагонять страх вселять страх томиться от страха
	სიცივე	леденеть от страха кровь в жилах стынет душа леденеет от страха
	შიშის გავლენა გონებაზე	обезуметь от страха; рассудок помутился потерять рассудок от страха
	შიში და სიკვდილი	умирать от страха испугаться до смерти
	შიშის გავლენა სულზე	душа в пятки ушла вселять страх в чью-то душу душа леденеет от страха
	სისხლის მოძრაობა	кровь стынет наливатся кровью

შიშის განცდის დროს აქტიური ხდება ადამიანის ორგანოების მოქმედება, რაც ცხადი გახდა სამივე ენაში ფრაზეოლოგიზმების განხილვის შედეგად. განსაკუთრებით აქტიურია გული.

ინგლისურ ენაში შიშის განცდის დროს გულმა შეიძლება შეწყვიტოს ფუნქციონირება, ამოხტეს, ან პირიქით ჩაიძიროს. აღნიშნული გამოხატულია შემდეგი ზმნებით – sank, leaped, missed a beat. ინგლისური ენის მაგალითზე ასევე ცხადი გახდა, რომ შიშს შეუძლია ადამიანს გული გამოუჭამოს – fear eats one's heart out. გულში შიშის შთანერგვას გამოხატავს – put fear into somebody's heart. რაც შეეხება ქართულ ენას, შიშის განცდის დროს ადამიანს შეიძლება გული გაუსკდეს, წაუვიდეს და გადაუტრიალდეს/ გადაუქანდეს. რუსულ ენაში – კი გადაუქანდეს (оборвется), დაეშვას (опуститя), ან ქუსლებში გაეპაროს (уходить в пятки) და ვარდება (падает). როგორც დავინახეთ, სამივე ენაში თითქმის იდენტურად არის გამოხატული გულის რეაგირება შიშის განცდის დროს. ზმნები, რომლებიც გვხვდება კოლოკაციაში გულთან ნაწილობრივ იდენტურია აღნიშნულ ენებში – ინგლისურ ენაში ის ხტის, უჩერდება პულსირება, და

იძირება. ქართულში ადამიანს შეიძლება გული გაუსკდეს ან წაუვიდეს. რუსულში, ინგლისურისა და ქართული ენებისაგან განსხვავებით, ის ქუსლებში იპარება. რაც შეეხება გულის მოძრაობის მიმართულებას, ინგლისურსა და რუსულში გვხვდება მოძრაობა ზემოდან ქვემოთ, ინგლისურში გვხვდება მხოლოდ ზემოთ, ქართულ ენაში მიმართულება ერთ სიბრტყეზე ხდება. რუსულ ენაში სიტყვა გულის იდენტურად ასევე ვხვდებით სულს – душа в пятки ушла. შიშის მდგომარეობის ქართულ ენაში მსგავსად გამოხატავს -სული ფეხის ფრჩხილებში გაეპარა და სული ფეხის კოჭებში გაეპარა. ქართულ ენაში ასევე ვხვდებით - შიშით სული სცვივა. რუსულსა და ინგლისურ ენებში შიშის მნიშვნელობის გამოსახატავად გამოიყენება – გული/სულის მონაცლეობა, რისი მაგალითიც არის: вселять страх в чью-то душу და put fear into somebody's heart. მსგავსი მონაცვლეობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ რუსული და ქართული ენების მაგალითზეც შეგვიძლია მოვიყვანოთ - душа в пятки ушла და სული ფეხის კოჭებში გაეპარა. რუსულში შიშისაგან სული შეიძლება გაიყინოს, რასაც გამოხატავს – душа леденеет от страха. ქართულში იდენტურია – შიშისაგან სული გაეყინა. რუსულისაგან განსხვავებით, ქართულში შიშისაგან ადამიანს შეიძლება სული დასცვივდეს. ინგლისურ ენაში შიშის გამოსახატავად შიშის შესიტყვება სულთან ვერ შევნიშნე.

შიშის განცდა ასევე მოქმედებს სხვა ორგანოებზეც. ამ დროს ადამიანს ეკარგება მეტყველების უნარი. ქართულ ენაში ამ მდგომარეობას გამოხატავს – შიშისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა, ენა დაება, შიშისაგან დამუნჯდა. რუსულ ენაში, შიშის განცდის დროს ადამიანს წაერთმევა ენა და დამუნჯდება – язык отнялся от страха, лишится дара речи, онеметь от страха. რაც შეეხება ინგლისურ ენას, ადამიანს შიშის დროს მუნჯდება to grow (become) dumb და ეყლაპება ენა – to swollow a tongue with fear. სამივე ენისათვის საერთოა - შიშისაგან დამუნჯება, თუმცა მეტყველების უნარის დაკარგვა ინგლისურში ასევე გამოიხატება ენის გადაყლაპვით, რუსულში ენის წართმევით, ქართულ ენაში კი ადამიანს ენა მუცელში უვარდება და ებმება.

შიშის განცდა ადამიანს ერთ ადგილას აქვავებს. რუსულ ენაში ადამიანს ფეხები ერთმევა - ноги отнялись от страха და ეკეცება – подгибаются. ინგლისურ ენაში ფეხები უშეშდება – the legs got numb, ქართულში მუხლები ეკეცება. შიშის განცდის დროს ადამიანს ასევე უჩნდება გაქცევის სურვილი, რაც ქართულ

ენაში გამოიხატება – შიში მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, რუსულში – ноги стали ватными. ინგლისურსა და რუსულ ენებში კი შეშინებულ ადამიანს ფრთები ესხმება – fear gives wings და страх придает крылья. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრთების შესხმა ქართულ ენაში ასოცირდება დადებით ემოციებთან, ინგლისურსა და რუსულში კი – ნეგატიურთან.

შიშის დროს ადამიანს ეკვრება სუნთქვა, რაზეც მეტყველებს – შიშისაგან სუნთქვა შეეკრა ქართულში, რუსულ ენაში дыхание перехватило от страха, в зобу дыханье сперло; у него ком в горле. ინგლისურ ენაში fear took his breath away.

სამივე ენაში სახელდებულ ემოციაზე ლექსიკის განხილვის შედეგად შესაძლებელი გახდა გამოგვეყო კოგნიტური მეტაფორები, რომელიც სამივე ენისათვის იდენტურია, კერძოდ: შიში არის სიცივე. შიში ადამიანში იწვევს გაქვავებას, ახდენს ადამიანის პარალიზებას – აქედან გამომდინარეობს მისი აღმნიშვნელი მეტაფორაც - პარალიჩი. შიში იწვევს გონების დაბინდვას. შიშის დროს ადამიანი ფერმკრთალდება ან ჭაღარავდება. სიფერკმრთალე სამივე ენის ფრაზეოლოგიზმებში გვხვდება, რაც შეეხება გაჭაღარავებას მხოლოდ ინგლისურსა და რუსულში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსულსა და ქართულ ენებში შიშის გამოსახატავად ასევე გამოიყენება ფერი, რომლის კონკრეტიკაც მოცემული არ არის. რუსულ ენაში ვხვდებით – его перекосило от страха, бледный как смерть. ქართულ ენაში – მკვდრის ფერი დაედო, ფერი შეეცვალა, ფერმა გადაუარა. შიში სამივე ენაში წარმოდგენილია როგორც ცოცხალი არსება, რომელიც ფართოდ გახელილი თვალებით უყურებს მოახლოებულ საფრთხეს. ინგლისურ კულტურის თვალთახედვით შიშს ასი თვალის აქვს და სწრაფი ყური აქვს, ქართულისა და რუსულის ხედვით – მხოლოდ დიდი. შიშს კი აქვს დიდი თვალები, თუმცა მისი განცდისას ადამიანი ვერაფერს ხედავს და ამჩნევს – У страха глаза, что плошки, а не видят ни крошки. ინგლისურ ენაში შიშს შეუძლია ადამიანს გამოუჭამოს გული fear eats one’s heart out., სუნთქვა შეუკრას (fear took his breath away) და შეუცვალოს სახის გრიმასა (fear twists one’s mouth). მსგავსი გამოხატულება ქართულსა და რუსულ ენებში არ დაიძებნა. შიშის განცდა ადამიანში იწვევს კანკალს, თრთოლვას, ჟრჟოლას, რხევას. ამ დროს ადამიანს მთელს ტანში უვლის ჟრუანტელი. შიშით გამოწვეული თრთოლვა შედარებულია ფოთლის თრთოლვას– to shake like a leaf. ინგლისურ ენაში ასევე

ვხვდებით – to quiver და to tremble. ქართულ ენაში – კანკალმა აიტანა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ხოლო რუსულ ენაში трепетать от страха, дрожать, вздрогнуть. ზემოხსენებულის დასახასიათებლად შეიძლება გამოვიყენოთ კოგნიტური მეტაფორა – შიში სხეულის სხვადასხვაგვარი რხევაა. აქვე შესაძლებელია მოვახდინოთ დაჯგუფება ინტენსივობის მიხედვითაც:

ცხრილი № 8

შიში	Fear	Страх
ჟრუანტელი	shake	трепетать
კანკალი	tremble	дрожать
	quiver	вздрогнуть

სიტყვა shake-ის გამოყენებით შიშით გამოწვეული მდგომარეობის გამოსახატავად ინგლისურ ენაში ასევე გვხვდება – to shake in one's boots, to quake in one's boots.

თრთოლვა, რომელსაც ადამიანი განიცდის შიშის დროს შესაძლებელია იყოს გარეგნული ან შინაგანი. პირველის შემთხვევაში ნათელია, თუ როგორ რეაგირებს ადამიანი ემოციით გამოწვეულ მდგომარეობაზე, რაც ცხადად გამოჩნდა ზემოთ მოყვანილ მაგალითებზე. რაც შეეხება შინაგან თრთოლვას, ამის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ტანში ჟრუანტელმა დაუარა, fear makes his flesh/blood creep, у него мурашки по спине ползают, мурашки бегают по спине.

შიშის დროს ადამიანს ასხამს ცივი ოფლი, რაც ინგლისურში გამოიხატება to break out in a cold sweat, ხოლო რუსულში выступил пот от страха.

ადამიანს ერთი მხრივ, შთაენერგება ამ ემოციით გამოწვეული განცდა, ხოლო მეორე მხრივ, ის ცდილობს, რომ როგორმე ამ განცდისგან გათავისუფლდეს. ინგლისურ ენაში აღნიშნულს გამოხატავს – to put fear in somebody's heart; to put in fear; to throw a scare into someone, რუსულში - вселять страх в чью-то душу. ამ ემოციური მდგომარეობისაგან გათავისუფლებას გამოხატავას - jump out of one's skin. მსგავსი გამონათქვამი რუსულ და ქართულ ენებში არ დაიძებნა.

შიშის დროს ადამიანს თმა ყალზე უდგება. მსგავს რეაქციას სამივე ენაში ვხვდებით – to make one's hair stand on end და რუსულში - волосы дыбом стали, შიშისაგან თმა ყალყზე დაუდგა.

შიში - სიკვდილია, თუმცა რუსულ კულტურაში ის სიკვდილზე უარესია – страх хуже смерти. სიკვდილისა და შიშის ინტერაქციას სხვა რუსულ გამონათქვამებშიც ვხვდებით, страх не спасет от смерти. ქართულ ენაშიც ვხვდებით მსგავს გამონათქვამს – შიში სიკვდილისგან ვერ იხსნისო და შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა. ინგლისურ ენაში სიკვდილის შიში უფრო საშიშია, ვიდრე თვით სიკვდილი – fear of death is more to be dreaded than death itself.

ცხრილი № 9

კოგნიტური მეტაფორები	**Fear**	**შიში**	**Страх**
შიში – სიცივე	To grow cold with fear Fear makes his blood freeze A cold shiver ran down his spine Make one's blood run cold	ცივმა ოფლმა დაასხა სისხლი გაეყინა	Леденеть от страха кровь в жилах стынет душа леденеет от страха
შიში – გაქვავება, პარალიჩი	To become petrified To turn smb to stone To root smb to the ground To be paralyzed with fear	შიშისაგან გაშეშება შიშისაგან გაქვავება	застыть от страха Окаменеть от страха прирасти к земле от страха страх приковал его к месту оцепенеть от страха

შიში - გონების დაბინდვა	To frighten the wits out of someone	თვალთ დაუბნელდა გონება დაებინდა	обезуметь от страха рассудок помутился потерять рассудок от страха
შიში - სიფერმკთალე	His face grew white turn as white as a ghost	лицо побелело от страха бледен как смерть	შიშისაგან გაფითრდა
შიში ჭაღარა	To go grey To turn grey	поседеть от страха	-
შიში - ცოცხალი არსებაა	Fear has a hundred eyes Fear has a quick ear Fear sees danger everywhere Fear eats one's heart out Fear twists' one's mouth	У страха глаза велики	შიშს დიდი თვალები აქვს
შიში – სხეულის სხვადასხვაგვარი რეაგირებაა	shake in one's boots shake from fear shake like a leaf to quiver to tremble	трепетать от страха, дрожать, вздрогнуть	კანკალმა აიტანა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა
შიში - სიკვდილია	frighten/scare someone to death	умирать от страха испугаться до смерти	მკვდრის ფერი დაედო

აღნიშნულ თავში განხილული იყო ემოცია, რომელიც სახელდება ინგლისურ, რუსულ და ქართულში სიტყვებით – fear/страх/შიში.

ფსიქოლოგთა, ფილოსოფოსთა მიერ მოცემული განმარტებები სიტყვა შიშისა იდენტურია.

ინგლისური, რუსული და ქართული ენების ლექსიკონებში მოცემული განსაზღვრება ცნებებისა fear/страх/შიში თითქმის ფარავს ერთმანეთს (იხ. ცხრილი N 10).

ცხრილი № 10

ემოციათა **Fear/შიში/страх** შედარება ლექსიკონურ დეფინიციებზე დაყრდნობით

	Fear	შიში	Страх
1	Distressing emotion aroused by impeding danger, evil, pain, ect. whether the threat is real or imagined	მოსალოდნელი (ან თავსდატეხილი) საფრთხის განცდით გამოწვეული ცუდი, შემაწუხებელი გრძნობა	Состояние сильной тревоги, беспокойства, душевное волнение, от грозящей или ожидаемой опасности, боязнь
	Unpleasant and usually strong feeling caused by the presence or expectation of danger		Очень сильный испуг, боязнь
	Unpleasant feeling you have when you think that you are in danger		События, предметы, вызивающие чувство боязни, ужаса
	A thought that something unpleasant might happen or might have happened		Состояние сильной тревоги, беспокойства, душевного смятения перед какой-л опасностью, бедой
			Состояние крайней тревоги и беспокойства, от испуга, от грязящей или ожидаемой опасности
2	Reverential awe, esp toward God, supreme power	-	-

თანამედროვე დეფინიციური ლექსიკონების თანახმად: fear არის ემოცია, გრძნობა, შიში – გრძნობა, страх – მდგომარეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართული ენის შიშზე მოცემულ დეფინიციაში მდგომარეობის გამომხატველია – ზარი, ტუქსვა, თრთოლა.

სამივე ენაში სახელდებული ბაზისური ემოცია ნეგატიური კონოტაციისა: ინგლისურ ენაში, ის არის - დამთრგუნველი, უსიამოვნო, ქართულში – ცუდი, შემაწუხებელი, ხოლო რუსულში – შეშფოთების, სულიერი აღელვების მდგომარეობის გამომხატველი. Fear/страх/შიში ყველგან დახასიათებულია, როგორც ძლიერი. რაც შეეხება მის გამომწვევს, სამივე ენა ასახელებს საფრთხეს, რომელიც შესაძლებელია იყოს წარმოსახვითი ან რეალური (fear), მოსალოდნელი ან თავსდატეხილი (fear, შიში, страх) და უკვე არსებული (fear). სახელდებული ემოციის გამომწვევი ასევე შესაძლებელია იყოს ბოროტება, ტკივილი (fear), მოვლენა, საგანი (страх). ქართული ენის თანამედროვე ლექსიკონში ემოცია ბრაზის მსგავსი გამომწვევი მიზეზი არ არის დასახელებული, თუმცა ძველი ქართული ენის ლექსიკონში ესენია – საშინელი სანახაობა, ამბავი.

რაც შეეხება შიშის მეორე მნიშვნელობას, სახელდობრ – მოწიწება, კრძალვა უზენაესი ძალისადმი, თანამედროვე ლექსიკონებიდან მას ვხვდებით მხოლოდ ინგლისური ენის ლექსიკონში. აღსანიშნავია აქვე, რომ სულხან-საბას ლექსიკონში, შიშის ერთ-ერთ დეფინიციაში – კდემულება, სავარაუდოდ იგულისხმება რიდი, მოწიწება უზენაესი ძალისადმი, თუმცა თანამედროვე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს მნიშვნელობა უკვე აღავ გვხვდება. ინგლისელთა აღქმით, ღვთის შიში სიბრძნის (ცოდნის) საწყისია და გულზე ნათელის მომფენი: Fear of the Lord is the beginning of wisdom (knowledge) და Fear of God makes the heart shine. ქართულ ენაში – შიშისა და ღმერთის კავშირზე ვხვდებით: შიშით ღვთის წყალობა ვერავის უთქვამს და შიშის დროს კაცს ღმერთი აგონდებაო. რუსულ ენაშიც ვხვდებით ინგლისური ენის მსგავსს გამონათქვამს – სიბრძნისა და ღვთის შიშის ურთიერთკავშირის შესახებ, სახელდობრ – начало премудрости – страх Господень da в ком есть страх, в том есть и Бог.

როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ და რუსულ ენებში უხვად მოიპოვება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ძალიან ზუსტად ასახავენ განხილული ემოციის ფიზიოლოგიურ და მიმიკურ გამოხატულებებს.

ინგლისურ და რუსულ ენობრივ მასალაში ემოცია შიში შედის ინტერაქციაში ემოცია სირცხვილთან – where there is fear there is shame და где страх, там и стыд. თანამედროვე ქართულ ენაშიც ვხვდებით შიშისა და სირცხვილის ინტერაქციას, თუმცა განსხვავებულ კონტექსში – გეშინოდეს სირცხვილისა, სიკვდილისა კი არაო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე ქართულში შიშის ერთ-ერთ მნიშვნელობაში უკვე აღარ მოიაზრება სირცხვილი, თუმცა საშუალო ქართულში სიტყვა შიშის სემანტიკა მოიცავდა „სირცხვილის სემას". თუმცა რუსულ კულტურაში ერთი მხრივ მიჩნეულია, რომ სადაც შიშია, იქ სირცხვილია, თუმცა მეორე მხრივ ვხვდებით შემდეგ გამონათქვამსაც: У страха не бывает стыда, у силы – честы.

რუსულ კულტურაში სადაც შიშია, იქ მეფეა. მსგავს ინტერაქცია არ შეინიშნება ქართულსა და ინგლისურ ენებში.

ქართულ ენის შინაარსობრივად მსგავს გამონათქვამს – მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია ვხვდებით, ასევე რუსულ ენაშიც - волков бояться – в лес не ходить. ინგლისურ ენაში მსგავსი გამონათქვამი ვერ მოიძებნა.

ფრაზები ემოცია **შიშზე** ინგლისურ ენაში

Fear is stronger than love	fear has torment	fear brings more pain than does the pain
fear kills more than illness	the fear's greater than the reason for it	Fear is the father of cruelty
Fear is the virtue of slaves	men who fear to live are in love with fear	Fear mothers safety, but it often smothers it
Fear of death is more to be dreaded than death itself	if you fear death you are already dead	Fear is a great inventor
where there is fear there is shame	Fear of the Lord is the beginning of wisdom (knowledge),	the fear of God makes the heart shine
turn as white as a ghost	fear gives wings	

ფრაზები ემოცია **შიშზე** ქართულ ენაში

ტანზე ეკალი აესხა	ანგელოზების დაფრთხობა	გეშინოდეს სირცხვილისა, სიკვდილისა კი არაო
ზურგის ჩვენება	ელეთმელეთის მოსვლა	ერთი სიცოცხლის გათავება
გეშინოდეს იმისა, ვისაც შენი ეშინიაო	თავზარის დაცემა	შიში ვერ იხნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა
ას კაცში რომ კაცი შეშინდება, ზიარება არ უწევსო	მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო	შიშის ზარსა სცემდნენ
შიში თავს ზევით არ წავა	შიში სიკვდილისგან (გადამდებისგან) ვერ იხსნისო	შიშით ღვთის წყალობა ვერავის უთქვამს
ძროხა ხბოს იგებდა, მოზვერს შიშით გული უსკდებოდა	შიშის დროს კაცს ღმერთი აგონდებაო	

ფრაზები ემოცია **შიშზე** რუსულ ენაში

Волков бояться – в лес не ходить	Где закон, там и страх	Глаза страшатся, а руки делают
Умелого – смелого страх не возмет и враг не побьет	Угрозы – глупым страх	Трусы поют для того, чтобы скрыть свой страх
Страшно, пока кол над головой, а когда ударили – и страх прошел	Страх хуже смерти	Всяк страх изгоняет любовь
Кто вперед идет, того страх не бере	Грех в дуже – как страх на спине	Где страх, там и стыд
Сильный страх приводит к несчастью	Не за страх, а за совесть	Сильный страх снимает боль
На свои страх и риск	Страх не спасет от смерти	Страх придает крылья
Страх присущ осторожному	Глупость страха не ведает	Начать без страха – все равно что победить
Долго колебаться – страху набраться	Страху в глаза гляди, не смигни, а смигнешь - пропадешь	На всяку беду страха не напасешься
У страха не бывает стыда, у силы - чести	Со страху собака и на пень лает	У страха глаза, что плошки, а не видят ни крошки
У страха глаза велики	Не делай зла – не будешь в вечном страхе	Покоряй сердце любовью, а не страхом
Под страхом ножки хрупки	Яблоко страхом не огородишь	В ком есть страх, в том есть и Бог.
Кто на море бывал, тот и страху видал.	Где царь, тут и страх	На всякую пулю страха не напасешься.
Начало премудрости - страх Господень.	Не потакай своим, чтоб задать страха чужим.	Один со страху помер, другой ожил.
Раньше страха испугался.	Чужое добро страхом огорожено	

III თავი

ANGER / ბრაზი / ГНЕВ

სპეციალურ ფსიქოლოგიური ლიტერატურის თანახმად, „ბრაზი" არის მავნე, დამღუპველი ემოცია, რომელსაც ბადებს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური შებოჭილობის გრძნობა. მიზეზად ასახელებენ დასახული მიზნის გზაზე არსებულ ნებისმიერ დაბრკოლებას. ამერიკელი ფსიქოლოგი პ. ეკმანი ბრაზს განმარტავს, როგორც გაღიზიანებისა და უსიამოვნების ძლიერ გრძნობას, რომელსაც თან ახლავს მტრული დამოკიდებულება. ლ. ოუთლის აზრით, ბრაზს იწვევს აქტიური გეგმის ფრუსტრაცია (იზარდი, 2000). ბრაზი ხანმოკლე ემოციაა, რაზეც კარგად მეტყველებს ჰორაციუსის გამონათქვამი Anger is short-lived madness. შ. მერფის აზრით ბრაზი არის უარყოფითი ემოციით გამოწვეული ძლიერი პასუხი, რომლის შედეგად ჩნდება განსხვავებული ინტენსივობის შეტაკება. ხშირად ემოციის გამომწვევი არის აღქმა. შ. მერფი აღნიშნავს, რომ ბრაზი არ არის წმინდა ემოცია, არამედ უფრო ფართო ემოციაა, რომელსაც იწვევს რიგი სხვა ემოციებისა, როგორიცაა ფრუსტრაცია, შიში, დეპრესია, სხვ.

ბრაზი, სხვა ემოციათა მსგავსად მოიცავს ექსპრესიულ ქცევასა და განცდას. მისი მიმიკური გამოხატულებისას შეიმჩნევა ცვლილებები თვალის არეში. დაშვებული წარბების გამო თვალები ვიწროვდება და იღებს კუთხოვან ფორმას. ამ დროს მზერა მიმართულია გაღიზიანების ან ბრაზის ობიექტისაკენ. კ. იზარდის მიერ ჩატარებული კულტურათაშორისი კვლევების შედეგად დადგინდა, რომ დაკრეჭილი კბილები და მჭიდროდ მოკუმული ტუჩები წარმოადგენენ ბრაზის გამოხატვის უნივერსალურ საშუალებებს (იზარდი 2000).

ბრაზის მიმიკური რეაქცია აგრეთვე გამოიხატება წარბების შეჭმუხვნითა და კბილების ღრჭენით. სიბრაზის განცდას თან ახლავს დაძაბულობისა და ინტენსიურობის მაღალი ხარისხი. პ. ეკმანის აზრით, ამ ემოციის ინტენსივობა გამოიხატება როგორც უბრალო გაღიზიანებით, ასევე მძვინვარებითა და რისხვით. ბრაზის დროს ადამიანს უჩნდება თავდაჯერებულობის უფრო მაღალი გრძნობა, ვიდრე სხვა რომელიმე ნეგატიური ემოციის დროს. სიბრაზის დროს ადამიანი გრძნობს, რომ მას უდუღს სისხლი, ალმური ასდის სახეზე, ეჭიმება კუნთები, (ეკმანი, 1972), მატულობს გულის ცემა, გამოიყოფა გაქცევისა და ბრძოლის ჰორმონები (მერფი, 2001).

ბრაზის განმარტებას ფილოსოფოსებთანაც ვხვდებით. არისტოტელეს მიხედვით ბრაზი არის „ტკივილის თანმხლები იმპულსი".

შუა საუკუნეების ქრისტიანული ეკლესია ბრაზს სიამაყეს (pride), ფიზიკურ ლტოლვას (lechery), შურს (envy), მომხვეჭელობას (covetousness), სიხარბეს (gluttony) და სიზარმაცესთან (sloth) ერთად ერთ-ერთ მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევდა (Longman Dictionary of English Language and Culture, 1992).

ისლამში, ბრაზი სისუსტის ნიშნად არის მიჩნეული. მუჰამედ წინასწარ-მეტყველის თქმით „ძლიერი ის კი არ არის, ვინც ძალით იმორჩილებს ადამიანებს, არამედ ის, ვისაც შეუძლია თავის გაკონტროლება ბრაზის დროს" ("The strong is not the one who over comes the people by his strength, But the strong is the one who controls him while in anger."

ბუდიზმში ბრაზი მიჩნეულია როგორც ზიზღი, და შედის ხუთი დაბრკო-ლების ჩამონათვალში ბრაზი (Anger), lust (ძლიერი სურვილი), laziness (სიზარმაცე), restlessness (მოუსვენრობა), doubt (ეჭვი). ბრაზი განმარტებულია შემდეგნაირად: „ვერ აიტანო ობიექტი, ან გაგიჩნდეს სურვილი ზიანი მიაყენო მას".

ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებში ემოცია anger შემდეგ დეფინიციებს ვხვდებით. Oxford Advanced Learner's Dictionary-ს მიხედვით anger არის "the strong feeling that you have when something has happened that you think is bad and unfair (ძლიერი გრძნობა, რომელსაც იწვევს ცუდი და უსამართლო რამ). Collins Cobuild English Language Dictionary კი ბრაზის შემდეგ განმარტებას გვაძლევს "anger is the strong emotion that you feel about an action or situation which you consider unacceptable, unfair, cruel or insulting, and about the person responsible for it". Longman Dictionary of English Language and Culture-ის თანახმად, ბრაზი არის "strong and sometimes violent feeling of displeasure, usually leading to a desire to step or hurt the person or thing causing it (ძლიერი და უსიამოვნო და ხანდახან მძვინვარე გრძნობა, რომელიც გვიბიძგებს მისი გამომწვევი პიროვნებისათვის ტკივილის მიყენებისკენ). Random House Dictionary-იში, ბრაზის მნიშვნელობა შემდეგია: "a strong feeling of displeasure and belligerence aroused by a wrong; wrath ire." ამგვარად, ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია იმის თქმა, რომ ბრაზი არის უსიამოვნების ძლიერი გრძნობა, რომელსაც იწვევს ცუდი, უსიამოვნო, მიუღებელი, სასტიკი და შეურაცხმყოფელი შემთხვევა და რომელსაც მივყავართ მისი გამომწვევი პიროვნებისათვის ტკივილის მიყენებამდე.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ბრაზი არის „ძლიერი გაჯავრება, ძალზე გულის მოსვლა, გახელება”. სულხან-საბას ლექიკონის მიხედვით კი ბრაზი არის „სიცოფე ძლიერი’.

რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი **Словарь современного русского литературного языка** ბრაზს განმარტავს, როგორც ძლიერი აღელვების, აღშფოთების გრძნობას (чувство сильного возмущения, негодования) და ასევე სიბრაზისა და გაღიზიანების მდგომარეობას (состояние раздражения, озлобления). აქვე მოცემულია ბრაზით გამოწვეული მდგომარეობა განრისხება (вспышка гнева) და ბრაზიას მორევა (порыв гнева). აღნიშნულ ლექსიკონში ვხვდებით ასევე ბრაზის ტიპს, სახელდობრ царский гнев. **Словарь русского языка** ზემოხსენებული ლექსიკონის იდენტურ განმარტებას გვთავაზობს, ბრაზი, როგორც ძლიერი აღელვებისა და აღშფოთების გრძნობა (чувство сильного возмущения, негодования) და აღნიშნული ემოციით გამოწვეულ მდგომარეობასაც ასახელებს, კერძოდ განრისხება (Вспышка гнева, быть в гневе). **Толковый словарь русского языка** ბრაზი განმარტებულია, როგორც ძლიერი აღელვების, აღშფოთებისა და გაღიზიანების გრძნობა (чувство сильного негодования, возмущения, раздращения). ამავე ლექსიკონში ვხვდებით ასევე ბრაზის ტიპს - царский гнев.

რუსული ენის განმარტებით ლექსიკონებში ბრაზის დეფინიციების განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბრაზი არის ძლიერი გრძნობა, რომელიც იწვევს აღელვებას, აღშფოთებას, გაღიზიანებას. მოყვანილია ასევე ფრაზები, რომლებიც გამოხატავენ ამ ემოციის შედეგად განცდილ მდგომარეობას – განრისხება და ბრაზის მორევა.

წინამდებარე თავში ბრაზზე არსებული ენობრივი ერთეულები განხილული იქნება ჯ. ლეიკოფისა და ზ. კოვეშეჩის მიერ შემოთავაზებულ სცენარზე დაყრდნობით, რომელიც ოდნავ სახეშეცვლილი სახით იქნება მოცემული და ბრაზის დასახასიათებლად გამოყენებული იქნება კოგნიტური მეტაფორა-სიმბოლოები. განხილული იქნება ასევე ენობრივი ერთეულების სტრუქტურა სემანტიკისა და ფორმის თვალსაზრისით.

ემოციის აღმნიშვნელი ცნებების სტრუქტურა ბევრი მეცნიერის მიერ წარმოდგენილია როგორც რამდენიმე საფეხურისაგან შემდგარი სცენარი. ჯ. ლეიკოფი და ზ. კოვეჩეში (1987) anger (ბრაზს) აღწერენ, როგორც მოვლენათა გარკვეულ მიმდევრობას:

I. ბრაზის ხუთი საფეხური

1. ბრაზის მიზეზი;
2. ბრაზის არსებობა;
3. ბრაზის კონტროლირების მცდელობა;
4. ბრაზზე კონტროლის დაკარგვა;
5. სამაგიეროს გადახდა.

ფსიქოლოგები ბრაზს სხვადასხვა საფეხურიანი სცენარის მიხედვით ახასიათებენ:

II. ბრაზის ოთხი საფეხური:

1. ბრაზის წინა ანუ მომზადების პერიოდი – ამ ეტაპზე წარმოიშვება უთანხმოება.
2. გაცხელების პერიოდი – აღნიშნულ ეტაპზე ადამიანი ემოციურად ხდება ჩართული
3. აფეთქება – ამ ეტაპზე ადამიანი კარგავს მოთმინებას
4. შედეგები – მოცემულ ეტაპზე გაცხარება

III. ბრაზის საფეხურები:

1. ბრაზის მიზეზები – ბრაზის მიზეზი შეიძლება იყოს უმნიშვნელო ან შეიძლება გამოიხატოს რამის გადაჭარბებითა თუ ფიზიკური დისკომფორტით;
2. ზიანის გამომწვევი შემთხვევა – ბრაზი შეიძლება წამოიშვას როგორც რეაქცია რაღაც შემთხვევაზე;
3. ბრაზის გაჩენა – ადამიანი განიცდის ფიზიოლოგიურ დისკომფორტს: სხეულის ტემპერატურის მომატება, შინაგანი წნევის მომატება.
4. კონტროლის მცდელობა – ადამიანი ცდილობს შეიკავოს ბრაზი
5. კონტროლის დაკარგვა – ადამიანი კარგავს კონტროლს თავის თავზე
6. დასჯის აქტი

IV. ბრაზის ხუთი საფეხური:

1. გაღიზიანება;
2. აღშფოთება;
3. მრისხანება;
4. გაშმაგება;
5. მძვინვარება.

ზემოთდასახელებული სცენარები შეჯერებული სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი ცხრილის სახით (იხ. ცხრილი № 11)

ცხრილი № 11

ბრაზის წინა ანუ მომზადების პერიოდი	ბრაზის მიზეზი	ზიანის გამომწვევი შემთხვევა	**ბრაზის ინტენსივობა**	მსუქბუქი გაღიზიანება
გაცხელების პერიოდი	ბრაზის არსებობა/ გაჩენა	კონტროლირების მცდელობა		აღშფოთება
აფეთქება	კონტროლის დაკარგვა			მრისხანება გაშმაგება მძვინვარება
შედეგები	სამაგიეროს გადახდა	დასჯის აქტი		

1. ***ბრაზის მიზეზი.***

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრაზსს იწვევს ცუდი, უსიამოვნო, მიუღებელი, სასტიკი და შეურაცხმყოფელი შემთხვევა, უსამართლო მოპყრობა და ასევე დასახული მიზნის გზაზე არსებული ნებისმიერი დაბრკოლება.

2. ***ბრაზის გაჩენა.***

ბრაზის არსებობა ხასიათდება რიგი ფიზიოლოგიური თუ ექსპრესიული ცვლილებებით. ასახელებენ სხეულის ტემპერატურის, შინაგანი წნევისა და გულის ცემის მომატებას, გაქცევისა ან ბრძოლის ჰორმონების გამოყოფას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსიქოლოგების მიერ დადგენილია, რომ ბრაზის

დროს ადამიანი გრძნობს, თუ როგორ უდუღს სისხლი, ალმური ასდის სახეზე. აქედან, გამომდინარე ენაში ბრაზზე არსებულ ლექსიკურ ერთეულებში ვხვდებით სიტყვებს სისხლი, გული.

თედო სახოკია გულთან დაკავშირებით აღნიშნავს:

„როცა კაცი აღშფოთებულია ბრაზისგან, გულმოსულია, შეშინებულია, ან კიდევ გახარებული, ეს სულიერი განცდა, პირველყოვლისა, მოქმედებს გულზე, აფორიაქებს მას, არღვევს მის წონასწორობას, გამოჰყავს იგი დამშვიდებული მდგომარეობიდან: გული საგულეში აღარ ჩერდება, ბუდეში ვეღარ ეტევა, ბორგავს, გარეთ გამოხტომას ლამობს!" (სახოკია 1979).

ქართულ ენაში გული შეესიტყვება რიგ ზმნებს, იმისათვის, რომ გამოხატოს სიბრაზისგან გამოწვეული ემოციური მდგომარეობა. ასეთებია, გულზე გახეთქვა, გულზე მოსვლა, გულზე ცეცხლის მოკიდება, გულის ადუღება, გულის გასივება, გულის მოდება, გულის ყელში მობჯენა; (ამასთან დაკავშირებით თ. სახოკია აღნიშნავს: „ძალიან გაბრაზების დროს სული გვიგუბდება და ისეთ გრძნობას განვიცდით, თითქო გული ბუდიდან დაიძრა, ყელში მოგვებჯინა ან შიგ ჩაგვეჩრა და გარეთ გამოსვლას ლამობსო" (სახოკია 1979:117), გულის ყელში გაჩრა, გულის აყოლა, გულშივე ჩაკვლა ბრაზისა.

ინგლისურ ენაში ზემოხსენებული ენობრივად აისახება შემდეგ გამონათქვამებში: to flush with anger, to burn with anger, someone's blood is up, to make one's blood boil, flame with anger, fire someone with anger, blow a gasket/stack/fuse, flash with anger. იდენტურ გამონათქვამებს ვხვდებით რუსულ ენაში – у него кровь кипит. მსგავსი გამონათქვამები არის ქართულ ენაშიც, სახელდობრ: ავენთე და დავენთე, ალმურის მოკიდება, სისხლი უდუღს, სისხლის ყელში მობჯენა. როგორც შევნიშნეთ, სამივე ენისათვის საერთოა ბრაზის გამოხატვა სემა სისხლის გამოყენებით და საგულისხმოა ასევე, რომ ზმნა რომელსაც ეთანხმებიან ასევე იდენტურია (სისხლი უდუღს, кровь кипит, blood boils). ქართულ ენაში ბრაზის მდგომარეობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოხატავს ასევე სისხლის ყელში მობჯენა, რომელსაც ზუსტი ექვივალენტი არა აქვს ინგლისურ და ქართულ ენებში, თუმცა შესაძლებელია ვთქვათ, რომ ინგლისური გამონათქვამი blood is up, სემანტიკურად რამდენადმე შეესაბამება მას, თუ შედარების კრიტერიუმად ავიღებთ სისხლის მოძრაობას ქვემოდან ზემოთ. მოცემული ფრაზებისა და იდიომების განხილვისას ცხადი ხდება, რომ ბრაზის კოგნიტური მეტაფორები, კერძოდ ბრაზი, როგორც ცხელი სითხე

კონტეინერში და ცეცხლი საერთოა მოცემული ენებისათვის (იხ. ცხრილი №12). ამრიგად, შეგვიძლია იმის თქმა, რომ ცნება ბრაზის ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მახასიათებლები აისახება სამივე ენის ფრაზეოლოგებსა თუ იდიომატურ გამონათქვამებში, და შეგვიძლია ასევე დავასკვნათ, რომ ემოცია ბრაზის კონცეპტუალური სფერო მოცემულ იდიომებზე დაყრდნობით იდენტურია ქართული, რუსული და ინგლისური ენებისათვის.

ცხრილი №12

კოგნიტური მეტაფორები	**anger**	**ბრაზი**	**гнев**
ბრაზი – დუღილია	to make one's blood boil	სისხლი უდუღს	у него кровь кипит закипеть от ярости/гнева точка кипения
ბრაზი – ცეცხლი	to burn with anger, flame with anger, fire someone with anger, blow a gasket/stack/fuse	ავენთე და დავენთე, ალმურის/ცეცხლის მოკიდება გაცეცხლება პირიდან ცეცხლს ყრის ცეცხლს აფრქვევს	вспыхнул гнев
ბრაზი – სიცოფე	foam with anger	ცოფებს ყრის ცოფი ერევა	говорить с пеной у рта
ბრაზი – სიწითლე	flush with anger	სიბრაზისგან გაწითლდა	красный как рак рыжий, как огонь
ბრაზი - მოთმინების დაკარგვა	to run out of patience to lose one's temper/patience to get/go into a temper	მოთმინების ფიალა აევსო მოთმინების დაკარგვა	терпение лопнуло
ბრაზი-სიბრმავე	blind with anger		ослепленный злобой; гнев ослепил

			меня; закатив глаза; ничего не видя перед собой; налитые кровью глаза; гнев застилал глаза; глаза косят от злости
ბრაზი - სიმუნჯე	to be speechlesly angered	სიბრაზისგან დამუნჯდა, ენა ჩაუვარდა	-

ბრაზი - „ბრმა და მუნჯია". იმის აღწერისას, თუ როგორ გამოიყურება გაბრაზებული ადამიანი, აღნიშნავენ, რომ მზერა მიპყრობილია ბრაზის ობიექტისკენ. აღნიშნულის გამოსახატავად გამოიყენება შემდეგი მეტაფორები: ослепленный злобой; гнев ослепил меня; закатив глаза; ничего не видя перед собой; налитые кровью глаза; гнев застилал глаза; глаза косят от злости. ამ ემოციურ მდგომარეობას ასახავენ შემდეგი ფრაზებიც: blind with anger, (სიბრაზისაგან დაბრმავება), to be speechlesly angered (სიბრაზისაგან დამუნჯდა, ენა ჩაუვარდა).

ინტენსივობა შეიმჩნევა ასევე იმ ზმნებშიც, რომლებიც გამოხატავენ აღნიშნულ ემოციით გამოწვეულ მდგომარეობას მეტაფორა „ცეცხლის" საშუალებით - fire/flare/blaze up. ასევე აღსანიშნია ისიც, რომ მოცემული ზმნები ასევე გამოხატავენ ბრაზის სტადიებს – საწყისი (blow a gasket/stack/fuse) – საშუალო (fire – flare – flame-blaze up), ბოლო burn.

3. ბრაზის კონტროლის მცდელობა, როდესაც ადამიანი ცდილობს შეიკავოს ბრაზი;

ადამიანი, ყოველთვის არ ავლენს ბრაზს. გარკვეულ შემთხვევებში ცდილობს თავის თავში ჩაახშოს და არ მისცეს გამოვლინების ნება.

ინგლისურ ენაში მსგავსი მცდელობის გამომხატველია შემდეგი ფრაზები: suppress one's anger, turn one's anger inward, to keep anger bottled up inside somebody.

ბრაზი ქართულ ენაში შედარებულია ჭურჭელს, რომელიც შეიძლება აივსოს ან დაიცალოს. ამის გამომხატველია მოთმინების ფიალა/თასი დაეცლება/აევსება. რუსულ ენაშიც ვხვდებით მსგავს შედარებას - чаша терпения переполнилось. ინგლისურ ენაში ემოცია ბრაზის მეტაფორა, როგორც ჭურჭელი არ გვხვდება. ქართულ ენაში ბრაზის მდგომარეობას გამოხატავს ზმნები – დაცლა – შევსება, რუსულში მხოლოდ შევსება.

ქართულ და ინგლისურ ენებში მოთმინების დაჯარგვას გამოხატავენ ასევე ბეწვი/ძაფი გაუწყდება, one's patience wears thin.

ბრაზი „მოწინაღმდეგეა". ამ მეტაფორის ფარგლებში ბრაზი განიხილება, როგორც უარყოფითი ემოცია, როგორც მოწინააღმდეგე. ემოციას მივყავართ არასასურველ ფიზიოლოგიურ ეფექტებთან, არღვევს ადამიანის ნორმალურ არსებობას და წარმოადგენს საფრთხეს, როგორც სუბიექტისთვის, ასევე გარშემომყოფთათვის. მოცემული მეტაფორა აქტუალურს ხდის ფსიქოლოგიური მდგომარეობის კონტროლისა და თვითკონტროლის დაკარგვის საფრთხის პრობლემას: сдерживать гнев, злость захватывает раздражение, бороться со злостью, сдерживать раздражение, овладеть собой, одолевать негодование, не поддаваться злобе, одолел гнев, охватило безумие, противостоять своему гнев.

4. ბრაზზე კონტროლის დაკარგვა – ადამიანი კარგავს კონტროლს;

ბრაზი არის სიგიჟე, რომელიც კონტროლს აკარგვინებს ადამიანს. ამას გამოხატავენ შემდეგი ფრაზები: go wild, start raving, flail smb's arms, foaming at the mouth, go out of mind, tear smb's hair out, bang smb's head against the wall.

ბრაზი, როგორც „სიგიჟე" შესაძლებელია დავახასიათოთ როგორც ცოფი. მსგავსი კოგნიტური მეტაფორა არ გვხვდება ლეიკოფთან და კოვეჩეშთან. ინგლისურ ენაში ბრაზს, როგორც ცოფს გამოხატავს to foam with anger, foam at the mouth, რუსულში - быть в бешенстве, говорить с пеной у рта, ხოლო ქართულში პირიდან ცოფების ყრა, დორბლების წამოყრა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ბრაზი განმარტებულია – როგორც „სიცოფე ძლიერი".

გაბრაზებული ადამიანი წააგავს მხეცს, რომელიც ვეღარ აკონტროლებს თავს. ამის გამომხატველია: fericous temper, to arouse one's anger, unleash one's anger, get anger out of one's hand.

ბრაზის არის ცხელი სითხე კონტეინერში (Anger is a hot fluid in a container). ეს არის პირობითი მეტაფორა, რომელშიც ბრაზი წარმოდგენილია, როგორც ცხელი სითხე, კერძოდ ტემპერატურის ცვლილება, სითხის დონე გულისხმობს ბრაზის რაოდენობაში ცვლილებას; სითხის მოცულობა გულისმობს ბრაზის კონტროლს, ხოლო სითხის აფეთქება გულისხმობს კონტროლის დაკარგვას.

ბრაზი არის ცეცხლი (Anger is fire) - სადაც ბრაზი არის წარმოდგენილი, როგორც ცეცხლი. მოხმარებული ობიექტი არის გაბრაზებული ადამიანი, ცეცხლის რაოდენობაში იგულისხმება ბრაზის რაოდენობა, ცეცხლის საშიშროება ცეცხლმოკიდებულ და ასევე მის ირგვლივ მყოფ საგნებთან შედარებულია გაბრაზებულ ადამიანსა და მის გარშემომყოფებს.

რუსულ ენაში ბრაზი არის სტიქია (ცეცხლი, წყალი). ერთი შეხედვით სითხისა და ცეცხლის შერწყმა ერთი ემოციის გამოსახატავად იმით აიხსნება, რომ ორივე შემთხვევაში სათავეში დევს მაღალი ტემპერატურის იდეა (მდუღარე, თუხთუხა სითხე და მოგიზგიზე, მწველი ცეცხლი): вспыхнул гнев, подлить масла в огонь, тлеет злоба, разгорается злость, захлестнула злость, закипеть от ярости, наполниться раздражением, переполнить чашу терпения, лопаться от злости, выплеснуть ярость, кровь кипит от негодования, точка кипения, довести до белого каления, взволновать, остывать после вспышки гнева, кипеть/закипать от гнева.

ბრაზი არის ჭექა-ქუხილი. რუსულ ენაში გამოიყოფა ამ ემოციისათვის უნიკალური მეტაფორული სახე, რომელიც აერთიანებს ცეცხლსა და წყალს – ჭექა-ქუხილი, ღრუბელი. ბრაზი არის რაღაც სტიქიური, უმართავი მდგომარეობა, რომელიც მოულოდნელად შეიპყრობს და დაიმორჩილებს ადამიანს, რომელიც შეესაბამება წამიერ აფეთქებასა (ელვა) და წვას. მეტაფორული ინტერპრეტაცია დისკურსში взгляд туманится гневом и начинает извергать молнии; гнев, настоящий гнев засверкал в его глазах; метать громы и молнии: воспламеняется гневом; загоревшимися гневом черными глазами; пылающее от гнева лицо; судя по глазам, гроза была не за горами.

ბრაზი - „ავადმყოფობაა". ამ მეტაფორის შესაბამისად, ადამიანები ვერ აკონტროლებენ თავს. Вспыхнул от гнева, жар, краска гнева залила лицо, краснеть, красный как рак, багровый, жаркий спор, бледный, загорелись глаза от гнева, разгорячился, лицо побагровело, довести до белого каления, с пеной у рта. მოცემული მეტაფორები გვიჩვენებენ კავშირს ინტენსიურ, „ცხელ" ემოციასა და შიდა წნევისა და სხეულის ტემპერატურის სუბუექტურ განცდას შორის.

ბრაზი – პარალიჩია: гримаса застыла на лице; злость сковала его; с трясущимися от бессильного гнева губами; она бледнеет и губы ее дрожат от гнева; скривиться.

ბრაზის მდგომარეობას ასევე გამოხატავს მოთმინების შემცველი ფრაზები, რომელიც გვხვდება სამივე ენაში, კერძოდ - რუსულში терять терпение, ინგლისურში – to lose one's temper/patience, to run out of patience, ხოლო ქართულში – მოთმინების დაკარგვა. ინგლისურ ენაში, მოთმინების მნიშვნელობით იხმარება როგორც patience, ასევე temper და ზმნები, რომლებიც ბრაზის მდგომარეობას გადმოცემენ არა მხოლოდ ზმნა დაკარგვით, როგორც ეს არის მოცემული ქართულ და რუსულ ენებში, არამედ ასევე to run out –ის მეშვეობით.

ბრაზის გამომხატველია ასევე ფრაზები to be out of temper. ბრაზის მდგომარეობაში ჩავარდნას გამოხატავენ to get, to fly, to go into a temper.

სამივე ენაში იდენტურია ასევე ბრაზის გამომხატველი შემდეგი ფრაზები: to exhaust smb.'s patience, მოთმინება შემოელევა და чье-л. терпение истощается და вывести кого-л из терпения, ასევე терпение лопнуло მოთმინებიდან გამოყვანა.

სიბრაზის თანმხლებ კინემატურ გამოვლინებებს გამოხატავს ზმნა to clench შემდეგ არსებით სახელებთან - fist, teeth, hand-თან შესიტყვებაში. ქართულ ენაში კბილების ღრჭენა/კრაჭუნი, ლესვა, შუბლგაუხსნელი, შუბლის შეკვრა, რუსულში - сжимать кулак, зубы. მსგავსი კინემატური გამოვლინება ქართულ ენაში გამოიხატება ზმნებით კრაჭუნი, ღრჭენა და ლესვა.

5. სამაგიეროს გადახდა

ინგლისელთა აღქმით, ბრაზი ხანმოკლე ემოციაა: Anger dies quickly in a good man, anger grows old fast, თუმცა მისი შედეგი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს: anger is a brief madness, but it can do damage that lasts forever. ამ ემოციის ნეგატიურ ბუნებაზე მეტყველებს შემდეგი ფრაზები: anger is a sworn enemy, anger and haste hinder good counsel, სხვ. ინგლისური კულტურა anger ადარებს ქარს, რომელიც გონებიდან დევნის ყოველგვარ ნათელს (anger is a wind that blows out the light of the mind).

ბრაზის დასაძლევად ინგლისურ ენის ლექსიკა გვაწვდის შემდეგი სახის რჩევებს: kill your anger while it's hot, sleep with your anger, ამ ემოციის ხანმოკლე ბუნებაზე მეტყველებს შემდეგი ორი ფრაზა, რადგან ათამდე დათვლასა და ანბანის 26 ასოს ჩამოთვლაში ბრაზიც გაივლის. if you are angry count to ten, when in anger say the alphabet. მარკ ტვენი კი თვლის, რომ ეს ემოცია უფრო ხანმოკლე

ბუნების არის. მისი აზრით ბრაზი ოთხამდე დათვალში გადის: When angry count four; when very angry, swear. ტომას ჯეფერსონის აზრით, კი თუ გაბრაზებული ხარ უნდა დაითვალო ათამდე, ხოლო თუ ძალიან გაბრაზებული - მაშინ ასამდე (When angry, count ten before you speak; if very angry, a hundred).

ქართულ ენაში ბრაზზე არსებული გამონათქვამებიდან გვხვდება ისეთებიც, რომლებიც ქართულ კულტურასთან მჭიდრო კავშირს ავლენს. თედო სახოკია ფრაზის გაფრანგების წარმოშობას უკავშირებსა ხმალს, რომელიც ფშავ-ხევსურეთში იყო გავრცელებული და როგორც ჩანს შემოტანილი იყო საქართველოში საფრანგეთიდან. ქართულ ენაში გვხვდება ასევე იდიომი შაქზე დგომა, რომელსაც თედო სახოკია განმარტავს როგორც გაჯავრება, გაბრაზება, განრისხება.

ქართულ ენაში ბრაზის გამომხატველი ფრაზები გემოს შეგრძნებებთან არის დაკავშირებული, როგორიცაა გაპილპილება, გაწიწმატება. მსგავსი პარალელი არ გვხვდება რუსულ და ინგლისურ ენებში.

რუსულ ენაში ბრაზის გამომხატველია не помнить себя от гнева. навлечь на себя гнев. сменить гнев на милость. რუსული ენისათვის სპეციფიკურია ბრაზის სახეობა – царский гнев.

მოცემულ თავში ფსიქოლოგიური და ენობრივი კუთხიდან განხილული იყო ემოცია, რომელიც სახელდება ინგლისურსა, ქართულ და რუსულ ენებში სიტყვებით anger/ბრაზი/гнев. ფსიქოლოგთა განმარტებით, ბრაზი არის მავნე, დამღუპველი ემოცია, რომელსაც ბადებს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური შებოჭილობის გრძნობა. ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში სალექსიკონო დეფინიციების განხილვის შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ ზოგადი დასკვნები. ცნებები anger, ბრაზი და гнев სამივე ენაში მიჩნეულია, როგორც ძლიერი ემოცია/გრძნობა. აღნიშნული ემოციის ნეგატიურ ბუნებაზე ხაზგასმა კეთდება მხოლოდ ინგლისურ და რუსულ ენებში. ემოციის გამომწვევ მიზეზებს ასახელებს ინგლისური ენის დეფინიციური ლექსიკონი, ხოლო ქართულსა და რუსულ ენებში მიზეზები დასახელებული არ არის. აქვე აღსანიშნია, რომ სამივე ენაში მოცემული სალექსიკონო დეფინიციები გარკვეულწილად იდენტურია ფსიქოლოგ პ. ეკმანის მიერ მოწოდებული განმარტებისა, სადაც იგი ბრაზს ახასიათებს როგორც გაღიზიანებისა (რუსული) და უსიამოვნების (ინგლისური) ძლიერ გრძნობას (ქართული, ინგლისური, რუსული). ის ფაქტი, რომ სახელდებული ემოცია ფსიქოლოგიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით,

ხასიათდება ინტენსიურობით, დაწყებული უბრალო გაღიზიანებით, დამთავრებული მძვინვარებითა და რისხვით, ასევე აისახება ენობრივ დეფინიციებში. კერძოდ, ინგლისურ ენაში ინტენსივობა გამოიხატება შემდეგნაირად: displeasure – violent – belligerence, ქართულში - გულის მოსვლა – გაჯავრება – გახელება – სიცოფე, რუსულ ენაში - раздражения возмущения, негодования озлобления. შედარების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთო სამივე ენაში მოცემლი სალექსიკონო დეფინიციებისა არის ის, რომ ყველა მათგანი სახელდებულ ემოციას მიიჩნევს, როგორც ძლიერ გრძნობას, რომელიც ხასიათდება გარკვეული ინტენსიურობით (იხ. ცხრილი № 13)

ცხრილი № 13

ემოციათა **Anger/ბრაზი/гнев** შედარება ლექსიკონურ დეფინიციებზე დაყრდნობით

	ძლიერი ემოცია/ გრძნობა	ნეგატიური ემოცია/ გრძნობა	ემოციის გამომწვევი მიზეზები	ემოციით გამოწვეული ქმედება	ინტენსივობა
Anger	+	violent feeling feeling of displeasure, belligerence,	person, smth bad, unfair, unacceptable, cruel, insulting, wrong, wrath; ire	desire to step or hurt the person	displeasure-violent-belligerence
ბრაზი	+	-	-	-	გულის მოსვლა, გაჯავრება გახელება სიცოფე

Гнев	+	чувство возмущения, негодования, раздражения, озлобления	-	-	раздражения, возмущения, негодования, озлобления

სამივე ენაში შემხვდა ფრაზეოლოგიური ერთეულები (იდიომები, ანდაზები), რომლებიც:

1) ასახავენ აღნიშნულ ემოციას;

2) გამოხატავენ ემოციის თანმხლებ ფიზიოლოგიურ გამოვლინებებს.

3) ინგლისურ ენაში ასევე ვხვდებით ანდაზებს, რომლებიც რჩევას აძლევენ ინდივიდს, თუ როგორ დააღწიონ თავი სიბრაზის გრძნობას.

ფრაზები ემოცია **ბ რ ა ზ ზ ე** ქართულ ენაში

სისხლი უდუღს	მოთმინების ფიალა/თასი აევსება	მოთმინების ფიალა /თასი დაეცლება
მოთმინების ბეწვი/ძაფი გაუწყდება	მოთმინების დაკარგვა	კბილების ღრჭენა/კრაჭუნი
კბილების ლესვა	შუბლგაუხსნელი	შუბლის შეკვრა
გაფრანგება	შაქზე დგომა	გაპილპილება
გაწიწმატება	ბრაზის მორევა	ბრაზის გატეხვა
ალმურის აკვრა (სახეზე)/ალმურის ასვლა	გონების ამღვრევა	გულზე გასკდომა/გახეთქვა
გულზე გველმა უკბინა	გულზე მოსვლა	გულზე შემონთება
გულზე ცეცხლის მოკიდება	გული ყელში სჩრია	გულის ანთება
გულის აღრენა	გულის გასივება	დანა კრიჭას არ უხსნის
პირიდან ცეცხლს ყრის	სისხლის თავში ავარდნა	სისხლის მოწოლა
სისხლის ყელში მიწოლა	ტვინის ადუღება	ფაფრის აშლა
ყალყზე შედგომა	ცეცხლის მოკიდება	ცეცხლს აკვესებს თვალებიდან
ცეცხლს აფრქვევს	ძარღვების აშლა	ბატონის რისხვა - წყალობაა
გაბრაზებული თათარი სიმღერას მოუმატებსო	წამით სიცოფე ბრაზი არ არის	ცოლს ნუ უწევ ღაზობასა, არ მოგაკლებს ბრაზობასა
დორბლებს ყრის	ბრაზით გასივება	შუაზე გასკდომა

მოთმინება შემოელევა/დაკარგავს	ცოფი ერევა	ცოფს ყრის
ჭიჭინაზე სკდება	ბრაზს დაანთხევს	ნაღველას დაქცევა
დაღველას გასივება	ჭკუა ერევა	ჭკუას უბნელებს
ტვინი აემღვრევა	გულის ადუღება	გულის გასივება
სიბრაზისგან დამუნჯება	სიბრაზისგან ენის ჩავარდნა	ბალანს აუშვებს
ბეწვს აუშვებს	ჯაგარს აიშლის	

ფრაზები ემოცია **ბ რ ა ზ ზ ე** რუსულ ენაში

у него кровь кипит	сдерживать гнев	овладеть собой
гнев ослепил меня	одолеть гнев	говорить с пеной у рта
глаза косят от злости.	противостоять своему гнев	вспыхнул гнев
переполнить чашу терпения	быть в бешенстве	подлить масла в огонь
тлеет злоба	разгорается злость	захлестнула злость
закипеть от ярости	лопаться от злости	выплеснуть ярость
точка кипения	довести до белого каления	кипеть/закипать от гнева
метать громы и молнии	Вспыхнуть от гнева	загорелись глаза от гнева
с пеной у рта	красный как рак	дрожать от гнева
чье-л. терпение истощается	вывести кого-л из терпения	терпение лопнуло
сжимать кулак, зубы	не помнить себя от гнева	навлечь на себя гнев

сменить гнев на милость	царский гнев	Матери́нский гнев — что весе́нний снег: и мно́го его вы́падет, да ско́ро раста́ет
Где гнев, там и милость	Рыжий, как огонь.	От божьего гнева да божьей милости (т. е. грозы) не уйдешь
вывести из себя	кровь бросилась в голову	Покраснел, как рак.
Царев гнев — посол смерти.		

ᲐᲖᲔᲑᲘ ᲔᲛᲝᲪᲘᲐ **ᲑᲠᲐᲖᲖᲔ** ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ ᲔᲜᲐᲨᲘ

to make one’s blood boil	Foam at the mouth	to burn with anger
Face like thunder	to flush with anger	someone’s blood is up
flame with anger	fire someone with anger	blow a gasket/stack/fuse
flash with anger	blind with anger	to be speechlesly angered
suppress one’s anger	turn one’s anger inward	keep anger bottled up inside somebody
one's patience wears thin	go wild	start raving
flail smb’s arms	go out of mind	tear smb’s hair out
bang smb’s head against the wall	to foam with anger	foam at the mouth
fericous temper	to arouse one’s anger	unleash one’s anger
get anger out of one’s hand	to lose one’s temper/patience	to run out of patience
to be out of temper	to get, to fly, to go into a temper.	exhaust smb.'s patience
to clench fist, teeth, hand	Anger dies quickly in a good man	anger is a brief madness, but it can do damage that lasts forever
anger is a wind that blows out the light of the mind	kill your anger while it’s hot, sleep with your anger	if you are angry count to ten, when in anger say the alphabet
When angry count four; when very angry, swear	When angry, count ten before you speak; if very angry, a hundred	A man is only as big as the things that make him mad

anger grows old fast	anger is a sworn enemy	anger and haste hinder good counsel
Anger edges valor	Anger is more hurtful than the injury that caused it	To be up in arms
Blow your top/fuse	For every minute you are angry you lose sixty seconds of happiness	Fly off the handle
Get your knickers in a twist.	Go off the deep end	Go through the roof
Look daggers at someone	Make one's hackles rise	Kick yourself
Like a red flag to a bull	Have a quick temper	Short fuse
See red	Steamed up	Vent your spleen
have/throw a fit	go spare	do his nut
at smb's my wits' end	Flip One's Wig/lid	to be on the warpath
to be hopping mad	to throw a wobbler	"Anger dwells only in the bosom of fools."
When angry, count to four. When very angry, swear."	"I know of no more disagreeable sensation than to be left feeling generally angry without anybody in particular to be angry at"	Anyone can become angry - that is easy, but to be angry with the right person at the right time, and for the right purpose and in the right way - that is not within everyone's power and that is not easy."
"For every minute you remain angry, you give up sixty seconds of peace of mind."	"Whatever is begun in anger ends in shame."He is a fool who cannot be angry; but he is a wise man will not	Anger is a great force. If you control it, it can be transmuted into a power which can move the whole world."

The angry people are those people who are most afraid”	“Anger is a brief madness.”	“Anger is a momentary madness, so control your passion or it will control you.”
“When you are offended at any man's fault, turn to yourself and study your own failings. Then you will forget your anger.”	“Anger blows out the lamp of the mind”	“Anger is not bad. Anger can be a very positive thing, the thing that moves us beyond the acceptance of evil.”
The best answer to anger is silence	“Anger repressed can poison a relationship as surely as the cruelest words”	“Don't hold to anger, hurt or pain. They steal your energy and keep you from love.”

IV თავი

JOY/სიხარული/РАДОСТЬ

ფსიქოლოგთა განმარტებით სიხარული არის სასიამოვნო შეგრძნებათა და განცდათა ემოცია. სიხარულს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ბაზისურ ემოციას, აქვს უნივერსალური მახასიათებლები. სიხარული ერთ–ერთი უმარტივესი ემოციაა მიმიკური გამოხატულების თვალსაზრისით. ღიმილი ჩნდება კუნთის მხოლოდ ერთი წყვილის-ღაწვის შეკუმშვის შედეგად. კუნთთა შეკუმშვისას პირის კუთხეები ოდნავ არის ზემოთ აწეული. სიხარული გამოიხატება ღიმილითა და სიცილით. აღნიშნული გამოვლინებები ადვილად იშიფრება და თითქმის ყოველთვის მიუთითებენ სიხარულის ემოციაზე. დღესდღეობით შესწავლილია მხოლოდ რამდენიმე ფიზიოლოგიური ცვლილება, რომელიც თან ახლავს სიხარულის ემოციას. სიხარულის განცდა იწვევს გულის შემცირების სიხშირის მომატებას. სიხარული განიცდება როგორც სასიამოვნო, სასურველი, სასარგებლო, უდავოდ პოზიტიური გრძნობაა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ფსიქოლოგიური კომფორტისა და კეთილდღეობის გრძნობა (იზარდი, 2000). სიხარული აიძულებს ადამიანს განსაკუთრებული სიმძაფრით შეიგრძნოს მისი ერთიანობა სამყაროსთან. სიხარულით აღსავსე ადამიანი სამყაროს ხედავს ჰარმონიასა და სილამაზეში, აღიქვამს ხალხს მათ საუკეთესო გამოვლინებებში. ის აღიქვამს ობიექტს ისე, როგორც ის არის და არ ცდილობს გააუმჯობესოს ან შეცვალოს იგი. სიხარული ეს არის არა მარტო პოზიტიური დამოკიდებულება სამყაროსა და საკუთარი თავისადმი, ეს თავისებური კავშირია ადამიანსა და სამყაროს შორის.

როგორც ცნობილია, სიხარულს ხშირად თან ახლავს ენერგიისა და სიძლიერის შეგრძნება. ფსიქოლოგთა მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყვეს, რომ ეს შეგრძნება წარმოადგენს სიხარულის ემოციის არსებით ნაწილს. სასიხარულო ექსტაზის მდგომარეობაში ადამიანი გრძნობს არაჩვეულებრივ სიმსუბუქეს, ენერგიულობას, უჩნდება ფრენის სურვილი (იზარდი 1999).

სიხარული ჩნდება სპონტანურად, როდესაც ადამიანი აღწევს გარკვეულ მიზანს, მისთვის მნიშვნელოვან შედეგს. ადამიანს არ ძალუძს სიხარულის გამოწვევა გაცნობიერებული მცდელობით, მაგრამ მან შეიძლება დაისახოს ისეთი მიზნები, რომელთა მიღწევაც მას სიხარულს მოუტანს.

ლ. შუტცის განმარტებით „სიხარული ეს არის ისეთი გრძნობა, რომელიც უჩნდება ადამიანს თავისი შესაძლებლობების რეალიზაციის გაცნობიერების შედეგად (იზარდი, 1992).

სიხარულის ემოცია ურთიერთმოქმედებს სხვა ემოციებთან, პერცეპტუალურ-კოგნიტურ პროცესებსა და ქცევასთან. სიხარული ხშირად შედის ინტერაქციაში ისეთ ემოციებთან, როგორიცაა: სირცხვილი, სიძულვილი.

აშკარაა სიხარულის ემოციის ურთიერთქმედება პერცეპტუალურ პროცესებთან. ადამიანი სამყაროს „მხიარულ ფერებში აღიქვამს". სიხარული მიერ გამოწვეული ცვლილებები პერცეპტუალურ სისტემაში, ადამიანს ანიჭებს დარწმუნებულობის, მომთმენობისა და დიდსულოვნების გრძნობას. არანაკლებ სასიკეთო გავლენას ახდენს სიხარული კოგნიტურ პროცესებზე, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ემოცია შეიძლება გახდეს აზროვნების პროდუქტიულობის შემცირების ერთადერთი მიზანი. თუ ადამინის წინ მდგარი პრობლემა მოითხოვს ძალისხმევას და აუცილებელ გადაწყვეტას, სიხარულის დროს ადამიანმა შეიძლება იგი დროებით დაივიწყოს, დატოვოს გადაუჭრელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთ სიტუაციაში ინტერაქცია „სიხარული-კოგნიტური პროცესები" პარადოქსული ხასიათის მატარებელიც იყოს.

კ. იზარდის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გამოავლინა სიხარულის გამომწვევი შემდეგი სიტუაციები:

ა) სიტუაცია, რომელშიც ბედნიერებას ანიჭებთ საყვარელ ადამიანს;

ბ) როდესაც ხედავთ, რომ საყვარელი ადამიანი ცდილობს შეგიქმნათ სასიამოვნო გარემო;

გ) როდესაც საყვარელი ადამიანი იზიარებს თქვენს განცდებს.

სიხარულის ემოციის ფსიქოლოგიური დახასიათების შემდეგ განვიხილავ აღნიშნულ ემოციურ ცნებას ინგლისურსა და ქართულ ენებში. პირველ რიგში კი ჩავატარებ დასახელებული ემოციური ცნების დეფინიციურ ანალიზს. Oxford Advanced Learner's Dictionary-ში მოცემული განმარტების თანახმად joy არის "feeling of great happiness" (დიდი ბედნიერების გრძნობა). Joy-ს მსგავს დეფინიციას ვხვდებით Random House Dicitonary-შიც. აღნიშნული ლექსიკონი სიხარულს არა მხოლოდ დიდი ბედნიერების, არამედ სიამოვნების, აღტაცების ემოციად მიიჩნევს და ასახელებს კიდეც მის გამომწვევ მიზეზსაც: "the emotion of great delight or happiness caused by something exceptionally good or satisfying; keen pleasure; elation. თუ ზემოთდასახელებულ ლექსიკონებში joy მხოლოდ დიდი ბედნიერების

გრძნობად არის მიჩნეული, American Heritage Dictionary-ში ის ხდება ინტენსიური, განსაკუთრებით კი ექსტაზური ბედნიერების გრძნობა “intense and especially ecstatic or exultant happiness”. Collins Cobuild English Language Dictionary-შიც joy არის “feeling of great happiness and contentment” („დიდი ბედნიერებისა და კმაყოფილების გრძნობა”).

ზემოთ მოყვანილი ლექსიკონებისაგან განსხვავებით, სიხარულს, გარდა ბედნიერებისა, კმაყოფილების გრძნობადაც მიიჩნევს. Longman Dictionary of English Language and Culture-ში სიხარული დახასიათებულია, როგორც „great happiness” („დიდი ბედნიერება”). ამრიგად, სიხარული არის ინტენსიური, ექსტაზური ბედნიერების სიამოვნების, კმაყოფილების ემოცია, რომლესაც იწვევს კარგი ან კმაყოფილების გამომწვევი რამ”.

ახლა კი განვიხილოთ აღნიშნული ემოციური ცნება ინგლისური ენის ფრაზეოლოგიაში. სიხარულის ფსიქოლოგიურ დახასიათებაში საუბარი გვქონდა აღნიშნული ემოციის სხვა ემოციებთან, კერძოდ -joy-shame, joy-contempt ინტერაქციაში შესვლის შესახებ. საინტერსეოა ის ფაქტიც, რომ სიხარულს ფრაზეოლოგიზმებში ინტერაქციაში ვხვდებით არა ზემოთდასახელებულ ემოციებთან, არამედ ემოცია sorrow-s (დარდი), რაზეც ნათლად მოწმობს შემდეგი: Joy is kin to sorrow. ეს ორი ემოციური ცნება (joy-sorrow) გვერდიგვერდ მცხოვრებ მეზობლებს არის შედარებული: Joy and sorrow are next-door neighbours. სიხარულისა და ბედნიერების ურთიერდამოკიდებულებასა და სიახლოვეზე მეტყეველებს შემდეგი ფრაზაც: When joy is in the parlour, sorrow is at the kitchen sink, an Tundac: Our greatest joys and our greatest sorrows grow on the same vine. სიხარულს ხშირად მოსდევს მწუხარება After joy comes sorrow, მაგრამ შეიძლება მოხდეს პირიქითაც: They that sow in tears shall reap in joy. ის რაც დღეს სიხარულს განიჭებს, ხვალ შეიძლება დარდად გექცეს: Today’s joys can be tomorrow’s woes, თუმცა წარსული დარდი შეიძლება ტკბილად მოგვეჩვენოს: Sorrows remembered sweeten present joy. სიხარულილსა და დარდის ურთიერთკავშირის ჩანს ასევე შემდგე ანდაზაშიც: After a storm comes fair weather, after sorrow comes joy. სიხარული ისეთი ემოციაა, რომელიც ადამიანებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ: There’s no joy in anything unless we share it. გაზიარებული სიხარული ორმაგდება: A joy that’s shared is a joy made double. მწუხარება კი მცირდება: Shared joys are doubled, shared sorrows are halved. განუყოფელ სიხარულს ნაწილობრივი სიამოვნება მოაქვს ადამიანისათვის: Joy

which we cannot share with others is only half enjoyed. სიხარულს ვხვდებით ინტერაქციაშიც pain-თან. არ არსებობს სიხარული ტკივილის გარეშე: Theres' no joy without affliction/pain. ყოველგვარი კარგი ქმედება სიხარულს იწვევს if you do well, the pain does fade, the joy remains, წინააღმდეგ შემთხვევაში რჩება მხოლოდ ტკივილი if you do ill, the joy fades, not the pain. დადებითი ემოციებიდან სიხარულს ვხვდებით pleasure-თან ინტერაქციაში: Who pleasure gives shall joy receive. ამრიგად, ინგლისელთა აღქმაში ადამიანის მიერ გაცემული სიკეთე, სიამოვნების, სიხარულის მომტანია. სიხარულს ხშირად ადარებენ ღვინოს, ვინაიდან მას, ღვინის მსგავსად შეუძლია თრობის მდგომარეობის მოგვრა: Joy is the best wine.

სიხარულის მდგომარეობას გამოხატავს ასევე ფრაზა: She is in the seventh heaven, რაც გვაგონებს ქართულ გამოთქმას „სიხარულისაგან მეცხრე ცაზეა" როგორც უკვე აღვნიშნეთ ინგლისური სალექსიკონო დეფინიცების განხილვისას, ემოცია joy მიჩნეულია დიდი ბედნიერების გრძნობად, რაც ნათლად გამოიხატება ქვემოთ მოყვანილ იდიომატურ გამონათქვამებში: burst with joy, leap/jump for joy, be full of the joys of spring, be in a transport of delight/joy, weep for joy.

ვირჯინია ვულფთან joy შემდგეგ ტიპებს ვხვდებით:

- exquisite joy (To watch a leaf quivering in the rush of air was an exquisite joy), extraordinary joy (To her son these words conveyed an extraordinary joy),
- entire joy,
- pure joy (the burden it laid on them--all this diminished the entire joy, the pure joy, of the two notes sounding together) .

Joy ვხვდებით შემდეგ სიტყვათშეთანხმებებში:

- fringed with joy,
- sight that filled the eyes with joy,
- joys and sorrows,
- element of joy,
- visions of joy

სიხარულის ემოციის ინგლისურ ენაში ჩატარებული ენობრივი ანალიზის შემდეგ, განვიხილოთ ეს ცნება ქართულ ენაშიც. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში მოცემული დეფინიციის მიხედვით, სიხარული არის „გრძნობა, რომელსაც იწვევს სიამოვნებისა და კმაყოფილების განცდა, მხიარული

განწყობილება. ძველი ქართული ენის ლექსიკონის თანახმად სიხარულში ოთხი რამ არის გაერთიანებული:

ა) მხიარულება;
ბ) ლხინი;
გ) წვეულება;
დ) განცხრომა;

ა) ***მხიარულება***-მხიარულ, კარგ გუნებაზე ყოფნა; დროს ტარება, გართობა;
ბ) ***ლხინი***-მხიარულება, დროს ტარება; ქეიფი;
გ)***წვეულება***-საგანგებოდ დაპატიჟებული ხალხისათვის გამართული დროს ტარება;
დ) ***განცხრომა***-უაღრესი კმაყოფილება, ნეტარება, სიტკბოება.

ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემული დეფინიცია, უფრო სრულყოფილია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორივე აღნიშნული ლექსიკონი გვაწვდის სიხარულის არსებით მახასიათებლებს, კერძოდ კი იმას, რომ ეს არის მხიარულებისა და კმაყოფილების, ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში – უაღრესი კმაყოფილების განცდა, რომელიც გადმოიცემა სიტყვა განცხრომით. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არ კონკრეტდება აღნიშნული ემოციის გამომწვევი წყარო. ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში კი ესენია ლხინი, წვეულება. საინტერესოა, როგორ განმარტებას გვაძლევს სულხან-საბა ორბელიანი. მისი აზრით, სიხარული არის „ყოველს ჭმუნვისაგან თავისუფლება". იმავე ლექსიკონში ჭმუნვა განმარტებულია, როგორც „წუხილი უხმობისა მოქმედი". ქართული ენის განმარტებით ლექსკონში კი ჭმუნვა არის „წუხილი, დარდი". ამდენად, სიხარული არის განთავისუფლება წუხილისა და დარდისაგან.

აღნიშნული ემოცია შემდეგნაირად გამოიხატება ქართული ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. სიხარულის ფსიქოლოგიურ მიმოხილვაში აღნიშნული ფრენის სურვილის შეგრძნება რამდენადმე აისახება სიტყვაში ფრთაასხმული, რომელიც გამოხატავს სიხარულით გამოწვეულ მდგომარეობას. უზომო სიხარულის გამომხატველია გამოთქმაც „სიხარულისაგან მეცხრე ცაზე დაფრინავს". უზომო სიხარულის გამოხატავს ასევე: სიხარულით ფეხზე არ დგას, ან ცალ ფეხზე ხტუნავდა. „ვეფხისტყაოსანში" მხიარულება,

მოლხენა, უდარდელობა შედარებულია „ვარდის კრეფას', რაც შემდეგს გულისხმობს: თეიმურაზ ბატონიშვილი ვარდის კრეფობას შემდეგნაირად განმარტავს „მხიარულებასა შინა პირი გაუწითლდება სასიამოვნოდ კაცსა მშვენიერსა, და ვინაიდგან ჩვეულება არის, ვინც მხიარულებაში მშვენიერი გაწითლდება, მას ეტყვიან „ვარდი მოგიკრეფიათო". აღნიშნულ გამონათქვამთან შეიძლება დავაკავშიროთ ანდაზა „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო".

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ კულტურაშიც ემოცია სიხარული ინტერაქციაში შედის ტკივილთან. მსგავსი ანდაზა არის ინგლისურ ენაშიც: "there is no rose without a thorn".

Словарь современного русского литературного языка -ის მიხედვით სიხარული არის დიდი სიამოვნების გრძნობა – чувство большого удовольствия, удовлетворения. ამავე ლექსიკონის მიხედვით ის გამოხატავს ასევე იმ მოვლენას, რომელიც იწვევს სიხარულს (то, что радует, событие радости). მსგავსს დეფინიციას ვხვდებით **Толковый словарь русского языка –** ში, თუმცა აქ სიხარული არის კმაყოფილების გამომხატველი გრძნობა (состояние довольства, благополучия). **Словарь русского языка –**ში სიხარული განმარტებულია, როგორც მხიარული გრძნობა, დიდი სულიერი კმაყოფილების განცდა- веселое чувство, ощущение большого душевного удовлетворения. ამავე ლექსიკონში ვხვდებით მეორე მნიშვნელობას, კერძოდ ის, რაც იწვევს მსგავს გრძნობას. то, что (тот, кто) вызывает такое чувство. მესამე მნიშვნელობაა – სასიხარულო, ბედნიერი მოვლენა, მდგომარეობა – радостное, счастливое событие, обстоятельство.

«Словарь эпитетов русского языка»-ში მოყვანილია სიტყვათშეთანხმება ლექსემა „ბედნიერებათან", სადაც აღნიშნული ლექსემა დახასიათებულია ხანგრძლივობისა (мгновенная радость, бесконечная радость) და ანტროპოცენტრული თავისებურებების მიხედვით (веселая, ветреная, гордая, детская, болтливая, забывчивая, злобная).

«Русскый ассоциативный словарь» -ის მიხედვით, სიხარული ასოცირდება წარმატებასთან, სტუმრების მიღებასთან, ბედნიერებასთან, ღიმილთან, შეხვედრასთან.

რუსული ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი სიხარულის სემანტიკის ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ასახელებს: *быть на седьмом небе, быть на верху*

блаженства; быть вне себя от радости. ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიცავენ კულტურული ინტერპრეტაციის შემდეგ წყაროებს:

1) ქრისტიანობის სახე: *быть на седьмом небе;*

2) სიტყვა-სიმბოლო: *быть на верху блаженства*

3) ლეგენდები, რწმენა: *быть вне себя от радости*.

რუსულ ანდაზებში სიხარული გამოხატავს:

1. ემოციის ცვლადობას სხვა ნეგატიური ემოციებით *«Ни радости вечной, ни печали бесконечной»; «Где радость, там и горе; где горе, там и радость»;*
2. სიხარულის განცდა სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის: *«Радость прямит, а кручина крючит»*;
3. ემოციის სომატური გამოხატულება *«От радости кудри вьются, а в печали секутся»*;
4. სიხარულის შეპირისპირება სხვა ნეგატიური ემოციებით: *«Не видав горя, не узнаешь и радости»;*
5. უმაღლესი მატერიალური ღირებულება: *«Веселье лучше богатства»; «Веселого нрава не купишь».*

მოცემულ თავში ფსიქოლოგიური და ენობრივი კუთხიდან განხილული იყო ემოცია, რომელიც სახელდება ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებში სიტყვებით joy/радость/სიხარული. ფსიქოლოგთა მიერ მოცემული განმარტების თანახმად, სიხარული არის სასიამოვნო შეგრძნებათა და განცდათა ემოცია. იგი ინტერქაციაში შედის ისეთ ემოციებთან, როგორიცაა სირცხვილი, სიძულვილი.

ინგლისური განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით, joy არის არა მხოლოდ დიდი ბედნიერების გრძნობა, არამედ სიამოვნების, აღტაცებისა და კმაყოფილების ემოცია. რუსული ენის განმარტებებზე დაყრდნობით, радость არის დიდი კმაყოფილების, მხიარული გრძნობა, კეთილდღეობის მდგომარეობა, დიდი სულიერი კმაყოფილების განცდა. ამავე ცნებით აღინიშნება ის მოვლენა, საგანი თუ ადამიანი, რომელიც ამ ემოციით გამოწვეულ მდომარეობას იწვევს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, სიხარული არის გრძნობა, რომელსაც იწვევს სიამოვნებისა და კმაყოფილების განცდა, მხიარული განწყობილება (იხ. ცხრილი № 14).

ცხრილი № 14

ემოციათა **Joy/სიხარული/радость** შედარება ლექსიკონურ დეფინიციებზე დაყრდნობით

	Joy	**სიხარული**	**радость**
1	Feeling of great happiness	გრძნობა, რომელსაც იწვევს სიამოვნებისა და კმაყოფილების განცდა, მხიარული განწყობილება.	чувство большого удовольствия, удовлетворения
	Emotion of great delight or happiness caused by something exceptionally good or satisfying; keen pleasure; elation		состояние довольства, благополучия
	Intense and especially ecstatic or exultant happiness		веселое чувство, ощущение большого душевного удовлетворения
	Feeling of great happiness and contentment		
2			то, что радует, событие радости
			радостное, счастливое событие, обстоятельство

ამგვარად, სამივე ენის სალექსიკონო დეფინიციების შედარების შედეგად შესაძლებელია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- სამივე ენაში სახელდებული ემოცია მიჩნეულია კმაყოფილების ემოციად
- ინგლისურ ენაში ბედნიერიების გრძნობაა

- ქართულ და ინგლისურ ენებში სიამოვნების განცდით გამოწვეული გრძნობა
- რუსულ ენაში აღნიშნული ცნებით ასევე გამოხატავენ იმ მოვლენას, საგანს თუ ადამიანს, რომელიც ამ სიხარულის მდგომარეობას იწვევს.

ფსიქოლოგიური დახასიათებისაგან განსხვავებით, ინგლისური ენის მასალის თანახმად, სიხარული შედის ინტერაქციაში ისეთ გრძნობებთან, როგორიცაა დარდი, ტკივილი, ამასთან ერთად, ინგლისელთა ხედვით სიხარულის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს გაცემული სიკეთე, ვისმესთვის სიამოვნების მინიჭება, სასიკეთო ქმედება. ძველ ქართულ ენაში სიხარულის ცნება ასოცირდება ისეთ ცნებებთან, როგორიცაა მხიარულება, ლხინი, წვეულება, განცხრომა. მსგავსებით გამოირჩევა სიხარულით გამოწვეული აღტკინების გამომხატველი ინგლისური და ქართული იდიომები, სიხარულისაგან მეცხრე ცაზეა-to be in the seventh heaven. რუსულ ენაში სიხარული ასოცირდება წარმატებასთან, სტუმრების მიღებასთან, ბედნიერებასთან, ღიმილთან, შეხვედრასთან.

ფრაზები ემოცია **სიხარულზე** ინგლისურ ენაში

Joy is kin to sorrow	Joy and sorrow are next-door neighbours	When joy is in the parlour, sorrow is at the kitchen sink
Our greatest joys and our greatest sorrows grow on the same vine	After joy comes sorrow	They that sow in tears shall reap in joy
Today's joys can be tomorrow's woes	Sorrows remembered sweeten present joy	After a storm comes fair weather, after sorrow comes joy
There's no joy in anything unless we share it	A joy that's shared is a joy made double	Shared joys are doubled, shared sorrows are halved
Joy which we cannot share with others is only half enjoyed	Theres' no joy without affliction/pain	if you do well, the pain does fade, the joy remains
if you do ill, the joy fades, not the pain	Who pleasure gives shall joy receive	Joy is the best wine
She is in the seventh heaven	burst with joy	leap/jump for joy
be full of the joys of spring	be in a transport of joy	weep for joy
fringed with joy	sight that filled the eyes with joy	joys and sorrows
element of joy	visions of joy	"Joy is the feeling of grinning inside."
"A joy shared is a joy doubled"	"Joy is never in our power and pleasure often is"	Joy is increased by spreading it to others"

“Joy delights in Joy”	“He who has not looked on Sorrow will never see Joy.”	“One joy shatters a hundred griefs
“You shall have joy, or you shall have power, said God; you shall not have both”	When you wish someone joy, you wish them peace, love, prosperity, happiness... all the good things.”	“One of the greatest joys known to man is to take a flight into ignorance in search of knowledge”
“Shared joy is a double joy; shared sorrow is half a sorrow”		

ფრაზები ემოცია **სიხარულზე** რუსულ ენაში

быть на седьмом небе	быть на верху блаженства	быть вне себя от радости
Не видав горя, не узнаешь и радости»;	Ни радости вечной, ни печали бесконечной	Где радость, там и горе; где горе, там и радость
Радость прямит, а кручина крючит	От радости кудри вьются, а в печали секутся	Веселье лучше богатства
Веселого нрава не купишь	Ни печали без радости, ни радости без печали	Нет лучше веселья, кому сердечная радость
Бог и плач в радость обращает (претворяет)	Кто в радости живет, того и кручина неймет	Лучше пребывать в дому плача праведных, нежели в дому радости беззаконных
Земли под собою не слышит (невзвидел; от радости)	От радости голова вскружилась, дух сперся	Злой плачет от зависти, добрый от радости. О чем плачешь
Нужда (беда, горе) семерых задавила, а радость одному досталась	От радости и старики со старухами помолодели	Ста́рость - не ра́дость.
Радости быстро забываются, а печали никогда	Радость без печали не бывает	Радость горю не попутчик
Радость молодит, а горе старит	Радость не вечна, печаль не бесконечна	Радость прямит, кручина крючит
Радуется сердце тяти от ласкового дитяти	Глаза боятся, рот радуется.	

ფრაზები ემოციასიხარულზე ქართულ ენაში

სიხარულით ფეზე არ დგას	სიხარულის ჩასხივება	წარბის გახსნა
აღდგომის გათენება/ აღდგომის დღის გათენება	გულზე ვარდის გადაფენა	გულის ამღერება
გულის აფანცქალება	ელეომელეთის მოსვლა	მეშვიდე ცას ეწევა
ფრთების გამოსხმა	ფრთების შესხმა	ქუდი ჭერსა ჰკრა
შუბლის გახსნა	ცას ეწევა (სიხარულით)	საცა სიყვარული არ არის, იქ სიხარულს რა უნდაო
არ გაიხარა გაუხარელმა.	დათვმა სიხარულისაგან თავის ბელი მოჰკლაო	ტირილით დამთესი სიხარულით მოიმკის
აღდგომის დღის მოსვლა		

V თავი

HAPPINESS/ბედნიერება/СЧАСТЬЕ

ფსიქოლოგთა განმარტებით ბედნიერება არის სიამოვნების, კმაყოფილების გრძნობა. ბედნიერება მიჩნეულია დადებით ემოციად. სიხარულის მსგავსად, მიმიკური გამოხატვის თვალსაზრისით, ის მარტივი ემოციაა. იმავე ფსიქოლოგების აზრით, ბედნიერება ჯანმრთელობის საწინდარია. ისინი თვლიან, რომ სიცილის დროს ადამიანის სხეულში ბევრი ფიზიოლოგიური ცვლილება ხდება: მომატებულია სისხლის წნევა, გახშირებულია გულის ცემა, იცვლება სუნთქვის სიხშირე. ამ დროს ძლიერდება ადამიანის იმუნური სისტემა. სახის მიმიკური გამოხატულებებიდან ბედნიერებას ახასიათებს: აწეული კუთხეები და უკან გაწეული ტუჩები, ჩნდება ნაოჭები თვალის კუთხეებთან. (პლუტჩიკი, 1980).

ბედნიერების ფსიქოლოგიური დახასიათების შემდეგ ვნახოთ თუ როგორ აისახება ეს ემოცია ინგლისურ და ქართულ ენებშიც.

ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებში აღნიშნული ემოცია რამდენიმე მნიშვნელობით არის წარმოჩენილი. ერთი-ერთი მათგანი არის სიამოვნების, კმაყოფილების მნიშვნელობა. Dictionary of English Language and Culture-ს თანახმად, happiness არის "feeling or showing pleasure or contentment" (სიამოვნების ან კმაყოფილების შეგრძნება ან გამოხატვა); ამ ემოციის იდენტურ მნიშვნელობას ვხვდებით Random House Dictionary-ში, თუმცა აქ ბედნიერება ზემოთ დასახელებული ლექსკონებისაგან განსხვავებით სიხარულის გამომწვევადაც გვევლინება: happiness is "characterized by or indicative of pleasure, contentment, or joy". (სიამოვნებისათვის დამახასიათებელი ან კმაყოფილების, სიხარულის მაჩვენებელი). აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი, კერძოდ ის, რომ ბედნიერების ასახსნელად გამოიყენება მეორე ემოციური სიტყვა joy (სიხარული). ამ ორ ემოციურ ცნებას შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთკავშირს ადასტურებენ ფსიქოლოგებიც, თუმცა იმავე ფსიქოლოგთა მონაცემებზე დაყრდნობით, ცნება „ბედნიერი" ყოველთვის არ არის ცნება „სიხარულის" იდენტური. Happiness სიამოვნების გრძნობად, ასევე მიჩნეულია Collins Cobuild English Language Dictionary-შიც: "someone who is happy has feelings of pleasure" („ის ვინც ბედნიერია აქვს სიამოვნების შეგრძნება"). Happiness-ზე იდენტურ მნიშვნელობას გვხვდებით American Heritage Dictionary-შიც, სახელდობრ: "enjoying, showing or marked by pleasure,

satisfaction or joy” (სიამოვნებით, კმაყოფილებით ან სიხარულით ტკბობა, გამოხატვა ან მისი აღმნიშვნელი) და Oxford Advanced Learner’s Dictionary-შიც happiness “feeling or showing pleasure; pleased” (სიამოვნების შეგრძნება ან გამოხატვა; კმაყოფილი). როგორც გვიჩვენა ყველა ზემოთდასახელებულ ლექსიკონებიდან მოპოვებულმა დეფინიციებმა happiness-ს პირველადი ლექსიკური მნიშვნელობა არის სიამოვნების, კმაყოფილების და სიხარულის გამოხატვა.

Happiness-ს მეორე მნიშვნელობა ამ სიტყვის ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას უკავშირდება, კერძოდ კი ბედს, იღბალს. American Heritage Dictionary-ში ვკითხულობთ: “characterized by good luck; fortunate” (კარგი ბედის მქონე; იღბლიანი). იდენტურ დეფინიციას ვხვდებით Oxford Advanced Learner’s Dictionary-შიც: “lucky; successful” (იღბლიანი, წარმატებული”). Random House Dictionary-ის მიხედვით happiness არის “favoured by forture; fortunate or lucky”. (იღბლიანი ან კარგი ბედის მქონე”). ზემოთაღნიშნულზე დაყრდნობით, შეგვიძლია იმის თქმა, რომ happiness-ს მეორე მნიშვნელობაა „იღბლიანი”, „ბედის მქონე”.

Happiness ასევე გამოხატავს კმაყოფილებას, თანხმობას, რომელსაც იწვევს გარკვეული სიტუაცია, მოვლენა. კითხვა “Are you happy with the situation/ arrangemets სრულიად არ გულისხმობს ბედნიერებას.

ემოცია ბედნიერი ასახვას ჰპოვებს ფრაზეოლოგიურ ერთეულებშიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბედნიერება-კმაყოფილება მჭიდრო ინტერაქციაში შედის ერთმანეთთან, რაზეც ნათლად მეტყველებს შემდეგი ფრაზა: Happy is who is content ან One is happy when one is satisfied with one’s self. ბედნიერება ისეთი გრძნობაა,რომელსაც იწვევს სულიერი და არა მატერიალური სიმდიდრე: Call not him the happiest who is the richest. მაგრამ თუ ბედნიერება მდიდრების ხვედრი არ არის, ის არ ღარიბებს ხვდებათ წილად: A poor man can’t be happy because a happy man is never poor. აქ საუბარია სულიერ სიმდიდრეზე. ბედნიერ ადამიანად მიჩნეულია ის, რომელსაც აქვს საყვარელი საქმიანობა, გატაცება: Happy is the man who has a hobby. ყველაზე ბედნიერად კი ის პიროვნება, რომელიც სიმშვიდეს ჰპოვებს ოჯახში: He is the happiest, be he peasant or king, who finds peace in his home. ამ ემოციის დადებითი მხარე აისახება იმაშიც რომ იგი მიჩნეულია ჯანმრთელობის გამომწვევ ფაქტორად: To be happy is to be healthy, ანუ ჯანმრთელობა და ბედნიერება ურთიერთგანმასზღვრელ ფენომენად მოიაზრება. ამას ადასტურებს ასევე ფსიქოლოგიური ლიტერატურიდან მოპოვებული ინფორმაციაც.

ინგლისური ანდაზები, იმის მიხედვით თუ რამდენი ხნით გვინდა ბედიერების მდგომარეობის შენარჩუნება, გვთვაზობენ შემდეგი სახის რჩევებს: If you would be happy for a week take a wife; if you would be happy for a month kill a pig; but if you would be happy all your life plant a garden.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ბედნიერებაში აერთიანებს შემდეგ მნიშვნელობებს: ა) კარგი ბედის მქონე; ბ) სიხარულით სავსე, საამო; გ) კარგი, კეთილი. ბედნიერების ზემოხსენებული მნიშვნელობებიდან ძველი ქართული ლექსიკონი, მხოლოდ პირველს, კერძოდ ბედის მქონებელის გვთავაზობს. ანალოგიური მდომარეობა გვაქვს სულხან-საბასთანაც: „ბედნიერობა არის ბედის მქონებლობა".

რუსული ენის განმარტებით ლექსიკონებში ბედნიერებაზე შემდეგ განმარტებებს ვხვდებით: **Словарь современного русского литературного языка** – ის მიხედვით, ბედნიერება არის

1. состояние полной удовлетворенности жизнью, чувство высшего довольства, радости.
2 удача, успех. всякому свое счастье. **Словарь русского языка,** აღნიშნულ ემოციაზე მსგავს დეფინიციას გვაწვდის, კერძოდ состояние высшей удовлетворонности жизнью, чувство глубокого довольства и радости, испытиваемое кем-л. семейное счастье, народное счастье.

მოცემულ თავში განხილული იყო ემოცია, რომელიც სახელდება ინგლისურ, რუსულ და ქართულში სიტყვებით happiness/счастье/ბედნიერება. ფსიქოლოგების თანახმად, ბედნიერება არის სიამოვნების, კმაყოფილების გრძნობა.

ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებში ბედნიერება დახასიათებულია როგორც გრძნობა, რომელიც გამოხატავს სიამოვნებას, კმაყოფილებას ან სიხარულს. რუსულ ენაშიც счастье აღწერილია, როგორც დიდი კმაყოფილებისა და სიხარულის როგორც გრძნობა, ასევე მდგომარეობა. აქვე ნახსენებია, რომ ბედნიერებით გამოხატული მდგომარეობა არის უმაღლესი/ღრმა. ქართულ ენაში, ბედნიერება სიხარულით სავსე და საამოა. დაკონკრეტებული არ არის ბედნიერება გრძნობაა თუ მდგომარეობა. შემდეგი მნიშვნელობა, რომელსაც ვხვდებით სახელდებულ ემოციაზე არის კარგი ბედის მქონებლობა, ანუ ბედნიერად ქართულ ენაში მიჩნეულია ის ადამიანი, რომელსაც კარგი ბედი აქვს. ინგლისურ ენაში happiness, როგორც ამას მოწმობს ეტიმოლოგიური ლექსიკონი, პირველი მნიშვნელობით სწორედ რომ ბედს უკავშირდება, მაგრამ

თანამედროვე ინგლისურ ენაში აღნიშნული მნიშვნელობა, მეორე პლანზეა გადასული. ინგლისურ ენაში happiness ლექსიკონური დეფინიციების მიხედვით დაკავშირებულია იღბალთან, წარმატებასთან. რუსულ ენაშიც счастье ასევე დაკავშირებულია წარმატებასთან. ქართულ ენაში ბედნიერებას აღნიშნული მნიშვნელობით ვერ ვხვდებით (იხ. ცხრილი № 15) .

ცხრილი № 15

ემოციათა **Happiness/ბედნიერება/Счастье** შედარება ლექსიკონურ დეფინიციებზე დაყრდნობით

	Happiness	**ბედნიერება**	**Счастье**
1	Feeling on showing pleasure or contentment	კარგი ბედის მქონე	состояние полной удовлетворенности жизнью, чувство вышего/ глубокого довольства, радости
	Happiness is chacacterized by or indicative of pleasure, contentment, or joy		
	enjoying, showing or marked by pleasure, satsfaction or joy		
2	characterized by good luck; fortunate	სიხარულით სავსე, საამო	Удача, успех
	Lucky, successful	კარგი, კეთილი	

სამივე ენის ფრაზეოლოგია გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას ინგლისელ, რუს და ქართველ ხალხთა მსოფლხედვაზე.

ქართულ ენაში ბედნიერებაზე არსებულ გამონათქვამებში ეს ცნება ბედთან კავშირში წარმოგვიდგება, რაზეც ნათლად მეტყველებს, ბედთან შეყრა, რაც ნიშნავს გაბედნიერებას, სიკეთის გადაკიდებას. ან კიდევ ჩემ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. იღბლიან, ბედნიერ ადამიანს ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილს უწოდებენ. ქართულ ენაში ბედი ადამიანის ხელშია, რაზეც მეტყველებს – ყველა

თავის ბედის მკერავია, თუმცა ქართველი ხალხის ღრმა რწმენით, კაცი რომ იბადება, მისი სახელის ვარსკვლავიც ჩნდება. ზოგი ვარსკვლავი ბედნიერია და მის სახელზე დაბადებულ კაცს ბედნიერება მოელის ცხოვრებაში. აქედან მომდინარეობს გამონათქვამიც–ბედნიერ ვარსკვლავზეა გაჩენილი/დაბადებულიო. ადამიანს ბედი კარზე მოადგება ხოლმე. თუ ადამიანს ბედი აქვს გინდ სიპ ქვაზე დასვი და გინდ სანეხვეზე გადააგდე – აქედან მომდინარეობს ანდაზებიც – ბედი მომეც და სიპ ქვაზე დამსვიო, მომეც ბედი და გინდ სანეხვეზე გადამაგდეო. ბედნიერების გამომხატავს ასევე: ზეცის კარის გაღება, აღდგომა გაუთენდა, სხვ.

ინგლისელების აღქმაში ბედნიერება დაკავშირებულია ჯანმრთელობასთან – to be happy is to be healthy, საყვარელ საქმიანობასთან – happy is the man who has a hobby, სულიერ სიმდიდრესთან – a poor man is never happy because a happy man is never poor. ინგლისელთა აზრით, ბედნიერი ასევე ის ადამიანი, რომელიც საკუთარი თავით არის კმაყოფილი, ამის გამომხატველია – happy is who is content, one is happy whne one is satisfied with one's self, ბედნიერება ასოცირდება ოჯახურ სიმშვიდესთან – he is the happiest, be he peasant or king, who finds peace in his home.

რუსულ ენაში ბედნიერება ოჯახთან კავშირში წარმოგვიდგება, ისევე როგორც ინგლისურში. ის ფაქტი, რომ ბედნიერ ადამიანს ფრთები ესხმება გამოხატულია: Счастье на крылах, несчастье на костылях. რუსული კულტურა ბედნიერს უწოდებს იმ ადამიანს, რომელიც ღმერთეს უყვარს - Счастлив, что бог тебя любит.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ფსიქოლოგიური დახასიათება სრულ შესაბამისობაშია ამ ემოციის ენობრივ დეფინიციასთან ინგლისურსა და რუსულ ენაში. ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ქართულ ენაში, სადაც ბედნიერება უპირველესად წარმოდგენილია ბედთან კავშირში.

Happy is who is content	One is happy when one is satisfied with one's self	Call not him the happiest who is the richest
Happy is the man who has a hobby	A poor man can't be happy because a happy man is never poor	To be happy is to be healthy
He is the happiest, be he peasant or king, who finds peace in his home	A sight for sore eyes	If you would be happy for a week take a wife ; if you would be happy for a month kill a pig; but if you would be happy all your life plant a garden.

ემოცია **ბედნიერებაზე** ქართულ ენაში

მეშვიდე ცამდე მიწეული	ბედთან შეყრა	ზეცის კარის გაღება
ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა	ბედნიერ ადამიანს ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილს	აღდგომა გაუთენდა
მომეც ბედი და გინდ სანეხვეზე გადამაგდეო	ყველა თავის ბედი მკერავია	ბედის კარზე მიდგომა
ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული	მზე ამოუვიდა (ვისმე)	
თავის ბედს კაცი ვერ შემოუვლის	ყველანი ბედნიერებას ვნატრობთ და იმას კი არ ვაკეთებთ, რაც ადამიანს აბედნიერებს	ძალად ბედს ვერავინ იშოვნის
საცა სიყვარული არ არის, იქ სიხარულს რა უნდაო	ბედი მას ჰქვიან, რომ კართან მოადგეს და უშრომელად	ბედი მომეც და სიპ ქვაზე დამსვიო
ბედი ხნავს, ბედი თვით სთესავს, ბედი მოიყვანს ყანასა	ბედმა სთქვა: "ვინც მომიხმარს, წელიწადში ერთხელ ყველას კარზე შემოვჯდებიო	ბედნიერ კაცს ცოლი მოუკვდება, უბედურს – ხარიო
ბედნიერება თუ მოგჭარბდა ცოლი შეირთე	ბედნიერების საღამოს გაადილავებს ზენაო	ბედნიერთა მონაგები, უბედურთა წანაგები
ბედნიერი შეესწრა, უბედურმა არ აჭამა	ბედნიერს უთოვდეს (ანუ უწვიმდეს) უბედურს უქროდეს	ბედის მორჩილი მონობაში მოკვდებაო

ბედში კაცსა გვიან იცნობ, უბედობას გამოიცნობ	ბედნიერი კაცისა მამალიც კვერცხსა სდებს, უბედურის კი - ქათამიც არაო.	ბედნიერსა თმა ეზრდება, უბედურსა – არცა ფრჩხილი
ბედნიერსა ნუ გგონია, მუდმივია სიკეთეო, ვინძლო არა შეგეშალოს, საქმე ამოიკეთეო	ბედნიერმა მიწა მოხნა, მოფოცხა და მოჰყვა წვიმა	

ფრაზები ემოცია **ბედნიერებაზე** რუსულ ენაში

Невзначай к обеду приходит счастливый	Без счастья и в лес по грибы не ходи	Счастье вольная пташка: где захотела, там и села
Счастье с бессчастьем – вёдро с ненастьем	Мужик на счастье сеял хлеб, а уродилась лебеда	У счастливого умирает недруг, у бессчастного друг
Счастье не корова: не выдоишь	Счастье везет дураку, а умному бог дал	Счастливый – что калач в меду (к нему все пристает). Не родись ни хорош, ни пригож, родись счастлив
Счастливым быть – никому не досадить	В счастье – не в чурки: изруч не убьешь	Счастья искать – от него бежать
Счастье легко на помине не бывает. Хочешь оленя за рога поймать – а он в лес	Глупому счастье, а умному напасть	Счастье ума прибавляет, несчастье последний отымает
Счастье да трястье на кого нападет	Счастья алтыном не купишь	Счастливым быть – всем досадить
Глупому счастье, а умному бог дает	Иному счастье (или: служба) мать, иному мачеха	Счастливому (Богатому) не что деется: живет да греется
Счастье, что трястье: на кого захочет, на того и нападет	Сегодня счастье, завтра счастье – помилуй бог, а ум-то где?	Счастливый скачет, бессчастный плачет

В схватке – счастье великое дело. И рад бы побороть, да сам подсекся (или:да подмяли).	Клад да живот – на счастливого	Счастье на коне, бессчастье под конем
Счастье без ума нипочем	Счастье в оглобли не впряжешь	Счастье пытать – деньги терять
Счастлив, что бог тебя любит	Наше счастье – вода в бредне	Наше счастье – дождь да ненастье
Счастье мать, счастье мачеха, счастье бешеный волк	частливому по грибы ходить. С долею в лес по грибы	Счастье придет, и на печи найдет
Наше счастье – решето дырявое	Счастье не палка, в руки не возьмешь	Заколодило счастье – не что возьмеш
Счастье не кляп: в руки не возьмешь	Растопырил пальцы – счастье увязло: рот нараспашку – а оно и туда	Счастье духовною не укрепишь
Счастье – вешнее вёдро (т. е. ненадежно)	Счастье не батрак: за вихор не притянешь	Счастье с несчастьем двор обо двор живут
Счастлив бывал, да бессчастье в руки поймал	Счастье не дворянство, не родом ведется	Счастье с несчастьем смешалось – ничего не осталось
Счастье без ума – дырявая сума (что найдешь, то и потеряешь)	Эко счастье – на мосту с чашкой	Беды кульем валятся, а счастье золотниками
Счастье дороже богатырства. Счастье дороже ума, богатства и пр	Наше счастье комом слежалось	Счастье вертко: набоев не набьешь (наделка на челне

Счастье на крылах, несчастье на костылях	Где нет доли, тут и счастье невелико	Счастье не конь (не кляча): хомута не наденешь (или: не взнуздаешь)
Счастье с бессчастьем на одних санях ездят	На счастье ни духовной, ни крепости	Счастью не вовсе верь. На счастье не надейся
В счастье – не в бабки: свинчаткой кону не выбьеш	Счастье ездит в карете, а с умом идет пешком	Счастье отпало, ничего в доме не стало
Кому счастье служит, тот ни о чем не тужит	Счастье со счастьем сойдется, и то без ума не разминется	Думе на счастье не поддавайся
Дурак спит, а счастье в головах лежит	На авось (…на счастье) мужик репу сеял	К людям ближе — счастье крепче

VI თავი

6.1. კვლევა

ემოციებზე „ბრაზი", „შიში", „სიხარული" და „ბედნიერება" კულტურული განსხვავებებისა თუ მსგავსებების დასადგენად კვლევა ჩავატარეთ ქართულ, რუსულ და ინგლისურენოვან ჯგუფებში. თითოეულ ჯგუფში სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით გამოვიკითხეთ 30 ადამიანი, სულ 90. გამოკითხვა მოხდა როგორც პირისპირ, ასევე დისტანციურად, კერძოდ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

კითხვარი შედგება 8 კითხვისაგან. კითხვების დაჯგუფება მოხდა შემდეგი პრინციპების მიხედვით:

1. *ემოციების იდენტიფიკაცია:*

კითხვები:

1. გსმენიათ თუ არა რამ ბაზისური ემოციების შესახებ;
2. გთხოვთ, აღნიშნოთ თუ რომელი ემოცია არის გამოხატული ქვემოთ მოცემულ სურათებზე;
3. სურათებზე ნაჩვენები ჟესტ-მიმიკის გარდა (იხ. სურათი № 5), კიდევ რომელს დაასახელებდით იდენტიფიცირებული ემოციების არსანიშნად;

სურ. № 5

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოცემული იყო 4 სურათი, რომელზეც შესაბამისად გამოსახული იყო ოთხი ბაზისური ემოცია: ბრაზი, სიხარული, შიში და გაოცება. იქედან გამომდინარე, რომ სიხარული და ბედნიერება მსგავსი გარეგნული გამოხატულებით ხასიათდება, ამდენად კითხვარში შევიტანე მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს რიგი თანდაყოლილი ემოციებისა, რომელსაც ასევე უწოდებენ ბაზისურ,

პირველად, ძირეულ ემოციებს. როგორც აღნიშნავენ ფსიქოლოგები ბაზისური ემოციები უნივერსალურია, და მათი გამოხატვა შეისაძლებელია არ იყოს დამოკიდებული კულტურასა და პიროვნულ გამოცდილებაზე. ფსოქოლოგები ასევე თვლიან, თითოეულ ბაზისური ემოციას მისთვის დამახასიათებელი ჟესტ-მიმიკა გააჩნია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირველი დავალების მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ სამენოვან რესპოდენტებს დაეკონკრეტებინათ, თუ რამდენად ინფორმირებულები იყვნენ ბაზისურ ემოციებზე და ასევე დაესახელებინათ ამ ემოციებისათვის დამახასიათებელი ჟესტ-მიმიკები.

2. ემოციების ნომინაცია:

კითხვები:

4. გთხოვთ დაასახელოთ ფრაზები, რომელთაც იყენებთ ქვემოთ ჩამოთვლილი ემოციების განცდისას: ბრაზი. სიხარული, ბედნიერება, შიში.
5. რა მეტაფორებით/ეპითეტებით დაახასიათებდით ემოციებს: ბრაზი. სიხარული, ბედნიერება, შიში.
6. რა ანდეზებს/გამონათქვამებს გაიხსენებდით ემოციებზე: ბრაზი. სიხარული, ბედნიერება, შიში.

კითხვათა მეორე ჯგუფი ეხებოდა ემოციათა ნომინაციას, სახელდობრ რესპოდენტებს მოეთხოვებოდათ დაესახელებინათ ფრაზები, ანდაზები და გამონათქვამები აღნიშნულ ემოციებზე.

3.ემოციების ექსპრესია:

კითხვები:

7. რა სახით გამოხატავთ შემდეგ ემოციებს: ბრაზი. სიხარული, ბედნიერება, შიში.
8. რა ფერებში ასახავდით ემოციებს: ბრაზი. სიხარული, ბედნიერება, შიში.

კითხვათა მესამე ჯგუფი მიზანი იყო რესპონდებისგან მიეღოთ ინფორმაცია სახელდებული ემოციების ექსპრესიაზე. აქვე რესპოდენტებს მოეთხოვებოდათ დაეხასიათებინათ ემოციები ფერთა პალიტრის გამოყენებით.

6.2.რესპოდენტთა დახასიათება

რესპოდენტთა შერჩევისას მხედველობაში იქნა მიღებული:

1. რესპოდენტთა ეროვნება – შერჩეული იქნა მხოლოდ ის რესპოდენტები, რომლებისთვისაც ქართული, რუსული და ინგლისური მშობლიური ენებია.
2. რესპოდენტთა ასაკი – რესპოდენტთა ასაკი მკაცრად არ იყო განსაზღვრული.
3. რესპოდენტთა სქესი – შევეცადეთ, რომ შეგვერჩია შერეული სქესობრივი ჯგუფები
4. რესპოდენტთა განათლების დონე – შევარჩიეთ მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირები;
5. რესპოდენტთა სპეციალობა – სპეციალურად იქნა შერჩეული სხვადახსვა სპეციალობის რესპოდენტები.

6.3. კვლევის შედეგები

რესპოდენტებისგან მიღებული კითხვარების დამუშავებამ მოგვცა შემდეგი შედეგები:

<u>ქართველი რესპოდენტები:</u>

ემოციების იდენტიფიკაცია: რესპოდენტთა 53% იცის ბაზისური ემოციების შესახებ. მათ შეუძლიათ მოახდინონ ემოციათა იდენტიფიცირება სურათების მიხედვით და მათთვის დამახასიათებელი ჟესტ-მიმიკის დასახელება.

ემოციების ნომინაცია: რესპოდენტთა 30% შესძლო დაესახელებინა დასახელებულ ემოციებზე არსებული გამონათქვამები.

ემოციების ექსპრესია: რესპოდენტთა 39% ზუსტად შესძლო დაესახელებინა ამ ემოციის ექსპრესიასთან დაკავშირებული გამონათქვამები.

<u>რუსი რესპოდენტები:</u>

ემოციების იდენტიფიკაცია: რესპოდენტთა 45% იცის ბაზისური ემოციების შესახებ. მათ შეუძლიათ მოახდინონ ემოციათა იდენტიფიცირება სურათების მიხედვით და მათთვის დამახასიათებელი ჟესტ-მიმიკის დასახელება.

ემოციების ნომინაცია: რესპოდენტთა 25% შესძლო დაესახელებინა დასახელებულ ემოციებზე არსებული გამონათქვამები.

ემოციების ექსპრესია: რესპოდენტთა 42% ზუსტად შესძლო დაესახელებინა ამ ემოციის ექსპრესიასთან დაკავშირებული გამონათქვამები

<u>ინგლისელი რესპოდენტები:</u>

ემოციების იდენტიფიკაცია: რესპოდენტთა 59% იცის ბაზისური ემოციების შესახებ. მათ შეუძლიათ მოახდინონ ემოციათა იდენტიფიცირება სურათების მიხედვით და მათთვის დამახასიათებელი ჟესტ-მიმიკის დასახელება.

ემოციების ნომინაცია: რესპოდენტთა 29% შესძლო დაესახელებინა დასახელებულ ემოციებზე არსებული გამონათქვამები.

ემოციების ექსპრესია: რესპოდენტთა 45% ზუსტად შესძლო დაესახელებინა ამ ემოციის ექსპრესიასთან დაკავშირებული გამონათქვამები.

1. *ემოციების იდენტიფიკაცია*

სამივე ენის მატარებელი რესპოდენტების უმრავლესობამ იცოდა ბაზისური ემოციების არსებობის შესახებ და მათ შესძლეს მოცემული სურათების მიხედვით მოეხდინათ ე.წ. ძირეულ ემოციათა იდენტიფიკაცია.

2. *ემოციების ნომინაცია*

ინგლისურენოვანმა რესპოდენტებმა დაასახელეს ბაზისური ემოციების გამომხატველი შემდეგი ფრაზები/ანდაზები

Anger: I am furious with you, His face went black with rage, etc

Fear: I am terrified, he was shaking in his boots, etc

Joy: I feel over the moon, a joy that's shared is a joy made double, etc

Happiness: I am delighted at your news, one moment of intense happiness prolongs life by a thousand years, etc

რესპოდენტებმა ზემოხსენებული ემოციები დაახასიათეს ქვემოთ მოცემული მეტაფორებით:

Anger: ვულკანი (erupt), ცხენი (rein in one's temper), ორთქლი (fume), ფეიქარი (mad as a weaver); **Fear:** ფოთოლი (shake); **Joy:** ჩიტი, ცეკვა (dancing for joy); **Happiness:** ჩიტი (happy as a lark).

ქართულენოვანმა რესპოდენტებმა დაასახელეს ბაზისური ემოციების გამომხატველი შემდეგი ფრაზები/ანდაზები

ბრაზი: სიბრაზისაგან ცოფებს ყრიდა; **შიში:** ენა ჩაუვარდა; **სიხარული:** მეცხრე ცაზეა; **ბედნიერება:** ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული

რესპოდენტებმა ზემოხსენებული ემოციები დაახასიათეს ქვემოთ მოცემული მეტაფორებით:

ბრაზი: ცხოველი, ცოფი; **შიში:** ლაჩარი; **სიხარული:** ჩიტი; **ბედნიერება:** ჩიტი

რუსულენოვანმა რესპოდენტებმა დაასახელეს ბაზისური ემოციების გამომხატველი შემდეგი ფრაზები/ანდაზები

гнев: У огня не бывает прохлады, у гнева – рассудка, Покорное слово гнев укрощает, Жестокое слово гнев родит

страх: Душа ушла в пятки, Мороз по коже, Перепугаться до смерти, Страхов много, а жизнь одна, Глотка шире котла, а сердце уже заячьей лапы, Бояться несчастья - и счастья не будет

радость: Прыгать от радости, От радости и старики молодеют, Радость горю не попутчик

счастье: Счастливый скачет, бессчастный плачет, Счастье не палка, в руки не возьмешь, Нет счастья, не жди и радости

რესპოდენტებმა ზემოხსენებული ემოციები დაახასიათეს ქვემოთ მოცემული მეტაფორებით:

гнев: зверь; **страх:** смерть, бессилие; **радость:** птица; **счастье:** крыля

3. ემოციების ექსპრესია.

ინგლისელი რესპოდენტები

Anger: shouting; **Fear:** shaking; **Joy:** laughing; **Happiness:** smiling

ქართველი რესპოდენტები:

ბრაზი: ჩხუბით, ყვირილით; **შიში:** ცახცახით, გაქვავებით, გულის ცემის გახშირებით; **სიხარული:** ტაშის შემოკვრით, ხტუნვით; **ბედნიერება:** ღიმილით, გულის ცემის გახშირებით

რუსულენოვანი რესპოდენტები:

гнев: орать; страх: дрожить; радость: смеяться; счастье: прыгать

საინტერესო შედეგები მივიღეთ იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ ფერთან აკავშირებდნენ რესპოდენტები სახელდებულ ემოციებს (ცხრილი № 16):

ცხრილი № 16

ემოცია	ბრაზი	შიში	სიხარული	ბედნიერება
ქართველი რესპოდენტები	წითელი	შავი	იასამნისფერი	ყვითელი
რუსი რესპოდენტები	რუხი	შავი	ვარდისფერი	თეთრი
ინგლისელი რესპოდენტები	ცეცხლისფერი შავი	შავი, ლურჯი	ყვითელი	სტაფილოსფერი

დასკვნები

1. ემოციის საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, იგი კვლევის ინტერდისციპლინარულ სფეროდ გადაიქცა. ემოციებისადმი დიდ ინტერეს იჩენენ ევოლუციური და მოლეკულური ბიოლოგია, ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ენათმეცნიერება, კოგნიტოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, ენთომეცნიერება.
2. ემოცია ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობაა, რომელიც გამოხატავს მის დამოკიდებულებას საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროს მოვლენებთან. ემოციები გავლენას ახდენენ ადამიანის საქმიანობასა და აზროვნებაზე. ემოციები მონაწილეობენ სამყაროს ენობრივი სურათის შექმნაში.
3. გრძნობები და ემოციები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ემოციასთან შედარებით, გრძნობა უფრო რთული ბუნების განცდაა. ის ასახვის უფრო რთული ფორმაა და დამახასიათებელია მხოლოდ ადამინისათვის. თავისი ბუნებით ემოცია შედარებით ხანმოკლე ფენომენია.
4. ემოციები გარკვეული კომპონენტებისაგან შედგება, როგორიცაა ვთქვათ ჟესტ-მიმიკა, ვალენტობა, ინტენსივობა, ხანგრძლივობა, კოგნიტური, ფიზიოლოგიური, ქცევითი, სხვ.
5. ფსიქოლოგიაში არსებობს ბაზისური - თანდაყოლილი, ძირეული ემოციის ცნება. აღნიშნული ემოციები უნივერსალურია და მათი გამოხატვა შესაძლებელია არ იყოს დამოკიდებული კულტურასა და პიროვნულ გამოცდილებაზე. ბაზისური ემოციების განსაზღვრისათვის ფსიქოლოგები გარკვეულ კრიტერიუმებს გვთავაზობენ. არსებობს ბაზისური ემოციების ფსიქოევოლუციური თეორია, რომელიც ათ ძირითად პოსტულატს ეყრდნობა.
6. ემოციები ტრანსფორმირდებიან ენაში, ვინაიდან მათი გამოხატვა ხდება ენის საშუალებით. თანამედროვე ლინგვისტიკაში გამოყოფენ ემოტიოლოგიას ანუ ემოციის ლინგვისტიკას. ემოტიურობა ენის ისეთი თვისებაა, რომლის საშუალებითაც გამოიხატება ემოციური განცდები ენაში. ემოტივი არის ენობრივი ერთეული, რომლის სემანტიკურ სტრუქტურაში სემანტიკური ნიშნების, სემების სახით გადმოცემულია ემოციური წილი. ემოციები ფსიქოლოგიური კატეგორიაა, ხოლო

ემოტიურობა კი ენობრივი. ემოტიოლოგიაში გამოყოფენ რიგ ახალ მიმართულებებს: „ემოციათა ლინგვოკულტუროლოგია", „ემოციათა კონცეპტოლოგია", „გენდერული ემოტიოლოგია", ემოციები პოლიტიკურ ლინგვისტიკაში", „კოგნიტურ-დისკურსული ემოტიოლოგია", „ტექსტის ემოტიურობა", ემოტიურო მრავალმნიშვნელობა კულტურათაშორის კომუნიკაციაში, სხვ.

7. ემოციათა ასაღწერად არსებობს ორი მიდგომა – აზრობრივი და მეტაფორული. სამყაროში უნივერსალური და ბაზისური ცნებების ახსნა მეტაფორული ენის საშუალებით ხდება, რაც საშუალებას იძლევა, რომ აბსტრაქტული ცნებებისათვის უფრო ფიზიკური და ხელშესახები არსის მისაცემად. ამ კოგნიტურ პროცესს „კონცეპტუალიზაციას უწოდებენ".
8. ენობრივი მეტაფორა ენის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რაც საფუძვლად უდევს ბევრ ენობრივ პროცესს – სინონომური საშუალებების განვითარება, ახალი მნიშვნელობების გაჩენა, პოლისემიის შექმნა და ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკის განვითარება.
9. კონცეპტი ადამიანის მენტალური და ფსიქიკური პროცესების ერთეულია, რომელიც განპირობებულია კულტურით, ისტორიით, სოციალური და ადამიანის სხვა სფეროებით. ემოციური კონცეპტის ქვეშ გულისმობენ მენტალურ აბსტრაქტულ ერთეულს, რომელიც ხალხის მრავალსაუკუნოვან გამოცდილების ამსახველია.
10. ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხი მრავალი საუკუნის მანძილზე იწვევდა მეცნიერთა ინტერესს. „ენა არა მხოლოდ ეროვნული კულტურის შედეგია, არამედ მისი განვითარების, წინსვლის უპირველესი საშუალება. ენა ბგერათა მეშვეობით საგნის სხვადასხვანაირი აღნიშნვნა კი არ არის, არამედ მათ შესახებ გარკვეული მსოფლმხედველობის შემცველია. თითოეული ენა ეროვნულად სპეციფიკურია. მასში აისახება არა მხოლოდ კულტურისა და ბინებრივი პირობების თავისებურებები, არამედ მისი მატარებლის ეროვნული ხასიათიც.
11. კულტურის საკითხისადმი ინტერესს იჩენენ არა მხოლოდ ლინგვისტები, არამედ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ეთნოგრაფები.
12. ენის სემანტიკური სისტემა ერთი მხრივ, ეფუძნება ანთროპოცენტრიზმის პრინციპს: გარესამყაროში არსებულ საგანთა ასაღწერად ენა ათვლის

წერტილად იყენებს ადამიანს, მეორე მხრივ ის ეთნოცენტრულია. ენაში აისახება სამყაროს ადამიანისეული ინტერპრეტაცია, კონცეპტუალიზაცია.

13. ლინგვისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ემოციათა უნივერსალურობისა და ეროვნული სპეციფიკის საკითხის კვლევას. შეუძლებელია რომელიმე ერთ ცალკეულ ენაში სამყარო აღწერო ისე, როგორც ის სინამდვილეშია, ვინაიდან ყოველი ენა სამყაროს განსაზღვრულ სურათს გვთავაზობს.
14. ეთნომეცნიერება შეისწავლის ხალხთა კონცეპტუალურ სისტემებს. ეთნოლიგვისტიკის კვლევის სფეროში ექცევა შემდეგი საკითხები: რამდენად უნივერსალური და თანდაყოლილია ადამიანის ენობრივი შესაძლებლობანი და რამდენად ასახავენ ისინი კონკრეტულ რეალობას.
15. ენების, იმის გამო, რომ აქვთ სამყაროს თავისებური ხედვა, შესაძლებელია განსხვავდებოდნენ ისეთი აბსტრაქტული ცნებების დამუშავების ხარისხითაც, როგორიცაა კაუზაცია, აგენტობა, ემოციური სფერო. ამდენად, არა მხოლოდ იდეები, არამედ ემოციებიც შესაძლებელია წარმოადგენდნენ კულტურის არტეფაქტებს.
16. კულტურისათვის სფეციფიკური ტერმინების ასახსნელად იყენებენ უნივერსალური სემანტიკური საწყისების ენას. სემანტიკური საწყისები ლექსიკური უნივერსალიებია, ანუ ისეთი ელემენტარული ცნებები, რომლებსაც ნებისმიერ ენაში მოეძებნება მათი აღმნიშვნელი სიტყვა. ლექსიკურ უნივერსალიებს მიკუთვნება: სუბსტანტივები, დეტერმინატორები, მენტალური პრედიკატები, დესკრიპტორები, მეტაპრედიკატები, ტაქსონომია და პარტონიმია, სხვ. მეცნიერები ემოცია ტერმინების ახნას გვთავაზობენ სემანტიკური საწყისების საშუალებით.
17. შიში უარყოფითი ემოციაა, რომელიც ჩნდება რეალური ან მოსალოდნელი საფრთხის შედეგად. შიშს აქვს ინტენსიურობის მრავალი საფეხური და გამოხატვის მრავალი ფორმა. შიშის სუბიექტურმა განცდამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ადგილზე გაქვავება, მიიყვანოს იგი აბსოლუტურად უმწეო მდგომარეობამდე, ან პირიქით აიძულოს იგი გაექცეს საფრთხეს. შიშის ინდიკატორებია მიმიკური გამოვლინენები, როგორიცაა აწეული წარბები, ფართოდ გახელილი თვალები, სხვ.

18. ფილოსოფოსების აზრით, შიში არის ტკივილისაგან გამოწვეული მენტალური სურათი, რომელიც გამომდინარეობს რომელიმე გამანადგურებელი ან მტკივნეული ბოროტებისაგან. ეგზისტენციალურ ფილოსოფიაში არსებობს „ემპირიული" შიში, ადრეული ფსიქოანალიზი ანსხვავებს რაციონალურ და ირაციონალურ შიშს. შიში ასევე მიჩნეულია რელიგიურ ემოციად იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ ღირებულებად ინტეგრირდება შიშის ემოცია და ღმერთის რწმენა.
19. ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებში შიში ნეგატიური კონოტაციისა: ინგლისურ ენაში, ის არის - დამთრგუნველი, უსიამოვნო, ქართულში – ცუდი, შემაწუხებელი, ხოლო რუსულში - შეშფოთების, სულიერი აღელვების მდგომარეობის გამომხატველი. Fear/страх/შიში ყველგან დახასიათებულია, როგორც ძლიერი. რაც შეეხება მის გამომწვევს, სამივე ენა ასახელებს საფრთხეს, რომელიც შესაძლებელია იყოს წარმოსახვითი ან რეალური (fear), მოსალოდნელი ან თავსდატეხილი (fear, შიში, страх) და უკვე არსებული (fear). სახელდებული ემოციის გამომწვევი ასევე შესაძლებელია იყოს ბოროტება, ტკივილი (fear), მოვლენა, საგანი (страх). ქართული ენის თანამედროვე ლექსიკონში ემოცია ბრაზის მსგავსი გამომწვევი მიზეზი არ არის დასახელებული, თუმცა ძველი ქართული ენის ლექსიკონში ესენია – საშინელი სანახაობა, ამბავი. რაც შეეხება შიშის მეორე მნიშვნელობას, სახელდობრ – მოწიწება, კრძალვა უზენაესი ძალისადმი, თანამედროვე ლექსიკონებიდან მას ვხვდებით მხოლოდ ინგლისური ენის ლექსიკონში. აღსანიშნავია აქვე, რომ სულხან-საბას ლექსიკონში, ბრაზის ერთ-ერთ დეფინიციაში – კდემულება, სავარაუდოდ იგულისხმება რიდი, მოწიწება უზენაესი ძალისადმი, თუმცა თანამედროვე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს მნიშვნელობა უკვე აღარ გვხვდება.
20. როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაში უხვად მოიპოვება ფრაზეოლოგიური ერთეულები (იდიომები, ანდაზები), რომლებიც ძალიან ზუსტად ასახავენ განხილული ემოციის ფიზიოლოგიურ და მიმიკურ გამოხატულებებს.
21. ინგლისურ ენაში შიშის განცდის დროს გულმა შეიძლება შეწყვიტოს ფუნქციონირება, ამოხტეს, ან პირიქით ჩაიძიროს. სამივე ენაში თითქმის იდენტურად არის გამოხატული გულის რეაგირება შიშის განცდის დროს.

ზმნები, რომლებიც გვხვდება კოლოკაციაში გულთან ნაწილობრივ იდენტურია აღნიშნულ ენებში – ინგლისურ ენაში ის ხტის, უჩერდება პულსირება, და იძირება. ქართულში ადამიანს შეიძლება გული გაუსკდეს ან წაუვიდეს. რუსულში, ინგლისურისა და ქართული ენებისაგან განსხვავებით, ის ქუსლებში იპარება. როგორც რუსულ, ასევე ქართულ ენებში სიტყვა გულის იდენტურად ასევე ვხვდებით სულს. რუსულსა და ინგლისურ ენებში შიშის მნიშვნელობის გამოსახატავად გამოიყენება – გული/სულის მონაცლეობა. მსგავსი მონაცვლეობა, რუსული და ქართული ენების მაგალითზეც შეგვიძლია მოვიყვანოთ. ინგლისურ ენაში შიშის გამოსახატავად შიშის შესიტყვება სულთან ვერ შევნიშნე. შიშის დროს ადამიანს ეკარგება მეტყველების უნარი და ადგილზე ქვავდება ამ ემოციური მდგომარეობის დროს.

22. სამივე ენაში სახელდებულ ემოციაზე ლექსიკის განხილვის შედეგად შესაძლებელი გახდა გამოგვეყო კოგნიტური მეტაფორები, რომელიც სამივე ენისათვის იდენტურია, კერძოდ: შიში არის სიცივე. შიში ადამიანში იწვევს გაქვავებას, ახდენს ადამიანის პარალიზებას – აქედან გამომდინარეობს მისი აღმნიშვნელი მეტაფორაც-პარალიჩი. შიში იწვევს გონების დაბინდვას. შიშის დროს ადამიანი ფერმკრთალდება ან ჭაღარავდება. სიფერკმრთალე სამივე ენის ფრაზეოლოგიზმებში გვხვდება, რაც შეეხება გაჭაღარავებას მხოლოდ ინგლისურსა და რუსულში. შიში სამივე ენაში წარმოდგენილია როგორც ცოცხალი არსება, რომელიც ფართოდ გახელილი თვალებით უყურებს მოახლოებულ საფრთხეს. ინგლისურ კულტურის თვალთახედვით შიშს ასი თვალის აქვს და სწრაფი ყური აქვს, ქართულისა და რუსულის ხედვით – მხოლოდ დიდი. კიდევ ერთი კოგნიტური მეტაფორა, რომელიც გამოიყენება შიშის დასახასიათებლად არის – შიში სხეულის სხვადასხვაგვარი რხევაა, გამომდინარე იქედან რომ შეშინებული ადამიანს ტანში ჟრუანტელი უვლის, კანკალებს, ცახცახებს, სხვ. სამივე ენაში ვხვდებით ფრაზეოლოგიებს, რომლებიც შიშისა და სიკვდილის ურთიერთაკავშირზე მეტყველებს.

23. ბრაზი არის მავნე, დამღუპველი ემოცია, რომელსაც ბადებს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური შებოჭილობის გრძნობა. ბრაზის მიზეზად ასახელებენ დასახული მიზნის გზაზე არსებულ ნებისმიერ დაბრკოლებას. ბრაზის

მიმიკური რეაქცია გამოიხატება წარბების შეჭმუხვნითა და კბილები ღრჭენით. სიბრაზის განცდას თან ახლავს დაძაბულობისა და ინტენსიურობის მაღალი ხარისხი.

24. ფილოსოფოსები თვლიან, რომ ბრაზი ტკივილის თანმხლები იმპულსი. შუა საუკუნეების ქრისტიანული ეკლესია ბრაზს ერთ-ერთ მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევდა. ისლამში, ბრაზი სისუსტის ნიშნად არის მიჩნეული, ხოლო ბუდიზმში ხუთი დაბრკოლების ჩამონათვალში შედის.
25. ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში სალექსიკონო დეფინიციების განხილვის შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ ზოგადი დასკვნები. ცნებები anger, ბრაზი და гнев სამივე ენაში მიჩნეულია, როგორც ძლიერი ემოცია/გრძნობა. აღნიშნული ემოციის ნეგატიურ ბუნებაზე ხაზგასმა კეთდება მხოლოდ ინგლისურ და რუსულ ენებში. ემოციის გამომწვევ მიზეზებს ასახელებს ინგლისური ენის დეფინიციური ლექსიკონი, ხოლო ქართულსა და რუსულ ენებში მიზეზები დასახელებული არ არის. ენობრივ დეფინიციებში ასევე აისახა ბრაზისათვის დამახასიათებელი ინტენსივობა, რომელიც იწყება უბრალო გაღიზიანებით და მთავრდება მძვინვარებითა და რისხვით.
26. ბრაზზე არსებული ენობრივი ერთეულები ასევე განხილულ იქნა სცენარებზე დაყრდნობით და გამოყენებულ იქნა კოგნიტური მეტაფორა-სიმბოლოები. ბრაზს ინტენსივობიდან გამომდინარე ახასიათებენ რამდენიმე საფეხურიანი სცენარის მიხედვით. არსებული სცენარების შეჯერების შედეგად, მივიღეთ ბრაზის შემდეგი საფეხურები:
    - ბრაზის წინა ან მომზადების პერიოდი
    - გახცელების პერიოდი
    - აფეთქება
    - შედეგები.

    აქვე ასევე გამოვყავით ინტენსივობაც: მსუბუქი გაღიზიანება, აღშფოთება, მრისხანება, გაშმაგება, მძვინვარება. ბრაზზე არსებული ლექსიკური ერთეულები დახასიათებული იყო ჯ. ლეიკოფისა და ზ. კოვეშეჩის მიერ შემოთავაზებული ბრაზის სცენარების მიხედვით, რის შედეგადაც ცხადი გახდა, რომ სამივე ენაში არსებობს აღნიშნული საფეხურები.
27. სამივე ენაში არსებული ფრაზეოლოგიური ერთეულები:

- ასახავენ აღნიშნულ ემოციას;
- გამოხატავენ ემოციის თანმხლებ ფიზიოლოგიურ გამოვლინებებს; სამივე ენისათვის საერთოა სიბრაზის თანმხლები კინემატური გამოვლინებები.
- ინგლისურ ენაში ვხვდებით ანდაზებს, რომლებიც რჩევას აძლევენ ინდივიდს, თუ როგორ დააღწიონ თავი სიბრაზის გრძნობას. ინგლისელთა აღქმით, ბრაზი ხანმოკლე ემოციაა.
- ბრაზის დასახასიათებლად ასევე გამოვყავით მეტაფორები:

  ბრაზი – დუღული;

  ბრაზი – ცეცხლი;

  ბრაზი – სიცოფე;

  ბრაზი – სიწითლე;

  ბრაზი - მოთმინების დაკარგვა;

  ბრაზი – კანკალი

  ბრაზი – სიგიჟე

  ბრაზი – სიბრმავე

  ბრაზი – ავადმყოფობა

  ბრაზი - პარალიჩი
- ქართულ ენაში ბრაზი გემოს შეგრძნებებთან არის დაკავშირებული, რომელიც გამოიხატება გაპილპილებითა და გაწიწმატებით. ასევე ვხვდებით ქართული ენისათვის სპეციფიკურ გამონათქვაბს – როგორიცაა, შაქზე დგომა და გაფრანგება.
- რუსულ ენაში ასევე გამოვყავით რუსული კულტურისათვის სპეციფიკური გამონათქვამი - царский гнев.

28. ფსიქოლოგთა განმარტებით სიხარული არის სასიამოვნო შეგრძნებათა და განცდათა ემოცია. სიხარულს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ბაზისურ ემოციას, აქვს უნივერსალური მახასიათებლები. სიხარული ერთ–ერთი უმარტივესი ემოციაა მიმიკური გამოხატულების თვალსაზრისით. სიხარულის განცდა იწვევს გულის შემცირების სიხშირის მომატებას. სიხარული განიცდება როგორც სასიამოვნო, სასურველი, სასარგებლო, უდავოდ პოზიტიური გრძნობა.

29. ფსიქოლოგთა მიერ მოცემული განმარტების თანახმად, სიხარული არის სასიამოვნო შეგრძნებათა და განცდათა ემოცია. იგი ინტერქაციაში შედის ისეთ ემოციებთან, როგორიცაა სირცხვილი, სიძულვილი. აღნიშნული ემოციის ინგლისური და ქართული სალექსიკონო განმარტებანი თითქმის ერთმანეთის თანმხვედრია.
30. ფსიქოლოგიური დახასიათებისაგან განსხვავებით, ინგლისური ენის მასალის თანახმად, სიხარული შედის ინტერაქციაში ისეთ გრძნობებთან, როგორიცაა დარდი, ტკივილი, ამასთან ერთად, ინგლისელთა ხედვით სიხარულის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს გაცემული სიკეთე, ვისმესთვის სიამოვნების მინიჭება, სასიკეთო ქმედება. ძველ ქართულ ენაში სიხარულის ცნება ასოცირდება ისეთ ცნებებთან, როგორიცაა მხიარულება, ლხინი, წვეულება, განცხრომა. მსგავსებით გამოირჩევა სიხარულით გამოწვეული აღტკინების გამომხატველი ინგლისური და ქართული იდიომები, სიხარულისაგან მეცხრე ცაზეა-to be in the seventh heaven. რუსულ ენაში სიხარული ასოცირდება წარმატებასთან, სტუმრების მიღებასთან, ბედნიერებასთან, ღიმილთან, შეხვედრასთან.
31. ფსიქოლოგთა განმარტებით ბედნიერება არის სიამოვნების, კმაყოფილების გრძნობა. ბედნიერება მიჩნეულია დადებით ემოციად. სიხარულის მსგავსად, მიმიკური გამოხატვის თვალსაზრისით, ის მარტივი ემოციაა.
32. ფსიქოლოგიური დახასიათება სრულ შესაბამისობაშია ემოცია ბედნიერების ენობრივ დეფინიციასთან ინგლისურსა და რუსულ ენაში. ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ქართულ ენაში, სადაც ბედნიერება უპირველესად წარმოდგენილია ბედთან კავშირში.
33. სამივე ენის ფრაზეოლოგია გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას ინგლისელ, რუს და ქართველ ხალხთა მსოფლხედვაზე.
34. ქართულ ენაში ბედნიერებაზე არსებულ გამონათქვამებში ეს ცნება ბედთან კავშირში წარმოგვიდგება, რაზეც ნათლად მეტყველებს, ბედთან შეყრა, რას ნიშნავს გაბედნიერებას, სიკეთის გადაკიდებას. ან კიდევ ჩემ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. იღბლიან, ბედნიერ ადამიანს ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილს უწოდებენ. ქართულ ენაში ბედი ადამიანის ხელშია, რაზეც მეტყველებს – ყველა თავის ბედის მკერავია, თუმცა ქართველი ხალხის ღრმა რწმენით, კაცი რომ იბადება, მისი სახელის

ვარსკვლავიც ჩნდება. ზოგი ვარსკვლავი ბედნიერია და მის სახელზე დაბადებულ კაცს ბედნიერება მოელის ცხოვრებაში. აქედან მომდინარეობს გამონათქვამიც–ბედნიერ ვარსკვლავზეა გაჩენილი/დაბადებულიო. ადამიანს ბედი კარზე მოადგება ხოლმე. თუ ადამიანს ბედი აქვს გინდ სიპ ქვაზე დასვი და გინდ სანეხვეზე გადააგდე – აქედან მომდინარეობს ანდაზებიც – ბედი მომეც და სიპ ქვაზე დამსვიო, მომეც ბედი და გინდ სანეხვეზე გადამაგდეო. ბედნიერების გამომხატავს ასევე: ზეცის კარის გაღება, აღდგომა გაუთენდა, სხვ.

35. კულტურული განსხვავებებისა თუ მსგავსებების დასადგენად ემოციებზე „ბრაზი", „შიში", „სიხარული" და „ბედნიერება" ჩატარებული კვლევის შედეგებია:

- ქართველი რესპოდენტების 53% სმენია ბაზისური ემოციების შესახებ. 30% შესძლო დაესახელებინა დასახელებულ ემოციებზე არსებული გამონათქვამები, ხოლო 39% ზუსტად შესძლო დაესახელებინა ამ ემოციის ექსპრესიასთან დაკავშირებული გამონათქვამები.

- რუსი რესპოდენტების 45% სმენია ბაზისური ემოციების შესახებ. 25% შესძლო დაესახელებინა დასახელებულ ემოციებზე არსებული გამონათქვამები, ხოლო 42% ზუსტად შესძლო დაესახელებინა ამ ემოციის ექსპრესიასთან დაკავშირებული გამონათქვამები.

- ინგლისელი რესპოდენტების 59% სმენია ბაზისური ემოციების შესახებ. 29% შესძლო დაესახელებინა დასახელებულ ემოციებზე არსებული გამონათქვამები, ხოლო 45% ზუსტად შესძლო დაესახელებინა ამ ემოციის ექსპრესიასთან დაკავშირებული გამონათქვამები

გამოყენებული ლიტერატურა

აპრესიანი 1969: Апресян Ю.Д. Толкование лексических значений как проблема теоретической семантики // ИАН СЛЯ. 1969

ბოასი 1911: Boas, F. (1911). Handbook of American Indian languages. Washington, DC: U.S. Government Print Office

ბერლინი 2007: Berlin, I. (1976). Vico and Herder. London: Hogarth Press.
Besemeres, M., & Wierzbicka A. (Eds.). (2007). Translating lives: Living with two languages and cultures. St Lucia: University of Queensland Press

ბრუნენი 1990: Bruner, J. (1990). Acts of meaning. Cambridge, MA: Harvard University Press

გოდარდი 1998: Goddard, C. (1998). Semantic analysis - A practical introduction. Oxford: Oxford University Press.Goddard, C. (2002). Overcoming terminological ethnocentrism. IIAS Newsletter, 27, 28.

გოდარდი 2008: Goddard, C. (Ed.). (2008). Cross-linguistic semantics. Amsterdam: John Benjamins.Goddard, C. (in press). The conceptual semantic of numbers and counting: An NSM analysis. Functions of Language.

დოდონოვი 1975: Классификация эмоции при исследовании эмоциональной направленности и личности, в журн. «Вопросы психологии», Москва, 1975

ეკმანი 1972: Ekman, *Universals and cultural differences in facial expressions of emotion*. University of Nebraska Press, 1980

ეკმანი 1999: Paul Ekman (1999). Basic Emotions. In T. Dalgleish and M. Power (Eds.). Handbook of Cognition and Emotion. Sussex, U.K.: John Wiley & Sons, Ltd.

ვეჟბიცკა 1983: Вежбицка А. *Семантические примитивы.* Введение// Семиотика / Под ред. Ю. С. Степанова. — М., 1983

ვეჟბიცკა 1980: Wierzbicka Anna, *Lingua Mentalis*, Academic Press, 1980

ვეჟბიცკა 1992: Wierzbicka, Anna. *Semantics, Culture and Cognition.* Oxford University Press, 1992

ვეჟბიცკა 1996: Wierzbicka A. Semantics. Primes and universals. Oxford; New York: Oxford University Press, 1996

ვორკაჩოვი, 2003 Воркачёв С. Г. Концепт любви в русском языковом сознании // Коммуникативные исследования 2003: современная антология / под ред. О. А. Леонтонович. – Волгоград: Перемена, 2003.

თელია, 1996 Телия В.Н. Русская фразеология. Семантический, прагматический и лингвокультурологический аспекты. М., 1996.

იდი 2001: Eadie, William F., and Paul E. Nelson. *The language of Conflict and Resolution.* USA: Sage Publications, 2001

იზარდი 2000: Изард К. Э *Психология Эмоций*, Санкт-Петербург, 2000

იზარდი 1980: Изард К. Эмоции человека. М., 1980

კრასავსკი, 2001 Красавский, Н.А. Динамика эмоционалтных концептов в немецкой и русской лингвокультурах, 2001

კალჰუნი 1984: C. Calhoun and R. Solomon (eds.), What is an Emotion? Oxford, 1984

კახიანი 1978: Кахиани С.Н. *Экспрессивность лица человека,*. Издательство «Ганатлеба», Тбилиси, 1978.

კოვეშეჩი 1990: Kövecses Z. Emotion concepts. New York etc.: Springer-Verlag, 1990

კოული 1971: Universals and cultural differences in facial expressions of emotion. In J. Cole (Ed.), Nebraska Symposium on Motivation 1971, Vol. 19, pp. 207-283. Lincoln, NE: University of Nebraska Cultural variations in emotions: A review. Psychological Bulleti.

კლობუკოვა 1997: Клобуков П.Е. Метафора как концептуальная модель формирования языка эмоций // Язык. Сознание. Коммуникация М., 1997. Вып.2. С.41-47.

კრისტიანსენი 2006: Kristiansen et al., eds. (2006). Cognitive Linguistics: Current Applications and Future Perspectives. Berlin / New York: Mouton de Gruyter.

ლადო, რ Lado, R. (1957). Linguistics across cultures: Applied linguistics for language teachers. University of Michigan Press: Ann Arbor

ლაზარუსი 1994: Lazarus, R (1994) Meaning and emotional development. In P.Ekman The nature of emotion: Fundamental questions. New York: Oxford University Press

ლაიონზი 1981: Lyons John. Language and Linguistics, Cambridge University Press, 1981.

ლეიკოფი 1980: Lakoff G. & Johnson M. Metaphors we live by. Chicago: University of Chicago Press, 1980.

ლეიკოფი 1987: Lakoff G. & Kövecses Z. The cognitive model of anger inherent in American English // Cultural models in language and thought. Cambridge: Cambridge University Press, 1987. Pp.195-221.

ლისეტი 2002: Personality, Affect and Emotion Taxonomy for Socially Intelligent Agents. American Association for Artificial Intelligence, 2002

ლიჩი 1974: J.Leech *Semantics*, Oxford University Press 1974

ლუტცი 1988: Lutz, C (1988). Unnatural emotions: Everyday sentiments on a Micronesian atoll and their challenge to Western theory. Chicago:

University of Chicago Press.

მარკუსი 1994: Kitayama S. Markus H (1994) emotion and culture: Empirical studies of mutual influence. Washington, DC: American Psychological Association.

მორტონი 2003: Ancient anger: perspectives from Homer to Galen - Susanna Morton Braund, Glenn W. Most - Literary Collections - 2003

ორტონი 1990: Ortony, A., & Turner, T. J. *What's basic about basic emotions*? *Psychological Review, 97,* 315-331, (1990)

ოუთლი 1993: Oatley, K (1993) Social construction in emotions. In M. Lewis Handbook of emotions. NewYork: Guilford.

პანკსეპი 1992: Panksepp J (1992). A critical role for "Affective Neuroscience" in resolving what is basic about basic emotions. Psychological Review

პოპოვა 2000 Попова З. Д., Стернин И. А. Понятие «концепт» в лингвистических исследованиях. – Воронеж, 2000.

პლუტჩიკი 1962: *The emotions: Facts, theories and a new model-New* York, Random House, 1962

პლუტჩიკი 1980: Plutchik Robert, Theories of Emotion, 1980.

რაილი 1873: Ryle Gilbert *The Concept of Mind*, Barnes and Noble, Inc. New York,1873

რეიკოვსკი 1979: Рейковский Я. «*Экспериментальная психология эмоции*». Прогресс, Москва, 1979

სეპირი 1951: E.Sapir *Selected Writings in Language, Culture and Personality*, University of California Press, 1951.

სეპირი 1949: Sapir, E. (1949). Selected writings of Edward Sapir in language, cultur and personality. (D.G. Mandelbaum, Ed.). Berkeley, CA: University of California Press.

სეპირი 1924:	Sapir, E. (1924). Culture, genuine and spurious. American Journal of Sociology, 29: 401-429.
სმოლინსკი 1993:	1993, Smolinski Frank, *Landmarks of American Language and Linguistics*, Washington, 1993.
ფრესი 1975:	Фресс П, Пиаже Ж. *Экспериментальная психология*, издательство «прогресс», Москва, 1975.
შახოვსკი 1987:	Шаховский В.И. *Категоризация эмоций в лексико-семантической системе языка*. Воронеж,1987
ჯორბენაძე 1997:	ბ. ჯორბენაძე *ენა და კულტურა*, თბ. 1997
ჰარკინსი 2001:	Harkins, J., & Wierzbicka, A. (Eds.). (2001). Emotions in cross-cultural perspective. Berlin: Mouton de Gruyter

ელექტრონული ჟურნალები

სოუსა 2001:

Moral Emotions,
Ronald De Sousa
Ethical Theory and Moral Practice, Vol. 4, No. 2, Cultivating Emotions (Jun., 2001), pp. 109-126

ბედფორდი 1957:

Emotions
Errol Bedford
Proceedings of the Aristotelian Society, New Series, Vol. 57, (1956 - 1957), pp. 281-304

თოიტი 1989:

The Sociology of Emotions
Peggy A. Thoits
Annual Review of Sociology, Vol. 15, (1989), pp. 317-342

კემპერი 1981:

Social Constructionist and Positivist Approaches to the Sociology of Emotions
Theodore D. Kemper
The American Journal of Sociology, Vol. 87, No. 2 (Sep., 1981), pp. 336-362

ვეჟბიცკა 1986:

Human Emotions: Universal or Culture-Specific?
Anna Wierzbicka
American Anthropologist, New Series, Vol. 88, No. 3 (Sep., 1986), pp. 584-594

რობერტსი 1992:

Emotions among the Virtues of the Christian Life
Robert C. Roberts The Journal of Religious Ethics, Vol. 20, No. 1 (Spring, 1992), pp. 37-68

დამბროსიო 2004:	Framing Emotional Response Kimberly Gross, Lisa D'Ambrosio Political Psychology, Vol. 25, No. 1 (Feb., 2004), pp. 1-29
შეფი 1983:	Toward Integration in the Social Psychology of Emotions Thomas J. Scheff Annual Review of Sociology, Vol. 9, (1983), pp. 333-354
აირონსი 1989:	Primary Emotions: Reply David Irons The Philosophical Review, Vol. 7, No. 3 (May, 1898), pp. 298-299
ლაიონზი 1978:	Emotions and Behavior William Lyons Philosophy and Phenomenological Research, Vol. 38, No. 3 (Mar., 1978), pp. 410-418
ლაიტონი 1982:	Aristotle and the Emotions Stephen R. Leighton Phronesis, Vol. 27, No. 2 (1982), pp. 144-174
ლუტცი 1986:	The Anthropology of Emotions Catherine Lutz, Geoffrey M. White Annual Review of Anthropology, Vol. 15, (1986), pp. 405-436
იზარდი 1983:	Emotions in Personality and Culture C. E. Izard Ethos, Vol. 11, No. 4, The Socialization of Affect (Winter, 1983), pp. 305-312
ბაინდერი 1904:	Art, Religion, and the Emotions Rudolph M. Binder The American Journal of Theology, Vol. 8, No. 4 (Oct., 1904), pp. 636-657

გამოყენებული ლექსიკონებისა
და ენციკლოპედიების ნუსხა

აბულაძე 1973:	აბულაძე ი, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება”, 1973
ორბელიანი 1991:	ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, „მერანი”, თბ. 1991
სახოკია 1979:	სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, „მერანი”, თბ. 1979
ლექსიკონი 1962:	ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962.
ანდაზები 1959:	ქართული ანდაზები, “საბჭოთა მწერალი”, 1959
ანდაზები 1935:	ქართული ანდაზები შეკრებილი დ. თურდოსპირელის და ემელ გაბრიჩიძის მიერ
Энциклопедия 1971:	Большая Советская энциклопедия. Москва изд. «Советская энциклопедия», 1971
Энциклопедия 1970:	Философская энциклопедия, издательство советская энциклопедия Т. 5, Москва 1970
Dictionary 1992:	A Dictionary of American proverbs, Oxford University Press, 1992
Dictionary 2000:	The American Heritage Dictionary of the English Language, 2000
Dictionary 1992:	Brewer’s Dictionary of Phrase and Fable, 14th edition, Cassell 1992
Dictionary 1992:	Collins Cobuild English Language Dictioanry, Collins London and

Glasgow, 1992.

Encyclopedia 1999: Encyclopedia Americana, International Edition, Vol.6, NY 1999

Dictionary 1998: Illustrated Oxford Dictionary, Oxford University Press, 1998

Dictionary 1992: Longman Dictionary of English Language and Culture, 1992

Dictionary 1995: Oxford Advanced Learner's Dictionary, AS Hornby, Fifth Edition, Oxford University Press, 1995.

Dictionary 1982: The Concise Oxford Dictionary of proverbs, Oxford University Press, 1982.

Dictionary 1990: The Concise Oxford Dictionary of Linguistics, © Oxford University Press 18

Dictionary 1986: The Concise Oxford Dictionary of English Etymology, Oxford at the Clarendon Press, 1986.

Encyclopedia 1967: The Encyclopedia of Philosophy, Paul Edwards Vol. 2, Macmillan Company, The Free Press, New York, 1967

Encyclopedia 1998: The New Encyclopedia Britannica. Macropedia, Vol.4 Chicago 1998.

Dictionary 1970: The Oxford Dictionary of English Proverbs, Oxford at the Clarendon Press, 1970

Dictionary 1996: The Oxford English Reference Dictionary, © Oxford University Press 1996.

Dictionary 1995: The Oxford Companion to Philosophy, © Oxford University Press 1995

Dictionary 1987: The Random House Dictionary of the English Language, Second edition, New York, 1987

Encyclopedia 1998: The Macmillan Encyclopedia 2001, © Market House Books Ltd 2000

Thesaurus 1991: The Oxford Thesaurus Laurence Urdang Clarenden Press-Oxford 1991

დანართი 5

კვლევის კითხვარი

თარიღი:

ასაკი: *სქესი:*

პროფესია:

I. გსმენიათ თუ არა რამ ბაზისური ემოციების შესახებ

დიახ..... არა……

თუ დიახ, დააკონკრეტეთ

II. გთხოვთ, აღნიშნოთ თუ რომელი ემოცია არის გამოხატული ქვემოთ მოცემულ სურათებზე:

.....ახსენით თქვენი პასუხი

……. ახსენით თქვენი პასუხი

…….. ახსენით თქვენი პასუხი

…….. ახსენით თქვენი პასუხი

III. სურათებზე ნაჩვენები ჟესტ-მიმიკის გარდა, კიდევ რომელს დაასახელებდით იდენტიფიცირებული ემოციების აღსანიშნად:

IV. გთხოვთ დაასახელოთ ფრაზები, რომელთაც იყენებთ ქვემოთ ჩამოთვლილი ემოციების განცდისას:

ბრაზის

სიხარულის

ბედნიერების

შიში

V. რა მეტაფორებით/ეპითეტებით დაახასიათებდით ემოციებს:

ბრაზი

სიხარული

ბედნიერება

შიში

VI. რა ანდაზებს/გამონათქვამებს გაიხსენებდით ემოციებზე:

ბრაზი

სიხარული

ბედნიერება

შიში

VII. რა სახით გამოხატავთ შემდეგ ემოციებს:

ბრაზი

სიხარული

ბედნიერება

შიში

VIII. რა ფერებში ასახავდით ემოციებს:

ბრაზი

სიხარული

ბედნიერება

შიში

Questionnaire

Date:

Age: ***Sex:***

Profession:

I. Have you heard about the basic emotions

Yes…… No……

If yes, please clarify

II. Please indicate which emotion is expressed in the pictures below:

.....explain your answer

……. explain your answer

…….. explain your answer

…….. explain your answer

III. Which other facial expressions would you name, besides the ones shown in the pictures, for the identified emotions:

IV. Please state the phrases which you use when experiencing the below emotions:

Anger

Joy

Happiness

Joy

V. Which metaphors/epithets would you use to describe the emotions below:

Anger

Joy

Happiness

Fear

VI. Which proverbs/expressions would you recall about the emotions below:

Anger

Fear

Joy

Happiness

VII. How do you express the below emotions:

Anger

Joy

Happiness

Fear

VIII. What colours would you use to describe the emotions below:

Anger

Joy

Happiness

Fear

Опросник

Число

Возраст ***Пол***

Профессия

I. Знаете ли Вы о базисных эмоциях

Да…… Нет……

Если да, пожалуйста объясните

II. Пожалуйста укажите какие эмоции выражены ниже:

..... объясните Ваш вопрос

……. объясните Ваш вопрос

…….. объясните Ваш вопрос

…….. объясните Ваш вопрос

III. Какие выражения лица Вы можете назвать, кроме тех, что показанно на картинках

IV. Пожалуйста назавите фразы, которые Вы употребляете при переживании эмоции

Гнев

Радость

Счастье

Страх

V. Какие метафоры\эпитеты употребляете, для того чтобы описывать эмоции

Гнев

Радость

Счастье

Страх

VI. Какие пословицы\ выражения употребляете, для того чтобы описывать эмоции

Гнев

Радость

Счастье

Страх

VII. Как Вы выражаете эмоции

Гнев

Радость

Счастье

Страх

VIII. Какими цветами описываете эмоции

Гнев

Радость

Счастье

Страх